ჯუმბერ პატიაშვილი ალაპარაკდა... A2
გატაცებათა სერია კოდორში - ისტორია 1999 წლიდან A3
დემოკრატია თუ ავტოკრატია A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 6 ივნისი, 2003 წელი. №153 (365)
ფასი 50 თეთრი

ვოლიტიკა

მთავრობა "სასაფლაოზე" ანგარიშით წარსდგა

ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტირების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო სასაფლაოს დაემსგავსა, სადაც არავინ არაფერზე დავობს და კამათობს. იქ გამეფებულ მდუმარებას მხოლოდ ცალკეულ დეპუტატთა მოძრაობა და საუბარი თუ არღვევს.

A3

ეკონომიკა

მებაღეთა ატესტაცია არჩევნებამდე ჩატარდება

გუშინ საბაჟო დეპარტამენტის ახლად დანიშნული თავმჯდომარე, დავით თარხან-მოურავი საჯაროდ პირველად წარსდგა ჟურნალისტების წინაშე და მათ საბაჟო სტრუქტურაში შექმნილი ვითარება და სამომავლო გეგმები გააცნო.

A4

უცხოეთი

ჯორჯ ბუში ყატარს ეწვია

ახლო-აღმოსავლური ტურნეს ბოლოს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ყატარში ჩავიდა, რომელიც ერაყის ომის დროს ვაშინგტონის საკვანძო მოკავშირე იყო.
ჯორჯ ბუში პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც ამ არაბულ ქვეყანას ეწვია.

A5

საზოგადოება

პრეზიდენტი არ გადადგება

ოპოზიციის ერთდღიანი "რევოლუციის" შემდეგ, რომელმაც დაუნდობლად შეაზანზარა პარლამენტის მოპირდაპირე ღობე, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განტვირთვა მშობლიურ გარემოში სცადა. იგი მეცნიერებათა აკადემიაში საანგარიშო სხდომას დაესწრო და მსოფლიოს გლობალურ პროცესებში მონაწილე საქართველოს შესახებ თავისი საყვარელი სიტყვაც წარმოთქვა.

A6

სამართალი

მკვლელობა პრეზიდენტის რეზიდენციასთან

გუშინ, შუაღამისას, ორთაჭალაში პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს სამთავრობო დაცვის სამსახურის წევრებმა ავტომანქანა "ვაზ-2107" დაცხრილეს. მომხდარი ინციდენტის თაობაზე თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ, ტერაქტი იგეგმებოდა, არასნორი გამოდგა.

A7

ამინდი

თბილისი	22
ქუთაისი	22
ბათუმი	19
სოხუმი	19
ფოთი	19
თელავი	21
ზუგდიდი	22
გორი	19
ახმეტა	21
ჭიათურა	22
გაგრა	18
სამტრედია	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1450
ევრო	2.5298
გირვანქა სტერლინგი	3.5159
რუბლი	0.0701

გატაცება კოდორის ხეობაში - პოლიტიკა კრიმინალთა ხელით

გაერო-ს დამკვირვებლები რაციით საკუთარ ოფისს დაუკავშირდნენ

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ ჭუბურხინჯში ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა უნდა გამართულიყო. თუმცა, მოვლენათა განვითარება დილის 7 საათზე ენგურის ხიდთან დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციით დაიწყო. დევნილები ჭუბურხინჯის შეხვედრაზე შესათანხმებელ საკითხებს აპროტესტებდნენ და შეხვედრის ჩასაშლელად ენგურის ხიდი გადაკეტეს, რათა ხელი შეეშალათ ჭუბურხინჯის შეხვედრაში ქართული მხარის მონაწილეობისთვის. შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიმავალ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს, მალხაზ კაკაბაძესა და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს, ემზარ კვიციანს დანიშნულების ადგილას ალტერნატიული გზით – ვერტმფრენით მოხვედრის საშუალება პარტიზანების მუქარამ მოუსპო. პარტიზანები, ვერტმფრენის გამოყენების შემთხვევაში, მისი ჩამოგდებით დაიმუქრნენ. სწორედ ამ დროისთვის გახდა ცნობილი კოდორის ხეობიდან გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების გატაცების შესახებ. ემზარ კვიციანმა ამ გატაცებასაც ჭუბურხინჯის შეხვედრის ჩასაშლელად ინსპირირებული უწოდა, თუმცა ამჯერად - არა დევნილების, არამედ რუსი სამშვიდობოების მიერ. გატაცებაში რუსეთის მონაწილეობაზე საუბრობს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილიც.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფიცი აღმაშენებლის საფლავზე

ოპოზიცია ქუთაისში

ბექა სისაური

ქუთაისში გაერთიანებული ოპოზიციის აქციის ჩატარებას მოსახლეობა, პოლიტიკურ მოტივებზე მეტად, უბრალო ცნობისმოყვარეობით ელოდა. ხალხისთვის მთავარი იყო, პირადად ენახათ და მოესმინათ ოპოზიციის ლიდერებისთვის. ამ უკანასკნელთათვის კი გუშინდელი დღე რეგიონში ძალების მოსასინჯი სერიოზული რეპეტიცია გახლდათ. ის, რომ გუშინდელ აქციას ქუთაისელები გულგრილად არ შეხვედრიან, ერთი რიგითი პენსიონერის, მევლუდ ბაქრაძის მაგალითითაც ჩანს. მისი განმარტებით, კომუნისტური პარტიის გარდაცვალების შემდეგ, ყოველგვარი პარტიების მიმართ რწმენა დაკარგა, თუმცა, გუშინდელ აქციას, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, რატომღაც, პირველი რიგებიდან ადევნებდა თვალს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბექა სისაურის ფოტო

ქუთაისელებმა ქუჩაში მიტინგს თეატრში შეკრება ამჯობინეს.

ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასია

კანცელარიის ბინადრები მზის ამოსვლას ისევ ჩრდილოეთიდან ელოდებიან

სოფო ბუკია

გავლენიანი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის - ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი ზეინო ბარანი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ენერგოდამოუკიდებლობის დაკარგვის შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრება მთლიანად ქვეყნის დამოუკიდებლობას. "თუმცა, თუ საქართველოს უნდა, საკუთარი მომავალი რუსეთს დაუკავშიროს, ეს მისი არჩევანია," – აცხადებს ამერიკელი ექსპერტი. მისი თქმით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველო გადახდისუუნარო ქვეყანაა, სავსებით მოსალოდნელია, რომ ქვეყანამ "გაზპრომის" მიმართ დაგროვილი ვალების გადახდას თავი ვერ გაართვას, რის შედეგადაც საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები "გაზპრომის" საკუთრებაში აღმოჩნდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესო გელეიშვილის ფოტო

გია ბარამიძე და ზეინო ბარანი აფრთხილებენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ქვეყნის კურსის შეცვლას ბევრი უარყოფითი შედეგი მოჰყვება.

საქართველოში და აფრიკაში დემოკრატია ერთ დონეზეა

ზოთა უტიაშვილი

რა დონეზეა განვითარებული დემოკრატია საქართველოში? ზუსტად ისეთზე, როგორც ბანგლადეშში, ბურკინა-ფასოში, კოლუმბიაში, გამბიაში, გვატემალაში, კენიაში, მალავიში, ნეპალში, ნიგერიაში, სიერა-ლეონეში, ტონგასა და ზამბიაში – ასეთ დასკვნამდე მივიდა ამერიკული "ფრიდომ ჰაუსი", ალბათ ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დემოკრატიზაციის პრობლემებს იკვლევს. ამ "საპატიო სიაში" კიდევ ორი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო: სომხეთი და უკრაინა შედის. ამ ქვეყნებმა თავისუფლების შვიდბალიან შკალაზე ერთი და იგივე შეფასება - "ოთხიანი" დაიმსახურეს, რაც "ნაწილობრივ თავისუფალს" ნიშნავს.

ყველაზე "ბნელ" ქვეყნებად "ფრიდომ ჰაუსმა" ბირმა, კუბა, ერაყი, ჩრდილოეთ კორეა, ლიბია, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია და თურქმენეთი აღიარა. თავისი ყოველწლიური მოხსენება, რომელშიც 2002 წლის მდგომარეობაა ასახული, "ფრიდომ ჰაუსმა" სულ ახლახან გამოაქვეყნა.

გაგრძელება A5 გვერდზე

„ხურცილავა დანაშაულის ჩადენისას მიზანდასახულად მოქმედებდა" - ირწმუნება ექსპერტიზა

"დანაშაულის ჩადენისას, გრიგოლ ხურცილავა აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. ის საკუთარ თავს აკონტროლებდა და გამიზნულად, მიზანდასახულად მოქმედებდა" - ასეთი გახლავთ ფსიქიატრიულ სამეცნიერო გამოკვლევათა ექსპერტიზის ცენტრის ფსიქოლოგ-ექსპერტთა მიერ, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულისთვის ხელმეორედ ჩატარებული ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგი.

ხათუნა ჭანგირაშვილი

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ექსპერტი ნელი ჩოხელი გრიგოლ ხურცილავას სახასიათო ნიშნებს, მის ინდივიდუალურ და პიროვნულ თვისებებს, დიდი ხნის განმავლობაში მიმოიხილავდა, თან გიორგი სანაიას მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ჩვენებებს იშველიებდა.

"ჩვენთვის ამოსავალი წერტილი და ძირითადი დასაყრდენი ის სისხლის სამართლის საქმეა, რომელიც განსასჯელთან ერთად გადმოგვეცა შესასწავლად. ხურცილავა გამოკვლევაში აქტიურად, ხალისით და მონდომებით ჩაერთო. იძლეოდა დალაგებულ და აქტიურ პასუხებს. აზროვნების რაიმენაირად დაქვეითება, ამნეზია, ხურცილავას არ აღენიშნება, არ არის კონფლიქტური, აქვს ოპტიმისტური ხასიათი. ახასიათებს უმნიშვნელო შინაგანი შფოთვა, განეკუთვნება წყნარ, მშვიდ და გაწონასწორებულ პიროვნებათა რიცხვს. არ ახასიათებს რაიმე პათოლოგიური გადახრა", - ასე დაახასიათა ფსიქოლოგ-ექსპერტმა ხურცილავა, რომელსაც თვენახევრის განმავლობაში ფსიქიატრიული გამოკვლევა უტარდებოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

სუვერენული აფხაზეთი

თამამი პროექტი საყურადღებო პოსტულატებით

ვახტანგ მდივანი
საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი
იოსებ კობეშავიძე

არსებობს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სუვერენიტეტის განსაზღვრის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან არც ერთს არ სცნობს აფხაზური მხარე, მიიჩნევს რა, რომ 1992-93 წლების ომში გამარჯვება მას მოლაპარაკებების წარმოებისას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.
წარმოდგენილი პროექტი მიზნად არ ისახავს, გააანალიზოს უთანხმოების მიზეზები. მისი მიზანია შეიმუშავოს ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტის ვარიანტი.

დასაწყისისათვის აუცილებელია, მოკლედ ჩამოყალიბდეს მხარეთა პოზიციები, რომელთა კარდინალური დაპირისპირება საკვანძო საკითხებში ყველა მოლაპარაკებას უპერსპექტივოს ხდის.

ქართული მხარის პოზიცია:

- დევნილთა სრული და უპირობო დაბრუნება საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში;
- საერთო სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთისათვის ფართო სუვერენული უფლებების მინიჭება ("საერთო სახელმწიფოს" და "ფართო სუვერენიტეტის" ცნებაც ძალზე ზოგადად არის მოხაზული).

აფხაზური მხარის პოზიცია:

- 1993 წლიდან აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს ხელისუფლების საეჭვო ენერგეტიკული პოლიტიკა

მაია ურუშაძე

ოფიციალური თბილისი "გაზპრომთან" დაგეგმილ ენერგოპროექტებზე საუბარს გაურბის. თუმცა, როგორც ჩანს, ამ საკითხის გამომზეურება საქართველოს ოფიციოზს მაინც მოუწევს: საქმე ისაა, რომ გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკის ადმინისტრაციის მრჩეველი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანი, რომელმაც ამერიკის საელჩოში შეხვედრები უკვე გამართა, დღეს კი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ დავით მირცხულავასა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გიორგი ჭანტურიას შეხვდება. ამერიკელი დიპლომატი აპირებს გაარკვიოს, შეიცვალა თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობამ პოზიცია, და თუ არა, მაშინ რატომ წამოიწყო ქართულმა მხარემ გაზის რუსულ გიგანტთან ხანგრძლივი ენერგოპროექტები.

შევარდნაძის მიერ "გაზპრომთან" ხანგრძლივი ენერგეტიკული პროექტების თაობაზე დაწყებულმა საუბარმა ის შედეგი გამოიღო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციოზი რუსეთის ენერგოგიგანტთან მიმდინარე ქართული დიალოგის დეტალებით ინტერესდება.

სხვათა შორის, დღესვე, საქართველოს პრეზიდენტთან საუბარში, ამ საკითხს წამოწევს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვიცე-პრეზიდენტი ნორინ დოილიც, რომელიც თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. როგორც ცნობილია, EBRD ტრანსკასპიური მილსადენების პროექტების ერთერთი დონორია.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

ჯუმბერ პატიაშვილი ალაპარაკდა...

ბესო გულაშვილის ფოტო

ჯუმბერ პატიაშვილმა "მოქალაქეთა კავშირს" წინა არჩევნებში ჩადენილი ცოდვები გაუხსენა.

ბიორგი ასანიშვილი

პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი, უკვე დიდი ხანია, სახელმწიფო მინისტრისგან ითხოვს განმარტებას იმ განცხადებაზე, რომელიც ავთანდილ ჯორბენაძემ წინა საპარლამენტო არჩევნების 300-400 ათასი ხმით გაყალბებასთან დაკავშირებით გააკეთა. პატიაშვილის ინტერესი, თითქოს, გუშინ უნდა დაკმაყოფილებულიყო, როდესაც "ბრალმდებელი" პარლამენტს ეწვია, მაგრამ სახელისუფლებო ფრაქციებმა იმდენი მოახერხეს, რომ ჯორბენაძე კომენტარის გაკეთების აუცილებლობისგან იხსნეს.

თუმცა, პროშევარდნაძისტულმა ბანაკმა წყლიდან მშრალად გამოსვლა მაინც ვერ შეძლო. იმის შესახებ, რაზე საუბარიც სახელმწიფო მინისტრმა არ ინება, თავად პატიაშვილი ალაპარაკდა.

"მთავარი გამყალბებელია მმართველი პარტია - "მოქალაქეთა კავშირი". ის გუნდი, რომელიც 1995 და 1999 წლებში ხელისუფლებაში გაყალბებით მოვიდა, წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებშიც იგივეს გაკეთებას აპირებს. რა ხდება სახელისუფლებო ბლოკში, რა დაპირებებს იძლევიან, რომ პარლამენტში 100-120 კაცით მოვლენ? თანაც, უკვე ოჯახებით სურთ საკანონმდებლო ორგანოში მოსვლა," - აცხადებს ჯუმბერ პატიაშვილი. იგი, მისივე თქმით, დამნაშავეთა პერსონიფიცირებას არ აპირებდა, თუმცა, ზოგიერთი "კოლმეურნეობის თავმჯდომარე" ბოლოს მაინც დაასახელა.

"რაც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს დალი აბაშიძემ და კახეთის გუბერნატორმა თელავში ჩაიდინეს, იყო მძიმე დანაშაული, და რომ არა შემთხვევითობა, იგი ალბათ, ტრაგედიით დამთავრდებოდა," - აღნიშნავს პატიაშვილი და, როგორც ჩანს, მომხდარში იმ ავარიას გულისხმობს, რომელიც მას რამდენიმე წლის წინათ კახეთში მოუწყეს.

პარლამენტარი ასევე მძიმე ბრალდებებს უყენებს მარნეულის რაიონის პოლიტელიტას. **"თქვენ გინდათ დაპირისპირების მოწყობა რაიონის ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის,"** - აცხადებს პატიაშვილი და იქვე იხსენებს, რომ წინა არჩევნებისას, მარნეულის რაიონის გამგებელმა მას მხოლოდ 128 ხმა უბოძა, მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი სოფლიდან 600-700 მხარდამჭერის ხელმოწერები აქვს.

მის ხელთ არსებული მასალები, რომელთა მხოლოდ ნაწილის გამომზეურებამაც კი დეპუტატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ჯუმბერ პატიაშვილმა შესასწავლად გენერალურ პროკურატურას გადასცა. პარლამენტარმა უარით უპასუხა ფრაქცია "მოქკავშირის" წარმომადგენლის რევაზ ყიფიანის თხოვნას, რომ აღნიშნული მასალები ზაქარია ქუცნაშვილის დროებით საპარლამენტო კომისიას შეესწავლა. **"ზაქარია ქუცნაშვილი იმ პოლიტიკური ბლოკის წარმომადგენელია, რომელსაც ვამხელ და უნდობლობას ვუცხადებ,"** - ყიფიანის თხოვნის აბსურდულობა ასე განმარტა პატიაშვილმა.

მთელ ამ ვნებათაღელვას სახელმწიფო მინისტრი უხმოდ ადევნებდა თვალს და არანაირი სურვილი არ გასჩენია, თვითონაც ემხილებინა წინა საპარლამენტო არჩევნების 300-400 ათასი ხმით გამყალბებლები.

"ეს დუმილი ახალი გაყალბებისთვის მზადებაა," - ავთანდილ ჯორბენაძის მდუმარებამ ასეთ დასკნამდე მიიყვანა დეპუტატი ანზორ აბრალავა.

"სერიოზული დესტაბილიზაცია გვჭირდება"

პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი არასერიოზულს უწოდებს ოპოზიციის გარკვეული ნაწილის მიერ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადაგომის მოთხოვნით, საპროტესტო დემონსტრაციის ჩატარებას. **"სასაცილოა, როცა პრეზიდენტის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელები ედუარდ შევარდნაძის გადადგომას ითხოვენ",** - აცხადებს ლეკიშვილი.

იგი არ გამორიცხავს დესტაბილიზაციის შესაძლებლობას, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ კარგი იქნება საქართველოში სერიოზული დესტაბილიზაცია, რადგან "ხალხი ჭკუაზე მოვა". **"გერმანიას ორი დიდი კატაკლიზმი დასჭირდა, რომ ცოტა ჭკუაზე მოსულიყო, როგორც ჩანს საქართველოსაც კიდევ ერთი კატაკლიზმი სჭირდება, სამაგიეროდ საბოლოო ჯამში კარგი ქვეყანა იქნება",** - განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა.

პრაიმ-ნიუსი

მოკლედ

ბერლინი. ოთხშაბათს, 4 ივნისს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიასა და პოლონეთში, ბატონმა კონსტანტინე გაბაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი მიღება გამართა. ელჩი და მისი მეუღლე ქალბატონი მანანა ხელაია-გაბაშვილი სხვა სახელმწიფოების საელჩოებისა და ბანკების წარმომადგენლებს, ხელოვანებს და ქართველ ემიგრანტებს მასპინძლობდნენ. შეხვედრაზე ბატონმა კონსტანტინემ, აღფურვისა და შესყიდვების სამმართველოს ყოფილ მოსამსახურეს, ბატონ ალოის დიცსს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 10 წლისთავთან დაკავშირებით, საზღვრის დაცვისა და თავდაცვის სამმართველოსათვის გაწეული დახმარების კოორდინაციისათვის მედალი ("საქართველოს სასაზღვრო ძალები 10 წლისაა") გადასცა. შეკრებილებს, ამჟამად ამერიკაში მცხოვრები, ცნობილი ქართველი მუსიკოსი ლექსო თორაძე მიესალმა და რამოდენიმე ნაწარმოები შეასრულა. აქვე გამოიფინა გერმანიაში მოღვაწე მხატვრის ნოდარ გაფრინდაშვილის ნამუშევრებიც. ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰანს-დიტრიხ გენშერი დაესწრო. **"24საათი"**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, "გაერთიანებული ქართული ბანკის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაზა სიორიძე პარასკევს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დატოვების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. მისი თქმით, მან ამ მოწვევის პარლამენტში "მაქსიმუმზე მეტი გააკეთა". სიორიძე აღარ აპირებს შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას. ამასთან, მას არ აქვს გადაწყვეტილი დაუკავშირებს თუ არა სამომავლო საქმიანობას ბიზნესს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის უფროსს, არმიის გენერალ შენერ ერგიურის შეხვდა. მხარეებმა საქართველო-თურქეთს შორის კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობის გარღმავების საკითხები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პანკისის ხეობაში შსს-ს შინაგანი ჯარების ბლოკ-პოსტების რაოდენობა შემოდგომაზე შეიძლება შემცირდეს. შინაგანი ჯარების სარდალის გიორგი შერვაშიძის თქმით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია საქართველო-რუსეთის საზღვარზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ერთდღიანი ვიზიტით აჭარაში იმყოფებოდა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე, დაზვერვის დეპარტამენტის შეფი ავთანდილ იოსელიანი თანმხლებ პირებთან ერთად. ვიზიტის მიზანზე კომენტარი არც აბაშიძესა და არც იოსელიანს არ გაუკეთებიათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯერჯერობით არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები პანკისის მიმართულებით სამხედრო წვრთნების "კახეთი 2003" ჩატარებისათვის. თავდაცვის სამინისტროს მთავარი საფინანსო სამმართველოს უფროსის ნუგზარ ქევხიშვილის განცხადებით, სწავლებების ჩატარება თავდაპირველად მაისის დასაწყისში იგეგმებოდა, მაგრამ სათანადო სახსრების უქონლობის გამო იგი გაურკვეველი ვადით გადაიდო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირს", ჯაბა იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ, ახალი ხელმძღვანელი ჯერ არ აურჩევია. "კავშირის" ერთ-ერთი ლიდერის დოდო გუგეშაშვილის თქმით, აღნიშნული საკითხი ჯერჯერობით არ იხილება და იგი ორგანიზაციის მომავალ ყრილობაზე გადაწყდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს 48-ე სხდომაზე, რომელიც 10-12 ივნისს უკრაინაში გაიმართება, საერთაშორისო ტერორიზმის, ექსტრემიზმის სხვადასხვა გამოვლინების და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს განიხილავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ოფიცერი მომდევნო კვირას აშშ-ში გაემგზავრება, სადაც ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო საშტაბო-სამეთაურო სწავლება, კოდური სახელწოდებით "კოოპერატივ ოსპრეი" გაიმართება. **ინტერ-პრესი**

ფიცი აღმაშენებლის საფლავზე

პირველი გვერდიდან

ბესო სესაკორის ფოტო

გუშინ ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მთავარი დეკორაცია ოპოზიციური დროშები იყო.

მიუხედავად კარგი მეტეოროლოგიური პირობებისა, ოპოზიციამ აქციის ქუჩაში ჩატარებისგან თავი შეიკავა და ხალხი ლადო მესხიშვილის აკადემიური თეატრის შენობაში მიიპატიჟა. როგორც ერთ-ერთმა ინკოგნიტოდ დარჩენილმა ოპოზიციონერმა აგვიხსნა, ქუთაისელებს, თურმე, კონსერვატიული ბუნება ჰქონიათ და ქუჩაში გამოსვლას თეატრში მისვლა ურჩევნიათო. თუმცა, ქუთაისის 900-კაციანი თეატრი, ყველა მსურველის დატევას ნამდვილად ვერ ახერხებდა. ოპოზიციის აქციაზე, დაახლოებით, 1500 ადამიანი შეიკრიბა. მათი გარკვეული ნაწილი რაიონებიდან - წყალტუბოდან, ზესტაფონიდან და თერჯოლიდან ჩამოვიდა.

"ჩვენი მოთხოვნაა, არა საარჩევნო კომისიების შეცვლა, არა კანონების დახვეწა, არამედ - პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა," - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ და თეატრის დარბაზში დაგვიანებულმა მიხეილ სააკაშვილმაც შეაბიჯა. ხალხის ოვაციები ჯერ ჟვანიას ინიციატივას მოჰყვა, შემდეგ კი სააკაშვილის შემოსვლას. ზურაბ ჟვანიამ აღნიშნულ შეხვედრას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა და დარბაზს კმაყოფილების თვალი გადაავლო, სადაც "გაერთიანებული დემოკრატების" დროშები სხვებისას აშკარად სჭარბობდნენ.

"ჩვენ ჩამოვედით აქ, რომ თქვენთვის გვეთქვა - რას ვფიქრობთ, რას ვაპირებთ და რატომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება...

ხელისუფლებას სურს, რომ ძალადობით შეინარჩუნონ თავიანთი სკამები, რათა ხალხის ძარცვა განაგრძონ. შევარდნაძე უფრო შორსაც წავიდა და სურს, რომ რუსის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთისა და საქართველოს მესაზღვრეებად სამუდამოდ დატოვოს. ეს ქვეყანა ხალხს ეკუთვნის და არა შევარდნაძეს და მის კლანს," - ასე მიმართავდა მხარდამჭერებს დავით გამყრელიძე. ზვიად ძიძიგური კი უფრო შორს წავიდა და ხალხს რიხით ამცნო, რევოლუცია დაიწყოო. როდესაც დარბაზი ამ სიტყვებზე ოდნავ დაიძაბა, მან ტონი შეარბილა და რევოლუციასაც უკვე ხავერდოვანი უწოდა და 10 წლის განმავლობაში მრავლისმომსწრე ხალხმაც შვებით ამოისუნთქა. ამავე პერიოდში დარბაზში პატარა ინციდენტიც მოხდა, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მხარდამჭერ ქალბატონს ძიძუგურისა და აბსანძისთვის ერთ-ორი "ტკბილი" სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ ვინ დააცალა? დაცვამ იგი უცერემონიოდ მიაბრძანა გარეთ, რასაც მცირე წივილ-კივილი და შეხლა-შემოხლა ახლდა თან.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მან ხალხთან ლაპარაკი სულ ბოდიშების მოხდით დაიწყო. შემდეგ კი, კომუნისტურ წარსულს გადასწვდა და ხალხს ქუთაისში მომუშავე 250 დიდი თუ პატარა ფაბრიკა-ქარხანაც გაახსენა, რითაც ზემოთ ნახსენები მგზნებარე კომუნისტის მევლუდ ბაქრაძის გული საბოლოოდ მოიგო. **"ეს ხელისუფლება გადასულია მხოლოდ იმაზე, რომ გაიყვანონ რაღაც მილი, რომელიც პირდაპირ სუფსაში, პრეზიდენტის ბენზოგასამართ სადგურზეა მიერთებული... მამალაძეს, რჩეულიშვილს და ხაზარაძეს ეჭვი ეპარებათ, რომ მე იუსტიციის მინისტრობის დროს ახალი ციხე ავაშენე. ისინი ციხის პრეზენტაციაზე არ მობრძანდნენ, მაგრამ პირობას ვდებ, რომ ციხეს უკვე შიგნიდან ვაჩვენებ. ხაზარაძეს კი, შეიძლება, ქუთაისის ციხე ერჩივნოს, მაგრამ ეს მისი გადასაწყვეტია... დღეს საარჩევნო კოდექსზე ოთხთა ბანდა მუშაობს: მამალაძე, ხაზარაძე, სარიშვილი და რჩეულიშვილი. ჩინეთში იყო ასეთი ოთხთა ბანდა და მას 80 წელი მიუსაჯეს... ჩვენთვის მთავარია, შევარდნაძე და მისი კლანი ჩამოვაშოროთ ქვეყანას და სამუდამოდ დავამხოთ ეს გველეშაპი. ხალხის სახით ისინი ერთ უზარმაზარ მუშტს უნდა ხედავდნენ, რომელიც მათ დემოკრატიულ პანღურს ამოარტყამს და ფანჯრიდან გადააგდებს,"** - საკაშვილის აღნიშნულ სიტყვებს ოვაციები მოჰყვა. ერთ-ერთმა ქალბატონმა დარბაზიდან ემოციურად წამოიძახა: შენ გენაცვალე, შვილო, შენმა გამზრდელმა იხარა, ძლივს არ დავინახე ერთი პატიოსანი კაციო. თუმცა, იყო განსხვავებული აზრიც, რომელიც ასევე დარბაზში მსხდომი, ზომაზე მეტად გადაპრანჭული ქალბატონისგან ისმოდა: **"ამ საწყალ ხალხს ჰგონია, რახან ჟვანია და სააკაშვილი დაინახეს, მარტო ამით ავშენდებით, ვაი, მაგათ პატრონს! ისინი არ იყვნენ ამდენ ხანს ხელისუფლებაში? სად არის მათი გაკეთებული საქმე?"**

ოპოზიციის პოლიტიკურ ლიდერთა გარდა, ქუთაისის თეატრის დარბაზში სხვა არავინ გამოსულა. ლიდერებს არც ხალხის შეკითხვებზე გაუციათ პასუხი. გაერთიანებული ოპოზიციის ქუთაისის შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რეგიონში შეიქმნება წინააღმდეგობის შტაბი, რომლის ძირითადი მიზანიც საპროტესტო ტალღის აგორება იქნება. შეხვედრის დასასრულს ჟურაბ ჟვანია იტყვის, რომ ქუთაისში ჩამოსვლით ძალიან კმაყოფილია და, ხალხის ერთსულოვანი განწყობის გამო, ქალაქიდან შეგულიანებული მიდის. ქუთაისის დატოვებამდე გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან ფიცი დადეს, რომ შევარდნაძის გადადგომამდე ერთად იბრძოლებდნენ.

"ჩვენ, საქართველოს ძირითადი ოპოზიციური პარტიების ლიდერები, საქართველოს ყველაზე დიდი პოლიტიკოსის დავით აღმაშენებლის საფლავზე პირობას ვდებთ, რომ ვიდგებით ერთად, სანამ საქართველო შევარდნაძის სამარცხვინო რეჟიმისგან არ გათავისუფლდება," – ასეთი იყო "შეფიცულთა" ტექსტი.

ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასია

კანცელარიის ბინადრები მზის ამოსვლას ისევ ჩრდილოეთიდან ელოდებიან

პირველი გვერდიდან

"ხელისუფლების მიერ ამ ბოლო დროს მიღებული საეჭვო გადაწყვეტილებები" გიორგი ბარამიძისთვის იმის მანიშნებელი ხდება, რომ კანცელარიის ბინადრები მზის ამოსვლას ისევ ჩრდილოეთიდან ელოდებიან.

"როგორც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს წარმომადგენელი, ვაცხადებ: ჩვენი დასავლელი მეგობრები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველო, დასავლურ ღირებულებებთან შედარებით, ისევ რუსეთთან თანამშრომლობას ანიჭებს უპირატესობას," – აღნიშნა ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე და საზოგადოებას ქალბატონი ზეინო ბარანი წარუდგინა.

დასავლური კურსიდან გადახვევა, ბარამიძის აზრით, პირველად, სოჭში პუტინ-შევარდნაძის შეხვედრაზე დაფიქსირდა, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა **"ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება"** მიიღო და რუს კოლეგას ენგურჰესის 25 წლით რუსული კომპანიისთვის გადაცემას შეჰპირდა. საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებს რომ დიდი ხანია, "გაზპრომისთვის" ამზადებენ, ამაში ზურაბ ჟვანიას თანამებრძოლს ეჭვიც არ ეპარება. მაგისტრალური გაზსადენების "გაზპრომის" ხელში აღმოჩენა, ბარამიძის აზრით, დიდი საფრთხის ქვეშ დააყენებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს და შაჰდენიზის გაზსადენის პროექტის განხორციელებას.

"მოვუწოდებ ხელისუფლებას, გონს მოეგოს და აშშ-სთან ურთიერთობების გაფუჭებისკენ საბედისწერო ნაბიჯი არ გადადგას. საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას საფრთხე ექმნება, როცა მთავრობა რუსეთისათვის ენერგეტიკული ბერკეტის გადაცემაზე ფიქრობს," – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

აღმასრულებელი ხელისუფლება რომ რუსეთისკენ იბრუნებს პირს, ბარამიძის აზრით, ყველაზე კარგად უცხოური ავიაკომპანიებისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა.

ამერიკელი ექსპერტი ზეინო ბარანი მიიჩნევს, რომ, თუ რუსული "გაზპრომი" ქართულ მაგისტრალურ გაზსადენებს დაეპატრონება, შაჰდენიზის გაზსადენის განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი გახდება.

ბარანის თქმით, გაზსადენების თემა საჯარო განხილვის საგანი უნდა გახდეს: **"კარგი იქნება, თუ გაზსადენების საკითხს პარლამენტი და უშიშროების საბჭო შეისწავლის. საფრთხე "გაზპრომის" რუსულ წარმომავლობაში კი არა, იმაშია, რომ ეს კომპანია მონოპოლისტია. არ შეიძლება, მომწოდებელი და გამანაწილებელი კომპანია ერთი იყოს. ამ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალია."**

„დიდი ხანია, ერთი და იგივე ფიგურებით თამაშობთ", - გვეუბნებიან უცხოელი ექსპერტები

ინგლისური არასამთავრობო ორგანიზაციის - "შერიგების რესურსების" ინიციატივით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების, სახელმწიფოს ოფიციალური პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის სასწავლო ვიზიტები ტარდება. ამგვარი შეხვედრების მიზანია, მხარეებმა არაფორმალურ პირობებში დიალოგი გამართონ. ქართველებსა და აფხაზებს სასწავლო ვიზიტების დროს იმის საშუალებაც ეძლევათ, ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით მსოფლიო გამოცდილებას გაეცნონ.

გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა "შერიგების რესურსების" წარმომადგენელთან ჯონათან კოენთან და ჩრდილო-ირლანდიელ კონფლიქტოლოგთან, ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსთა პირდაპირი დიალოგის ერთ-ერთ ორგანიზატორთან კლენ მაკკარტნისთან. უცხოელი ექსპერტები გვირჩევენ, რომ რისკზე წავიდეთ, სიახლე შევიტანოთ კონფლიქტის დარეგულირებაში. რისკში არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ძალისმიერი მეთოდები. მაკკარტნის თქმით, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, უთანხმოება და კონფლიქტი მაინც არ აღმოიფხვრება.

ქართულმა მხარემ ისეთი ნაბიჯები უნდა გადადგას, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება, - განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე ჩრდილო-ირლანდიელმა კონფლიქტოლოგმა. **"თქვენ რაღაც ნაბიჯებს დგამთ და გგონიათ, რომ "თამაში" გრძელდება, სინამდვილეში, დიდი ხანია, ერთი და იგივე ფიგურებით თამაშობთ",** - მაკკარტნი შიშობს, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ჩიხში არ შევიდეს.

"24 საათი"

თვალსაზრისი

სუვერენული აფხაზეთი

პირველი გვერდიდან

თუ რომელიმე დევნილს (თუ მას სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია) სურს დაბრუნება, მან უნდა მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა და აღიაროს აფხაზეთის კონსტიტუცია.

- აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობები უნდა დარეგულირდეს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რითაც შეიძლებოდა აფხაზებისთვის ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება უფრო მიმზიდველი გამხდარიყო.

დღეს რუსეთი აფხაზებს თავის მოქალაქეობას სთავაზობს. სეპარატისტთა მმართველი ელიტა რუსეთის ფედერაციაში ასოცირებული წევრობის სურვილს გამოთქვამს.

ამ ვითარებაში, ვფიქრობთ, აუცილებელია, გამოიძებნოს კონფლიქტის გადაწყვეტის ორივე მხარისათვის მისაღები თუნდაც შუალედური ვარიანტი.

შეიძლებოდა, აფხაზური მხარისათვის შეგვეთავაზებინა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი, რომელიც საფრანგეთ-მონაკოს ურთიერთობებს ეყრდნობა, მაგრამ ითვალისწინებს ადგილობრივ სპეციფიკასაც.

კერძოდ: ქართული მხარე სთავაზობს აფხაზეთს სრულ დამოუკიდებლობას (გაერო-ს წევრობის ჩათვლით), შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში:

1. მისი ტერიტორია შემოიფარგლება მდინარეებით: გუმისთითა და ბზიფით;
2. აფხაზეთს ექნება საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის სრული თავისუფლება;
3. საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პარლამენტს ექნება აფხაზეთის პარლამენტის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება;
4. აფხაზეთს არ ეყოლება საკუთარი შეიარაღებული ძალები და თავის ტერიტორიაზე კონსტიტუციით აეკრძალება სხვა ქვეყნის სამხედრო ნაწილების მოწვევა, გატარება ან ბაზირება;
5. აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმოქცევაში იქნება საქართველოს ეროვნული ვალუტა;
6. საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის იმოქმედებს მიმოსვლის უვიზო რეჟიმი;
7. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე (მდ. ფსოუ) იმოქმედებს ერთობლივი ქართულ-აფხაზური საბაჟო, რომლის შემოსავლების ხელშეკრულებით დადგენილი ნაწილი დარჩება აფხაზეთის რესპუბლიკას. აფხაზეთის ტერიტორიაზე საზღვაო გზით შემომავალ-გამავალი ტვირთების საბაჟო კონტროლი განხორციელდება ქ. გუდაუთაში, ერთობლივ საბაჟოზე;
8. პირები, რომელთაც ჩადენილი აქვთ სამხედრო დანაშაული ქართული მოსახლეობის წინაშე, აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასვლის შემთხვევაში თავისუფლდებიან საქართველოს მხრიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან;
9. პირველ პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიაზე დაბრუნების შემთხვევაში, ქართული მოსახლეობა მიიღებს აფხაზეთის მოქალაქეობას და აღიარებს მის კონსტიტუციას;

10 აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც გადაწყვეტენ დარჩენას საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე, მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას და ისარგებლებენ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი უფლებებით;

11. თანამედროვე აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე აღდგება საქართველოს სრული იურისდიქცია და მხარის შემდგომი ტერიტორიული მოწყობის საკითხი გადაწყდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

შემოთავაზებული პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში:

აფხაზები მიიღებენ რეალურ და არა დეკლარირებულ დამოუკიდებლობას იმ ტერიტორიაზე, რომლის გაკონტროლებასაც რეალურად შეძლებენ;

საქართველო დაეხმარება აფხაზეთის რესპუბლიკას ინვესტიციების მოზიდვასა და ტრადიციული ინფრასტრუქტურის (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვ.) თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობაში. გაიხსნება სარკინიგზო და საავტომობილო სატრანზიტო მოძრაობა, რაც აფხაზეთის ბიუჯეტს სტაბილური საბაჟო შემოსავლებით შეავსებს.

ქართველები აღადგენენ თავიანთ იურისდიქციას აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე. ლტოლვილები დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. გამოირიცხება ყოფილი მონინააღმდეგე მეზობლების დაპირისპირება. ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით ზღვისპირა მარშრუტზე სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენა განამტკიცებს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში საკვანძო ქვეყნის ავტორიტეტს.

ამდენად, დროთა განმავლობაში აფხაზეთში პირისპირ დარჩებიან აფხაზები და ქართველები. სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, მათ მიეცემათ დაკარგული ურთიერთნდობის აღდგენის საშუალება და ეს ორი ერი ოდესმე შეიძლება მივიდეს ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების სურვილამდე.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

მთავრობა "სასაფლაოზე" ანგარიშით წარსდგა

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტირების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო სასაფლაოს დაემსგავსა, სადაც არავინ არაფერზე დავობს და კამათობს. იქ გამეფებულ მდუმარებას მხოლოდ ცალკეულ დეპუტატთა მოძრაობა და საუბარი თუ არღვევს. არადა, წესითა და კანონით, გუშინ პარლამენტში დიდი ხმაური და ვნებათაღელვა უნდა ყოფილიყო - მთავრობის ანგარიშის მოსმენას აქამდე არასდროს ჩაუვლია მშვიდად და აკადემიურად. "მახსოვს, წინა განხილვებისას, მთავრობის მისამართით თავად სახელისუფლებო ფრაქციების მხრიდან გაისმოდა უამრავი შეკითხვა. როგორც ჩანს, მართალი იყო ოპოზიცია, როდესაც მიმტკიცებდა, რომ სხდომათა დარბაზში დაბრუნებას და ხელისუფლებასთან პოლემიკის გამართვას აზრი არა აქვსო", - პროსამთავრობო ფრაქციების პასიურობის შემხედვარე ნინო ბურჯანაძე დამუნჯებული პარლამენტარების ამეტყველებას ამაოდ ცდილობდა. "ჯერ ისეთი პოლიტიკური "ვიაგრა" არ გამოუგონებიათ, რომ ხელისუფლების მხარდამჭერები ოდნავ მაინც აღაგზნოს", - წუხდა "სასაფლაოზე" შემთხვევით მოხვედრილი "ტრადიციონალისტი" დავით ჭიჭინაძე. თუმცა, მეტისმეტი "აკადემიზმით" ყველა როდი იყო უკმაყოფილო. "მეტი რაღა გინდათ? მსჯელობა და შეკითხვები არის. ისე, სხდომაზე ოპოზიციაც რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა, რადგან კამათში იბადება ჭეშმარიტება", - პარლამენტში გუშინ არსებული ატმოსფეროთი სავსებით კმაყოფილი ჩანდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

ბესო გელაშვილის ფოტო

აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკის ნაცვლად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები საკუთარ გამოსვლებს სახელმწიფო მინისტრს უთანხმებდნენ.

საქართველოს პარლამენტმა გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, რეგლამენტის დარღვევით იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ კვორუმი ვერ შეიკრიბა, ამას საკანონმდებლო ორგანოს "ნაყოფიერი მუშაობისთვის" სულაც არ შეუშლია ხელი. მართალია, რეგისტრაციის გავლის მომენტში ტაბლოზე 123 დეპუტატის ყოფნა დაფიქსირდა, მაგრამ მანდატურის სამსახურმა იმავე წუთს აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და კვორუმი არ იყო. ამ ფაქტზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ სხვა შემთხვევაში, ამაზე სახელისუფლებო ძალების მხრიდან განგაში ატყდებოდა, მაგრამ გუშინ რეგლამენტის დარღვევა არავის გახსენებია. უმრავლესობამ ამჯობინა, ოპოზიციის ბოიკოტითა და სხდომათა დარბაზში მათი არყოფნით ესარგებლა და თუნდაც კანონდარღვევის გზით, მთავრობის ანგარიში "საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" და ინფორმაცია "2003 წლის ოთხი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" შედარებით უმტკივნეულოდ "მიეხრჩო".

გუშინდელმა დღემ ისიც ნათლად აჩვენა, რომ სახელისუფლებო ფრაქციები და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი მიზნის გარშემო იყვნენ დარაზმულნი: ქვეყანაში არსებული უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა აუცილებლად უნდა მიჩქმალულიყო, რათა მათზე მსჯელობით საზოგადოებრიობა არ "შეწუხებულიყო". ასეთი განწყობა სულაც არ დაუმალავს, მაგალითად, ბოლნისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს გურამ ავქოფაშვილს.

"მთავრობას შეკითხვები ჩვენ კი არა, ოპოზიციამ უნდა დაუსვას. თორემ, ჩვენ რა საკითხებიც გვაინტერესებს, პირადი შეხვედრების დროს ვგებულობთ და ვაგვარებთ. თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები გვაქვს, ამას მიკროფონიდან არ ვიტყვით, რადგან პირად საუბრებში ვუცხადებთ," - ჰოდა, უცნაურია, ავქოფაშვილის ასეთი განმარტების შემდეგ რატომღა გაუკვირდა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ საკანონმდებლო ორგანოში მიბრძანებულ ფინანსთა მინისტრს დეპუტატებმა სამად-სამი შეკითხვა დაუსვეს, რომელთა შორის ყველაზე ძნელად პასუხგასაცემი ის გამოდგა, რომელიც საჩხერის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მშენებლობაში წამოჭრილ ფინანსურ სირთულეებს შეეხებოდა.

მთავრობის მიმართ რაიმე პრეტენზია გუშინ არც "ჭეშმარიტ ოპოზიციას" ("აღორძინება" ყველასგან ითხოვს და მოითხოვს, რომ ასე მოიხსენიონ) გამოუთქვამს. მისი წარმომადგენლების თქმით, მათ საჭირბოროტო პრობლემები არაერთხელ წამოუჭრიათ, მაგრამ მათზე პასუხი ვერასდროს მიუღიათ და ამიტომ, საკითხების კიდევ ერთხელ წამოწევას აზრი არა აქვს.

ყველა დეპუტატს როდი აქვს ძლიერი ნერვები და ყველა როდი უძლებს "საშინელებათა ფილმის" (აკი მოგახსენეთ, რომ მოქმედება გუშინ სასაფლაოზე ვითარდებოდა) ბოლომდე ყურებას. მაგალითად, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ, პროტესტის ნიშნად, სხდომათა დარბაზი შუა "ჩვენების" დროს მიატოვა და პარლამენტის თავმჯდომარეს "ამაზრზენი სანახაობის" შეწყვეტა მოსთხოვა.

სიმართლე რომ ითქვას, ამის აუცილებლობა არ არსებობდა: მორიგი ავარიის გამო, ქვეყნის მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა და "სასაფლაოს" "ნიუსები" მხოლოდ ჟურნალისტებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

"მოხარული ვარ, შუქი რომ არ არის და ხალხი ვერ ხედავს, მთავრობის ანგარიშთან სახელისუფლებო ფრაქციებს როგორი დამოკიდებულება აქვთ," - დიდ "ჭირში" "სასარგებლოც" დაინახა ნინო ბურჯანაძემ.

ერთი რამ მაინც არ უნდა დავუკარგოთ ხელისუფლების მხარდამჭერთ: მათ გუშინ სტახანოვური მეთოდით მოინდომეს მუშაობა და განიზრახეს, საკითხის განხილვა დღეს აღარ გაგრძელებულიყო - ვინ იცის, რა მოეპრიანება ოპოზიციას, ღმერთმა ნუ ქნას და დღეს სხდომაზე მოსვლა რომ ინებოს, ხომ წყალს გაჰყვება გუშინდელი სიმშვიდე და აკადემიზმი! თუმცა, ბურჯანაძემ უმრავლესობის წადილი ვერ დაიკმაყოფილა: განსახილველი საკითხი იმდენად დიდი მოცულობისაა, რომ კუდის მოქნევას დღესაც საჭიროებს.

რუსეთის შსს კრასნოდარში მცხოვრებ "შავებს" შეუტევს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

რუსეთის შსს მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ ჩეკალინმა კრასნოდარში პრესკონფერენცია ჩაატარა. კრასნოდარის ოლქში, ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის სამხრეთში მცხოვრები და მომუშავე არალეგალების დეპორტაციის მიზნით, სამინისტროს მობილური ჯგუფები იმყოფებიან. ადგილობრივი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მინისტრის მოადგილის ჩეკალინის კომენტარით, საკურორტო სეზონის დასაწყისში მოსახლეობამ მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს რეგიონში ჩასული უცხოების (Чужаки) მიმართ. კრასნოდარის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას, სიფხიზლის გარდა, ელემენტარული დაბეზღების მექანიზმის დამკვიდრებისკენაც მოუწოდებენ. თუკი მეზობლად უცხო და საეჭვო პირები შენიშნეთ, დაუყონებლივ აცნობეთ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. მისი თქმით, უსაფრთხოების სისტემის შექმნა იმ რეგიონში, სადაც ბევრი ჩამოსული და არასასურველი მიგრანტია, აქტუალური პრობლემაა. ამ სფეროში აუცილებელია მოსახლეობის დახმარება. ბატონი ჩეკალინი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასაც იშველიებს. ჩეკალინის აზრით, ასეთი კეთილშობილური მიზნებით ვინმეს დაბეზღება უკიდურესი ზომა კი არა, ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

კრასნოდარის მხარეში დღეს განსაკუთრებით ერჩიან ადგილობრივ სომხებსა და მესხეთელ თურქებს. კრასნოდარის გუბერნატორი, სხვადასხვა ლოზუნგების მოშველიებით, შიგადაშიგ ადგილობრივ მოსახლეობას უცხოების წინააღმდეგ ამხედრებს. გუბერნატორი შიშობს, რომ საკურორტო ბიზნესს დიდ საფრთხეს უქმნიან კრასნოდარის ოლქში უკანონო მიგრანტების სტატუსით მცხოვრები მესხეთელი თურქები და მომთაბარე ბოშები. მოსალოდნელია, რომ ამგვარი "უცხოების" მიმართ ადგილობრივი ხელისუფლება საგანგებო რეჟიმს დააწესებს ან სხვა ადმინისტრაციულ ზომებს მიმართავს.

მოსკოვის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით მძიმე სარეგისტრაციო რეჟიმი ჩამოსულთა ფულის მახეში გასაბმელი მექანიზმია და სხვა არაფერი. იგი საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხისაგან არავის იცავს. მოსკოვის მილიციის ნებისმიერ საპასპორტე განყოფილებაში, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, ლტოლვილის სტატუსსაც იყიდი და რეგისტრაციასაც. არაა გამორიცხული, იგივე მოხდეს კრასნოდარშიც, თუმცა რეგიონის "განმენდისთვის" დიდი ხანია იბრძვის კრასნოდარის გუბერნატორი და ახლა მას შესაბამისი ფედერალური უწყებებიც დაეხმარებიან.

ოსებს კვლავ რუსეთი უნდათ

ცხინვალის ლიდერი ედუარდ კოკოითი მზად არის საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად და 1989-92 წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე სასაუბროდ.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სტანისლავ კოჩიევის თქმით, **"ასეთი დონის შეხვედრის ჩატარებას არაფერი უშლის ხელს და იგი პირველი იქნება ედუარდ კოკოითის სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ".**

მისი შეფასებით, სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. **"ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება საქართველოს საბჭოთა პერიოდის საზღვრებში სურს, მაგრამ გასათვალისწინებელია სამხრეთ ოსეთის ხალხის ნება, რომელმაც 1992 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას",** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე. მისივე თქმით, თბილისის პროდასავლური ორიენტაციისაგან განსხვავებით, ცხინვალი პრორუსული ორიენტაციისაა.

"ლოგიკურია, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებაზე იზრუნებს, რადგან 85 ათასიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა", - ამბობს კოჩიევი.

პრაიმ-ნიუსი

გატაცებათა სერია კოდორში - ისტორია 1999 წლიდან

დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მიერ 2 ივნისს დაწყებული ერთობლივი პატრულირება კოდორის ხეობაში, მესამე დღეს სკანდალურად დასრულდა. სოფელ გენწვიშში რეიდზე მყოფ შერეულ საპატრულო ჯგუფს თავს დაესხა რვაკაციანი შეიარაღებული რაზმი და მძევლად აიყვანა გაეროს სამხედრო ინსპექტორები. აღსანიშნავია, რომ კოდორის ხეობაში სიტუაციის გართულებას ექსპერტები და ძალოვანი სამინისტროს წარმომადგენლები ჯერ კიდევ მარტის ბოლოს წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პრევენციის ეფექტმა ვერც ამჯერად იმუშავა.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა გატაცებათა სერია კოდორის ხეობაში 1999 წელს დაიწყო და გუშინდელის ჩათვლით, გამტაცებელთა ტყვეობაში საერთო ჯამში 17 მეთვალყურეს მოუწია ყოფნა. თანაც ძალიან საინტერესოა რამდენიმე გარემოება:

პირველი: მძევლების აყვანა ხდება ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე წელია მოქმედებს საგანგებო რეჟიმი;

მეორე: რატომღაც თავდამსხმელებმა ყოველთვის ზუსტად იციან პატრულის გადაადგილების მარშრუტი, რაც, სამხედრო წესების გათვალისწინებით, გასაიდუმლოებული უნდა იყოს. მაგალითად, 1999 წლის 13 სექტემბერს გამტაცებელთა ჯგუფმა გაეროს 8 წევრი სოფელ აჟარაში, პირდაპირ ვერტმფრენიდან გადმოსვლის დროს დაატყვევა;

და ბოლოს, მესამე: მძევლად არასოდეს აუყვანიათ რუსი ცისფერჩაფხუტიანები. მათ, დიდი-დიდი, იარაღი წაართვან ან ორიოდე პანღური უთავაზონ.

თანაც, როგორც სამხედრო დამკვირვებელთა გატაცების წინა სამი შემთხვევის დროს მოხდა, რამდენიმე საათიანი პაუზის შემდეგ, გამტაცებლები თავად გამოდიან ხოლმე კავშირზე, "მაღალ სამოქალქო შეგნებას" ამჟღავნებენ და მძევლების გაშვებაზე უმტკივნეულოდ თანხმდებიან.

არსებობს ვერსიაც, რომ კოდორის ხეობაში მძევლად აყვანილი ადამიანების გათავისუფლება აქამდე მხოლოდ გამოსასყიდი თანხის გადახდისა და გამტაცებლებისთვის ხელშეუხებლობის პირობის მიცემით მთავრდებოდა. მაგრამ გამოსასყიდის გადახდას კატეგორიულ უარყოფს გაერო-ს თბილისის ოფისი. ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს გაურბის საქართველოს ხელისუფლება. სამაგიეროდ, ყველაფერს რაღაც აბსტრაქტულ მტრულ ძალებს აბრალებს მაშინაც კი, როდესაც არსებობს წინასწარი ინფორმაციები მოსალოდნელი გართულებების შესახებ, რაზეც, ექსპერტების გარდა, ჩვენთან ინტერვიუში ჯერ კიდევ მარტის ბოლოს მიანიშნებდა საქართველოს უშიშროების მინისტრი:

"პრობლემები კოდორში არის, მართლაც არის იქ გარკვეული პროვოცირების საფრთხე. თუმცა, მე ერთი იმედი გამიჩნდა და არ მინდა, ამ იმედს ხაზი გადავუსვა - საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების სოჭში მოლაპარაკების შემდეგ, რაღაც ჯგუფები შეიქმნა, რომლებმაც აფხაზეთის თემაზე უნდა იმუშაონ და თუ აქცენტი იქით იქნება მიმართული, მაშინ პროვოკაციებს იქ (კოდორის ხეობაში კ.ლ.) ნიადაგი გამოეცლება".

ნიშანდობლივია, რომ კოდორის ხეობაში 5 ივნისს მომხდარი გატაცება დაემთხვა გალის რაიონში, სოფელ ჭუბურხინჯში დაგეგმილ ოთხმხრივ შეხვედრას, რომლის დროსაც სწორედ სოჭის შეხვედრაზე რუსეთისა და საქართველოს ზემოხსენებული ინიციატივების შესრულებაზეც უნდა ესაუბრათ. ამ ინიციატივებს კი, კერძოდ გალში ლტოლვილების დაბრუნებას, აფხაზეთის გავლით რკინიგზის ხაზის ამოქმედებას და ენგურჰესის რეაბილიტაციას, შეიძლება, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდეს არა მარტო რუსეთში.

ბოლო ინფორმაციით, გატაცების ადგილზე ნაპოვნია ერთ-ერთი დამკვირვებლის მობილური ტელეფონის აპარატი და რამდენიმე ფურცელი. მხოლოდ ეს არის და ეს. ზოგიერთი ოფიციალური წყაროს ინფორმაციით, უკვე ცნობილია გამტაცებელთა ვინაობა, თუმცა ისინი ჯერჯერობით არ გამოდიან მოლაპარაკებაზე.

სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, პრევენციის ეფექტმა ვერ იმუშავა და ის ვერასოდეს იმუშავებს ქვეყანაში, სადაც ძალოვან და სამართალდამცველ ორგანოებს შორის არსებული ფარული დაპირისპირება აშკარად გასცდა ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებს.

გატაცება კოდორის ხეობაში - პოლიტიკა კრიმინალთა ხელით

პირველი გვერდიდან

გასაიდუმლოებულ დოკუმენტს დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს შეუთანხმებენ

გუშინ ენგურის ხიდთან დილის 7 საათიდან შეკრებილი დევნილები გალის რაიონსა და კოდორის ხეობის სოფლებში ლტოლვილთა დაბრუნების მექანიზმს აპროტესტებდნენ. აქციის ორგანიზატორთა თქმით, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანი ჭუბურხინჯში მნიშვნელოვან დოკუმენტზე ხელმოწერას აპირებდა. მეტიც, მას მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომი მხარეებისთვის შესათანხმებლად უნდა წარედგინა იმ დევნილთა სიები, რომლებიც უახლოეს მომავალში გალის რაიონისა და კოდორის ხეობის შვიდ სოფელში, რუსი სამშვიდობო ჯარებისა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

როგორც დევნილთა აქციის წევრები აცხადებენ, დოკუმენტი, რომლის არსებობაც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და რომელიც გამზადებული იყო ხელმოსაწერად, სრულად ასახავს დევნილების დაბრუნების მექანიზმს.

ამ მექანიზმის თანახმად კი, დევნილი მოსახლეობის ის ნაწილი დაუბრუნდება საკუთარ სახლებს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია თავის დროზე აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში და, რომლებიც შეავსებენ შესაბამის ანკეტას. ამ ანკეტის ერთ-ერთი პუნქტი კი ითვალისწინებს დაბრუნების მსურველის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და მისი დეფაქტო ხელისუფლების აღიარებას.

როგორც აქციის მონაწილე დევნილები აცხადებდნენ, ასეთი დოკუმენტის არსებობის შესახებ მათ გუშინ შეიტყეს და სასწრაფოდ გადაკეტეს ენგურის ხიდი: **"არ მივცემთ ნებას, ეს შეხვედრა გაიმართოს, რომელიც დაფიქსირებს სეპარატისტების წინაშე საქართველოს კიდევ ერთ უკან დახევას,"** - აცხადებდა დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ავთანდილ ბაღათურია.

სხვათა შორის, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ დევნილებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე დევნილთა დაბრუნების კონკრეტული მექანიზმის შესახებ მსჯელობა სულაც არ არის გათვალისწინებული. მეტიც, მსგავსი მექანიზმი საერთოდ არ დაკონკრეტებულა. რაც შეეხება დასაბრუნებელ დევნილთა სიებს, კაკაბაძის თქმით, მათი არსებობის შესახებ არაფერი იცის. დევნილთა დაბრუნების თაობაზე შექმნილი დოკუმენტი თამაზ ნადარეიშვილისთვისაც არავის წარუდგენია. მისი თქმით, **"დევნილების დაბრუნების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ყოველივე მალულად შეთანხმებულიყო. ახლა ყველა ცდილობს, დევნილთა დაბრუნების შესახებ წამოჭრილი ლაპარაკი პუტინსა და შევარდნაძეს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებას მიაბას. იქ კი დღის წესრიგში სამი საკითხი იყო შეტანილი: პირველი - აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, მეორე - დევნილთა მასობრივი და უპირობო დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, უპირველეს ყოვლისა კი - გალის რაიონში; და შემდგომ, თუ ეს ორი პუნქტი შესრულდებოდა, მესამე იყო – რკინიგზის გახსნა და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ პირველი ორი საკითხი იმთავითვე ჩიხში შევიდა. აფხაზებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ არავითარი სტატუსის განსაზღვრას, ხოლო ლტოლვილების დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ დაბრუნება განხორციელდება დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ცხადია, აქედან გამომდინარე, მესამე საკითხი ვერ ამუშავდებოდა. ამიტომაც ახლა სულ არ მიკვირს, რომ მიდის გალის რაიონში ხალხის, ბოდიში და, "შეტენვის" მცდელობა, თანაც აფხაზური ადმინისტრაციის და რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ შეპირებული უსაფრთხოების უზრუნველყოფით. რისი მომტანია ეს, ძალიან კარგად ვიცით – გალში უკვე 1700 კაცია დახვრეტილი და 700-ზე მეტი უგზოუკვლოდ დაკარგული. ყოველივედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სცენარი ამჯერად ასეა ჩაფიქრებული – გალში დევნილებს დააბრუნებენ, ამას გაუკეთდება სერიოზული პროპაგანდა და სრული საფუძველი იარსებებს რკინიგზის აღდგენაზე სალაპარაკოდ. არადა, ამ შემთხვევაში სხვადასხვა პოზიციები არ უნდა არსებობდეს - ლტოლვილების დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, როცა საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტი იქნება საქართველო და როდესაც ეს იქნება საქართველოს დეფაქტო ტერიტორია."**

სხვათა შორის, გუშინ ენგურის ხიდთან დაწყებული აქცია საღამოსკენ დაიშალა. ჯერ ერთი, რომ შეკრებილებმა თავისასს მიაღწიეს – ჭუბურხინჯის შეხვედრა ჩაიშალა, თანაც, მალხაზ კაკაბაძის დაპირებაც მიიღეს: ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ დოკუმენტის დეტალებს დავამუშავებთ და საკოორდინაციო საბჭოს გავაცნობთ, მისი განხილვა მხოლოდ ამის შემდეგ მოხდებაო.

საეჭვო დეტალი უცხოელი დამკვირვებლები გაიტაცეს, რუსი სამშვიდობოები გაათავისუფლეს

გუშინ, დაახლოებით, დილის ათის ნახევარზე კოდორის ხეობაში, სოფელ გენწვიშთან, უცნობმა პირებმა (თორმეტამდე შეიარაღებულმა კაცმა) ცეცხლი გაუხსნა გაერო-ს დამკვირვებლებისა და რუსი სამშვიდობოების ავტომანქანას. ინციდენტის შედეგად გაერო-ს სამი დამკვირვებელი – ორი გერმანელი და ერთი დანიელი, თავიანთ თარჯიმანთან, ქუთაისელ ლევან ჭიქაშუასთან ერთად, თავდამსხმელებმა გაიტაცეს, რუსეთის სამშვიდობო ჯარების წარმომადგენლებმა კი კოდორის ხეობელთა მასპინძლობით ისარგებლეს. სამი უცხოელისა და ქართველი თარჯიმნის ძებნა, გუშინ ღამემდე, უშედეგოდ მიმდინარეობდა.

გატაცების გამო, სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში აღიძრა. გატაცებულთა ძებნაში ადგილობრივი სამართალდამცველების და თბილისიდან ჩასული სპეცრაზმელების გარდა, კოდორის მოსახლეობისგან შემდგარი ბატალიონი "მონადირეა" ჩართული. ბოლო ინფორმაცია, რომელიც გუშინ საღამოსთვის საჯაროდ გახდა ცნობილი, ის გახლდათ, რომ გამტაცებლებმა უცხოელები მარუხის უღელტეხილის მიმართულებით წაიყვანეს. ამის თქმის საფუძველს აჟარასთან ნაპოვნი, გაერო-ს დამკვირვებელთა თარჯიმნის, ლევან ჭიქაშუას მობილური ტელეფონი იძლევა. სამაგიეროდ, სამართალდამცველები, თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ გამტაცებლები მძევლებთან ერთად ხეობას არ გასცდენილან, რადგანაც გატაცებიდან ერთი საათის მანძილზე კოდორის ხეობის ყველა გზა გადაიკეტა.

გატაცების მოტივებზე კონკრეტული ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ავთანდილ იოსელიანი უფრო ჩვეულებრივი კრიმინალის ვერსიისკენ იხრება და ფიქრობს, რომ ბოროტმოქმედები მალე გამოსასყიდ თანხას მოითხოვენ. სამაგიეროდ, საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ გამოსასყიდის მოთხოვნის შემთხვევაში ისინი პრინციპულობას გამოიჩენენ. მისი თქმით, გაერო ის ორგანიზაცია არ არის, ტერორისტებთან მოლაპარაკებაზე რომ მიდის.

უბრალოდ, გამოსასყიდის მიღების სურვილით გაერო-ს ექსპერტების გატაცებას პოლიტიკოსთა და ჩინოვნიკთა უმეტესობა გამორიცხავს. იგივე ემზარ კვიციანი, რომელიც აქტიურადაა ჩართული გატაცებულთა ძებნაში, ამბობს, რომ მომხდარი მიზნად ისახავდა ჭუბურხინჯში შეხვედრის ჩაშლას, რომელზეც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განხილულიყო. **"ამ შეხვედრის ჩაშლა ხელს აძლევდა რუს სამშვიდობოებს,"** - თქვა გუშინ ემზარ კვიციანმა, რითიც ძალზე გააკვირვა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი.

"ჭუბურხინჯის შეხვედრა ისედაც ჩაშლილი იყო, ამას არავითარი გატაცება არ სჭირდებოდა. დევნილთა აქციამ საქართველოს დელეგაციას ჭუბურხინჯში ჩასასვლელი გზა მოუჭრა. ვიღაცას შეიძლება სჭირდება, რომ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს გადააბას. პირადად მე კი ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ. ეს სხვადასხვა სცენარებით გათამაშებული მოვლენებია. თუ დევნილთა დაბრუნება, რაზეც ჭუბურხინჯში უნდა ემსჯელათ, რკინიგზის აღდგენას უკავშირდება, გაერო-ს დამკვირვებლების გატაცებით ვიღაც ცდილობს, მსოფლიოს დაანახოს, რა ცუდადაა საქართველოში ყველაფერი," - ამბობს ნადარეიშვილი და რუსეთის არა ერთ მცდელობას იხსენებს, რომელიც კოდორის ხეობის, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის გაკონტროლების სურვილს ემსახურებოდა.

"შემსრულებელი შეიძლება იყოს ქართველიც და აფხაზიც - ჩვეულებრივი კრიმინალები. გატაცებები ადრეც ყოფილა და ამას ერთი და იგივე ჯგუფი აკეთებს. მაგრამ მთავარია, პოლიტიკური ძალები, ვისაც პოლიტიკური ვითარების ასე გამწვავება აძლევს ხელს. ეს შეიძლება საქართველოში მყოფი ძალებიც იყვნენ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გარეშე ძალთა მხარდაჭერით მოქმედებენ. ვგულისხმობ რუსეთს, რომელიც ეძებს მიზეზს, რომ როგორმე შევიდეს კოდორის ხეობაში. ისინი საამისოდ არგუმენტს აგროვებენ და აი, შესანიშნავი ფაქტი - გაიტაცეს საერთაშორისო დამკვირვებლები, ესე იგი იქ ტერორისტები არიან, საქართველო კი სხვის ჩაურევლად ვერ აკონტროლებს იქაურობას. რუსები ახლა ცდილობენ, კოდორში ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით შევიდნენ. თუ ასეთი განცხადებები უახლოეს მომავალში გაისმა, ყველაფერი ნათელი იქნება. საეჭვო არ არის, რომ გამტაცებლებმა რუსი სამშვიდობოები გაათავისუფლეს? სხვათა შორის, გათავისუფლებული ოთხი რუსი კარგა ხანი კოდორის ხეობაში იმყოფებოდა, ერთ-ერთ ოჯახში. სხვათა შორის, ისინი დიდ პატივში ჰყავდათ".

მოგვიანებით, გათავისუფლებული რუსი სამხედროები სოხუმში გადაიყვანეს. მათთვის ქართველ სამართალდამცველებს ჩვენება არ ჩამოურთმევიათ.

ნაშუალამევს, გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენელზე, ფრედ ეკჰარდზე დაყრდნობით, "იტარ-ტასმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ გატაცებული დამკვირვებლები რაციით დაუკავშირდნენ გაერო-ს ოფისს და აცნობეს, რომ ჯანმრთელად და უვნებლად არიან. ადგილსამყოფელის დასახელება მათ ვერ შეძლეს.

რუსული გეგმის ნაწილი

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი კოდორის ხეობიდან გაერო-ს დამკვირვებელთა გატაცებას "რუსული გეგმის ნაწილს და წმინდა წყლის პროვოკაციას" უწოდებს. **"ეს გაკეთებულია იმისთვის, რომ საქართველოში სიტუაცია აირიოს. გაერო-ს დამკვირვებელთა გატაცება იმ ფონზე, როცა აფხაზი სეპარატისტები და რუსები ქართველი ძალოვანი სტრუქტურების გასვლას მოითხოვენ კოდორის ხეობიდან, საქართველოსათვის გულში დანის ჩაცემაა"** - აღნიშნა ბათიაშვილმა. მისი აზრით, გაერო-ს დამკვირვებლების გატაცების მიზანია, ისეთი სიტუაცია შექმნან, თითქოს კოდორში განუკითხაობა და შეიარაღებული ხალხის თარეშია და თითქოს ქართველი ძალოვნები ვერ უზრუნველყოფენ სიმშვიდეს ხეობაში. **ინტერ-პრესი**

ერთი საწარმოს 14 წლის საბჭოური ვალი

1989 წლის 6 იანვარს საქართველო-ავსტრიის ერთობლივმა სანარმო "მეტეხმა" ავსტრიის ბანკ "კრედიტანშტალტ-ბანკფერაინისგან" მიიღო კრედიტი 890 მილიონი ავსტრიული შილინგის, ანუ 89 მილიონი აშშ დოლარის, ოდენობით. კრედიტის გარანტად გამოვიდა ქალაქ თბილისის მერია, ხოლო კონტრგარანტად - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

"მეტეხმა" ვერ უზრუნველყო სესხის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკის დაცვა. არც გარანტს (ქალაქ თბილისის მერიას) და არც კონტრგარანტს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს) არ შეეძლოთ შესაბამისი თანხების დაფარვა. ამიტომ, 1993 წლის 29 ივნისს საქართველოს რესპუბლიკასა და "კრედიტანშტალტ-ბანკფერაინს" შორის გაფორმდა ახალი საკრედიტო ხელშეკრულება 215 მილიონი ავსტრიული შილინგის, ანუ 21,5 მილიონი აშშ დოლარის, ოდენობით. ამ თანხით უნდა დაფარულიყო ძველი კრედიტის პირველი ორი წლის (1993-94) გადასახდელები, ხოლო მომსახურების პროცენტი 7,35 პროცენტით განისაზღვრა. თუმცა, 1994 წლის ბოლოსათვის გაირკვა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო ახალი კრედიტის მომსახურების პროცენტის დაფარვაც კი.

1997 წლის 10 იანვარს ვენაში საქართველოსა და ავსტრიას შორის გაფორმდა რესტრუქტურიზაციის ორი ხელშეკრულება.

პირველი საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის "კონტროლ-ბანკს" შორის, რომლითაც რესტრუქტურირებულ იქნა წინა ორი კრედიტის ავსტრიის მიერ გარანტირებული ნაწილი - 1,079 მილიარდი ავსტრიული შილინგი, ანუ 80,12 მილიონი აშშ დოლარი..

მეორე საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის "კრედიტანშტალტ-ბანკფერაინს" შორის, რომლითაც რესტრუქტურირებული იქნა წინა ორი კრედიტის არაგარანტირებული ნაწილი 34,08 მილიონი ავსტრიული შილინგის, ანუ 2,53 მილიონი აშშ დოლარის, ოდენობით.

საკრედიტო ხელშეკრულებები გაფორმდა ავსტრიულ შილინგებით და, შესაბამისად, აშშ დოლარებით სხვადასხვა წელს სხვადასხვა მონაცემები გვექნება.

საბოლოოდ, 1997 წლის 10 იანვრის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებებით განისაზღვრა:

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ავსტრიის ("კონტროლ-ბანკისა" და "კრედიტანშტალტ-ბანკფერაინის") მიმართ - 1 მილიარდ 113 მილიონ 655 ათას 301,27 ავსტრიული შილინგი;

კრედიტის დაფარვის ვადა - 15 წელი (01.01.97 - 01.01.12);

კრედიტის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი - 5 წელი (01.01.97 - 01.01.02);

კრედიტის მომსახურების წლიური საპროცენტო განაკვეთი - 4 პროცენტი;

წლიური საჯარიმო განაკვეთი ვადაგადაცილებულ თანხაზე - 6 პროცენტი;

2001 წლის 5-6 მარტს პარიზის კლუბში მოხდა საქართველოს საგარეო ვალების 2001 და 2002 წლების გადასახდელების (ე.წ. კონსოლიდირებული თანხის) რესტრუქტურიზაცია, რომელიც, ასევე, შეეხო საქართველოს საგარეო ვალს ავსტრიის მიმართ. რესტრუქტურირებულია საქართველოს ვალი კონტროლ-ბანკის მიმართ, ხოლო კრედიტანშტალტის ვალის ძირითადი თანხის დაფარვას საქართველო აგრძელებს, თანხების სიმცირის გამო.

ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ ხელმოწერილია საქართველოს ავსტრიის მიმართ საგარეო ვალის ახალი შეთანხმება და დაფარვის ახალი გრაფიკი. მოლაპარაკებებისას ავსტრია დათანხმდა კონსოლიდირებულ თანხებზე ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთის შემცირებას 4-დან 3 პროცენტამდე და ძირითადი თანხის დაფარვას პარიზის კლუბის პირობებზე.

ამ ეტაპზე საქართველოს საგარეო ვალი ავსტრიის მიმართ დაფიქსირდა ევროს კურსით.

ჯამში, საქართველოს დაფარული აქვს ავსტრიის საგარეო ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 2.6 მილიონი ევროს ოდენობით.

2003 წლის 1 მაისისათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ავსტრიის მიმართ შეადგენს - 78 მილიონ 339 ათას 962 ევროს. ვალის დაფარვის გრაფიკი მოცემულია ცხრილში.

2003 წელს საქართველომ უნდა დაფაროს ავსტრიის საგარეო ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 4.7 მილიონი ევროს ოდენობით.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

ავსტრიის კრედიტი

№	პერიოდი	ბალანსი	საამორტიზაციო გადასახადები	საპროცენტო გადასახადები	სულ
1	31.03.03	78,339,960.43	-	731,269.54	731,269.54
2	30.06.03	78,339,960.43	2,229,528.15	818,024.27	3,047,552.42
3	30.09.03	76,110,432.28	-	725,178.00	725,178.00
4	31.12.03	76,110,432.28	2,441,490.34	804,662.01	3,246,152.35
5	31.03.04	73,668,941.94	-	692,165.56	692,165.56
6	30.06.04	73,668,941.94	2,661,302.97	771,229.50	3,432,532.47
7	30.09.04	71,007,638.97	-	672,567.34	672,567.34
8	31.12.04	71,007,638.97	2,873,265.15	752,500.12	3,625,765.27
9	31.03.05	68,134,373.82	-	629,213.66	629,213.66
10	30.06.05	68,134,373.82	3,121,228.03	714,834.45	3,836,062.48
11	30.09.05	65,013,145.79	-	611,578.07	611,578.07
12	02.01.06	65,013,145.79	3,337,881.91	705,238.52	4,043,120.43
13	31.03.06	61,675,263.88	-	552,671.77	552,671.77
14	30.06.06	61,675,263.88	3,562,386.26	648,363.74	4,210,750.00
15	30.09.06	58,112,877.62	-	553,538.81	553,538.81
16	02.01.07	58,112,877.62	3,779,561.45	621,035.84	4,400,597.29
17	02.04.07	54,333,316.17	-	492,615.81	492,615.81
18	02.07.07	54,333,316.17	4,004,587.10	574,587.98	4,579,175.08
19	01.10.07	50,328,729.07	-	458,083.43	458,083.43
20	31.12.07	50,328,729.07	4,221,762.28	534,277.35	4,756,039.63
21	31.03.08	46,106,966.79	-	415,934.35	415,934.35
22	30.06.08	46,106,966.79	4,447,309.22	491,321.82	4,938,631.04
23	30.09.08	41,659,657.57	-	375,645.84	375,645.84
24	31.12.08	41,659,657.57	4,665,005.72	450,958.50	5,115,964.22
26	31.03.09	36,994,651.85	-	321,475.97	321,475.97
27	30.06.09	36,994,651.85	4,891,073.96	398,157.67	5,289,231.63
28	30.09.09	32,103,577.89	-	279,346.97	279,346.97
29	31.12.09	32,103,577.89	5,109,291.75	352,581.38	5,461,873.13
30	31.03.10	26,994,286.14	-	222,952.81	222,952.81
31	30.06.10	26,994,286.14	5,335,881.29	296,306.71	5,632,188.00
32	30.09.10	21,658,404.85	-	174,220.70	174,220.70
33	31.12.10	21,658,404.85	5,555,141.69	244,985.19	5,800,126.88
34	31.03.11	16,103,263.16	-	115,794.15	115,794.15
35	30.06.11	16,103,263.16	5,782,252.53	185,315.46	5,967,567.99
36	30.09.11	10,321,010.63	-	60,267.05	60,267.05
37	31.12.11	10,321,010.63	106,345.35	67,854.94	174,200.29
38	02.01.12	10,214,665.28	5,895,688.87	61,577.20	5,957,266.07
39	02.07.12	4,318,976.41	114,164.86	66,224.31	180,389.17
40	02.01.13	4,204,811.55	122,505.67	64,473.78	186,979.45
41	01.07.13	4,082,305.88	130,846.48	61,234.59	192,081.07
42	31.12.13	3,951,459.40	140,229.89	60,259.75	200,489.64
43	30.06.14	3,811,229.51	149,613.30	57,486.04	207,099.34
44	31.12.14	3,661,616.21	158,996.72	56,144.79	215,141.51
45	30.06.15	3,502,619.49	169,422.73	52,831.18	222,253.91
46	31.12.15	3,333,196.76	179,848.75	51,109.02	230,957.77
47	30.06.16	3,153,348.01	190,796.06	47,825.78	238,621.84
48	31.12.16	2,962,551.95	202,264.68	45,425.80	247,690.48
49	30.06.17	2,760,287.27	214,254.59	41,634.33	255,888.92
50	31.12.17	2,546,032.68	226,765.81	39,039.17	265,804.98
51	02.07.18	2,319,266.87	239,277.03	35,368.82	274,645.85
52	02.01.19	2,079,989.84	252,830.85	31,893.18	284,724.03
53	01.07.19	1,827,158.99	266,905.97	27,407.38	294,313.35
54	31.12.19	1,560,253.02	280,981.08	23,923.88	304,904.96
55	30.06.20	1,279,271.94	296,098.80	19,402.29	315,501.09
56	31.12.20	983,173.14	311,737.83	15,075.32	326,813.15
57	30.06.21	671,435.31	327,898.15	10,127.48	338,025.63
58	31.12.21	343,537.16	343,537.17	5,267.57	348,804.74

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს:
- სამეწარმეო და საფინანსო სამართალში
- ინტელექტუალური საკუთრების სამართალში
- საგადასახადო სამართალში
- საერთაშორისო კერძო სამართალში
- საავტორო უფლებების სამართალში
- წარმომადგენლობას სასამართლოსა და არბიტრაჟში
- ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების მომზადებაში
- ინვესტიციებისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებში
- საბანკო საქმეში
სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისთან დაკავშირებულ საკითხებში
ტელ: +995 32 552151
ფაქსი: +995 32 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

საქართველოს ხელისუფლების საექვო ენერგეტიკული პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

"24 საათის" ხელთ არსებულ დოკუმენტში, რომელიც საქართველოს მთავრობის განზრახვას ასახავს (მოხსენება, რომლითაც გასული წლის დეკემბერში მთავრობის სხდომაზე ქონების მართვის მაშინდელი მინისტრი და საქართველოს გაზის კორპორაციის პრეზიდენტი უნდა წარმდგარიყვნენ), წერია: **"ს/ს "გაზპრომთან" მოლაპარაკებისას განიხილებოდა ორი ვარიანტი: 1. ერთობლივი საწარმოს შექმნა სომხეთის ანალოგიურად, ე.ი. ს/ს "გაზპრომმა" შეისყიდოს, ანუ მოახდინოს საქართველოს გაზის კორპორაციის მიერ საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების 50 პროცენტის პრივატიზება და გადაიხადოს 80 მილიონი აშშ დოლარი. 2. ერთობლივ საწარმოში ს/ს "გაზპრომი" შემოვიდეს დამფუძნებლად 49 პროცენტით ანუ 154 მლნ. აშშ დოლარით, ან მოგვაწოდოს ამ ღირებულების გაზი და რეალიზებიდან ამოღებული თანხა საქართველოში არსებული მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციას მოხმარდეს."**

აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი და ჯორჯ ბუშის მრჩეველი დღეს შევარდნაძისაგან განმარტებებს ელიან.

ბესო გელაშვილის ფოტო

იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ **"შესაძლებელია, არსებული მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის გარდა, ს/ს "გაზპრომმა" მოახდინოს ახალი გაზსადენის მშენებლობა თურქეთის რესპუბლიკაში, წელიწადში 9 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ტრანზიტისათვის, რომელიც ე.წ. "ცისფერი ნაკადის" პროექტის გარკვეული გარანტია იქნება."**

სწორედ ეს გეგმა გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო დროს წარმოებულმა ბუნდოვანმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ საკმაოდ შეაშფოთა დასავლეთი. ეს ბუნებრივიცაა: ექსპერტთა გათვლებით, თურქეთის აღმოსავლეთ ბაზარზე "გაზპრომის" სავარაუდო ექსპანსიამ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გამოყენებით, შესაძლოა, თურქეთის გაზის ბაზრის გადატვირთვა გამოიწვიოს და, შესაბამისად, შაჰდენიზის "საუკუნის პროექტს" სერიოზული საფრთხე შეუქმნას.

აქვე შეგახსენებთ, რომ შაჰდენიზის მილსადენით თურქეთში წელიწადში სულ 6 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შეტანა იგეგმება.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ საქართველო საკუთარ მილსადენებს მთლიანად გააკონტროლებს, ხოლო "გაზპრომი" საკუთარი გაზის აღმოსავლეთ თურქეთში ტრანსპორტირებას მოისურვებს, მას შეუძლია საქართველოს საკუთრებაში არსებული მილსადენებით ისარგებლოს და, შესაბამისად, სატრანზიტო მოსაკრებელი საქართველოს ბიუჯეტს შემატოს. ექსპერტთა ვარაუდით, ამ შემთხვევაში საქართველოს გაზის მოწოდების პრობლემაც მოეხსნება. თანაც, საქართველოს ხელთ ექნება მნიშვნელოვანი ბერკეტები იმის გასაკონტროლებლად, რომ "გაზპრომმა" "შაჰდენიზის" პროექტს ეკონომიკური მიმზიდველობა და, შესაბამისად, ინვესტორები არ დაუკარგვინოს.

ხოლო თუ "გაზპრომი" თავად იქნება ამ მილსადენის მეპატრონე, საქართველო ამ კონტროლის ბერკეტებს სამუდამოდ დაკარგავს.

"მთავრობის პოლიტიკას გაზის სექტორთან დაკავშირებით გონივრულს ვერ ვუწოდებთ. ეს არის აბსოლუტურად არაადექვატური ქცევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც "გაზპრომის" რეალური მიზნები გამოჩნდა. ეს არის არა კომერციული, არამედ პოლიტიკური ინტერესები. ჩანს მხოლოდ ირიბი ინტერესი – მოახდინოს დასავლური პროექტების ბლოკირება და საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ხელისუფლებას ჩაუგდოს ხელში," – აცხადებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე.

"გაზპრომის" ექსპანსიის მიღმა აშკარად ჩანს რუსეთის მცდელობა, აღადგინოს და აკონტროლოს საბჭოთა კავშირის დროინდელი ეკონომიკური ბერკეტები. გოცირიძის თქმით, **"ვინც მაგისტრალურ მილსადენებს აკონტროლებს, ის აკონტროლებს მთელ ეკონომიკას, რადგან გაზის მიწოდებაზეა დამოკიდებული მთელი სოციალური სფერო: საოჯახო მეურნეობები, გათბობა, მრეწველობა – პურის საცხობებიდან - დიდ ქარხნებამდე."**

საფინანსო-საბიუჯეტო კანონპროექტებს დამტკიცებამდე საზოგადოება განიხილავს

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის - საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზების ფარგლებში მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სემინარზე ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული სამი კანონპროექტი - "ავტონომიური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ", "საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში 2004-2007 წლებისათვის ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ" და "საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" განიხილეს. პირველი სემინარი 29 მაისს გაიმართა, სადაც "ავტონომიური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" კანონპროექტის თაობაზე ისაუბრეს. გუშინდელ შეხვედრას, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების გარდა, კონტროლის პალატისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. **"ჩვენი მიზანია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ კანონის მიღებით განვსაზღვროთ ადგილობრივი თვითმმართველობებისა და**

ანზორ მატკავა ადგილობრივი ბიუჯეტების გაზრდის მომხრეა.

ბერიძა ბესიკის ფოტო

მმართველობების ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი. თვითმმართველობა უნდა იყოს დამოუკიდებელი. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები ჩვენთვის ახალი ხილია და გვინდა, კანონით განვსაზღვროთ - რა არის მათი შემოსავლები, რა არის ხარჯები და რა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი", - ასე განმარტა განსახილველი კანონპროექტის აუცილებლობა საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებთან საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსმა ანზორ მატკავამ. მისივე თქმით, ეს კანონპროექტი მოაწესრიგებს როგორც ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ურთიერთობებს.

შეგახსენებთ, რომ, დაახლოებით, ერთი თვის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი საბიუჯეტო სისტემების შესახებ. სწორედ ეს კანონი მოითხოვს "ავტონომიური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ" კანონპროექტების შემუშავების აუცილებლობას.

"საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" კანონპროექტში წარმოდგენილია შემოსავლების განაწილების განსხვავებული მექანიზმი. მაგალითად, თუ მოქმედი კანონით, წიაღის სარგებლობისათვის გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტში მიდის, კანონპროექტის თანახმად, ეს გადასახადი ცენტრალურ ბიუჯეტში წავა. თუმცა, ამის მიუხედავად, მატკავას განცხადებით, ახალი საკანონმდებლო ბაზა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების შემოსავლების გაზრდას ითვალისწინებს. ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად, მოგების და საშემოსავლო გადასახადების 85 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩება, 15 პროცენტი კი ცენტრალურ ბიუჯეტში მიიმართება. მატკავას თქმით, ახალი კანონპროექტის თანახმად, ყველა ადგილობრივ ბიუჯეტს აღნიშნული გადასახადების 99 პროცენტი დარჩება. ასეთი სქემა დღეს აჭარისა და აფხაზეთის ბიუჯეტებთან მიმართებაში უკვე მოქმედებს.

გაერო-ს განვითარების პროგრამის კონსულტანტის ვაჟა პეტრიაშვილის ცნობით, პროექტის - საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება - ფარგლებში დაგეგმილია იმ ხუთი კანონპროექტის განხილვა, რომლებიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა და უახლოეს მომავალში მათი პარლამენტში წარდგენა იგეგმება. საკანონმდებლო ორგანოს კანონპროექტები მხოლოდ სამუშაო შეხვედრებზე პოზიციების შეჯერებისა და მთავრობაში განხილვის შემდეგ გადაეგზავნება. პეტრიაშვილის თქმით, დარჩენილ ორ კანონპროექტსაც სემინარზე უახლოს მომავალში განიხილავენ.

მებაჟეთა ატესტაცია არჩევნებამდე ჩატარდება

მაია ურუშაძე

გუშინ საბაჟო დეპარტამენტის ახლად დანიშნული თავმჯდომარე, დავით თარხან-მოურავი საჯაროდ პირველად წარდგა ჟურნალისტების წინაშე და მათ საბაჟო სტრუქტურაში შექმნილი ვითარება და სამომავლო გეგმები გააცნო.

საბიუჯეტო ვალდებულებების საბაჟოს კუთხით შესრულების მონაცემები თარხან-მოურავს აკმაყოფილებს. მისი ინფორმაციით, მაისის თვის გეგმა საბაჟო სტრუქტურამ გადაჭარბებით შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გადახდებისა და კრედიტების აღების აპრობირებული მექანიზმისთვის არ მიუმართავს.

როგორც გაირკვა, თარხან-მოურავი საბაჟოზე მისი წინამორბედის – ალეკო ასლანიკაშვილის მიერ დაწყებული რეფორმების გაგრძელებას გეგმავს. **"უბრალოდ, ამ რეფორმების ცალკეული მიმართულებები უნდა დაიხვეწოს,"** – აცხადებს იგი. კერძოდ, თარხან-მოურავი ენერგოსაბაჟოსა და რკინიგზის საბაჟოს შორის არსებული კოლიზიის აღმოფხვრას შეეცდება.

მისი თქმით, კონტრაბანდული ნაკადების გაკონტროლების გამკაცრების მიზნით, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც საგადასახადო

დავით თარხან-მოურავი სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

იაკობ ლეონავიჩის ფოტო

ინსპექციის, საბაჟოსა და ლეგიონის წარმომადგენლები შევლენ. ამ ჯგუფში ჩაერთვება "ავღანელთა კავშირიც".

გარდა ამისა, **"შეიქმნება სპეციალური ინსტრუქციები მებაჟეებისთვის, სადაც მკაფიოდ დაფიქსირდება მებაჟეთა უფლება-მოვალეობანი. ასევე, დამუშავდება საბაჟოსთან ურთიერთობის წესები საბაჟოსთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციისთვის. დაინომრება საბაჟო დეკლარაციები და ბლანკები, რაც საბაჟო კონტროლის გამკაცრების საშუალებას მოგვცემს,"** – განაცხადა თარხან-მოურავმა.

მისი თქმით, უახლოეს მომავალში შეიქმნება ერთიანი მონაცემთა ბაზა ყველა იმ სტრუქტურისათვის, რომელთაც, კონტროლის მიზნით, ინფორმაციის ერთმანეთთან გადამოწმება უწევთ (საბაჟო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საგადასახადო ინსპექცია, სტატისტიკის დეპარტამენტი და ა.შ.). **"შესაძლებელი გახდება ყველა ტვირთის გაკონტროლება თანამგზავრული ხერხით,"** – განაცხადა თარხან-მოურავმა. თანამგზავრული კონტროლისათვის საჭირო ტექნოლოგიების დასანერგად კი იგი ინვესტორის გამოძებნას აპირებს.

რაც შეეხება საბაჟოს თანამშრომლების ატესტაციის მრავალჯერ გადადებულ საკითხს: დავით თარხან-მოურავს მებაჟეთა კვალიფიკაცია ჯერჯერობით აკმაყოფილებს. **"ხალხის დათხოვნას არ ვაპირებ,** - განუცხადა გუშინ მან ჟურნალისტებს, - **საბაჟოს არსებულმა შემადგენლობამ კარგად იცის თავისი საქმე."** ატესტაციის ჩატარებას კი საბაჟოს ახალი ხელმძღვანელი არჩევნებამდე ვარაუდობს: **"ეს პროცედურა საბაჟოს მინიმალური მონაწილეობით, პარლამენტის, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობით ჩატარდება."**

იმ პრიორიტეტებს შორის, რა მიმართულებითაც საბაჟო დეპარტამენტი მუშაობას განაგრძობს, თარხან-მოურავმა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან ჰარმონიზაცია დაასახელა.

ჯორჯ ბუში ყატარს ეწვია

REUTERS

ჯორჯ ბუში ყატარში ამერიკელ ჯარისკაცებს ხვდება

ახლო-აღმოსავლური ტურნეს ბოლოს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ყატარში ჩავიდა, რომელიც ერაყის ომის დროს ვაშინგტონის საკვანძო მოკავშირე იყო.

ჯორჯ ბუში პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც ამ არაბულ ქვეყანას ეწვია. სპარსეთის ყურეში ამერიკული ჯარების ყველაზე დიდი კონტინგენტი ყატარშია განლაგებული.

გენერალი ტომი ფრენკსი, რომელიც ერაყის ომს ყატარიდან ხელმძღვანელობდა, პრეზიდენტ ბუშს ალ-უდეიდის უზარმაზარ ავიაბაზაზე შეეგება, სადაც ამერიკული სარდლობის ცენტრია განლაგებული. აღნიშნული ცენტრი მანამდე საუდის არაბეთში იყო.

ბუში ას-სავლიას ბაზასაც მოინახულებს, სადაც ცენტრალური სარდლობის წარმომადგენლის, კაპიტან ერიკ კლარკის თქმით, პრეზიდენტის პატივსაცემად უზარმაზარი ცერემონია გაიმართება.

არაბულენოვანმა პრესამ ამ ვიზიტს "ისტორიული" უწოდა, ხოლო ერთ-ერთმა გაზეთმა მთელი გვერდი აშშ-ყატარის ურთიერთობებს მიუძღვნა.

გარდა იმისა, რომ ყატარი ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ჯარების ყველაზე დიდი მასპინძელი ქვეყანა გახდა, ყატარში ამერიკელმა ინვესტორებმა მილიარდობით დოლარი დააბანდეს.

ყატარმა არაბულ სამყაროში დემოკრატიზაციის პროცესს აქტიურად დაუჭირა მხარი და თავად მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმები გაატარა.

ყატარმა, აგრეთვე, სურვილი გამოამჟღავნა, რომ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების მოგვარებაში შუამავლის როლი შეასრულოს და ისრაელთან არაფორმალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გააღრმავა.

მაისში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი შეიხი ჰამად ბინ იაბრ ალ-სანი თავის ებრაელ კოლეგას სილვან შალომს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის განსახილველად პარიზში შეხვდა.

ჯორჯ ბუშთან შეხვედრამდე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ერაყის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პოლ ბრემერსაც შეხვდა. პრეზიდენტი ბუში ახლო აღმოსავლური ტურნეს ბოლოს ყატარის ემირს შეიხ ჰამად ბინ ხალიფა ალ-სანის დოჰას (ყატარის დედაქალაქი) სამეფო სასახლეში შეხვდება.

სილვიო ბერლუსკონი სამუდამოდ ხელშეუხებელი ხდება

REUTERS

ბერლუსკონი კმაყოფილია

გუშინ იტალიის პარლამენტის ზედა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის სასამართლოსგან ხელშეუხებლობის გარანტია მიენიჭა. ამგვარად, სილვიო ბერლუსკონის წინააღმდეგ, მილანში დაწყებული სასამართლო პროცესი, შესაძლოა, მთლიანად ბლოკირებული აღმოჩნდეს. როგორც ცნობილია, იტალიის პრემიერ-მინისტრს კორუფციაში ადანაშაულებენ. კერძოდ, მას ბრალი ედება მოსამართლეებისათვის ქრთამის შეძლევაში წინა სასამართლო პროცესების დროს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა, სილვიო ბერლუსკონის უზარმაზარი ფინანსური კავშირები აქვს და ის იტალიის მასმედიის გავლენიან მაგნატად ითვლება. წინა სასამართლო პროცესები, რომლებიც მის სახელს უკავშირდებოდა, ბერლუსკონის ფინანსურ მოღვაწეობას და მისი კომპანიების საქმიანობას შეეხებოდა.

თავად სილვიო ბერლუსკონი კი, კორუფციასთან კავშირს, რასაკვირველია, კატეგორიულად უარყოფს.

რაც შეეხება ზედა პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელმაც მომდევნო განხილვა ქვედა პალატაში უნდა გაიაროს, იტალიის ხუთ უმაღლეს პირს – პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ორივე პალატის სპიკერებს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს იურიდიული ხელშეუხებლობის გარანტიას ანიჭებს.

დამკვირვებელთა აზრით, რადგანაც სილვიო ბერლუსკონის პარტია, ქვეყნის ორივე პალატაში მნიშვნელოვან უმრავლესობას ფლობს, ამ კანონპროექტის საბოლოოდ დამტკიცება ეჭვს აღარ იწვევს.

როგორც ცნობილი გახდა, სილვიო ბერლუსკონიმ აღნიშნული კანონპროექტის იდეა მას შემდეგ წამოაყენა, რაც მისმა ადვოკატებმა მილანის სასამართლოში პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დაწყება ვერ აღკვეთეს. უნდა ითქვას, რომ ასეთი კანონი, რომელიც იტალიის ხელისფლების უმაღლეს წევრებს ხელშეუხებლობის გარანტიას ანიჭებდა, ათი წლის წინ გაუქმდა, რის შემდეგაც ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა პირებმა და ორგანიზაციებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს.

მრავალი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ქვედა პალატაში აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ, დღის წესრიგში პარლამენტის დეპუტატების სასამართლო ხელშეუხებლობის საკითხი დადგება.

რომის პაპის ვიზიტი ხორვატიაში

REUTERS

პაპი ხორვატიაში ხუთ დღეს დაჰყოფს

ხორვატიაში რომის პაპის იოანე პავლე მეორის ხუთდღიანი ვიზიტი იწყება. 83 წლის პაპისათვის, ეს მეასე საზღვარგარეთული ვიზიტი იქნება. ხორვატიაში ის უკვე მესამედ ჩადის. რომის პაპმა ხორვატია პირველად ცხრა წლის წინ მოინახულა. იმ დროს ამ ვიზიტმა ხორვატებზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ქვეყნის სამი მეოთხედი ამბოხებული სერბების მიერ იყო ოკუპირებული. ხორვატიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, ნაციონალისტმა ფრანიო ტუჯმანმა ვატიკანის მეთაურის და კათოლიკური სამყაროს სულიერი ლიდერის ვიზიტი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერებმა პაპთან შეხვედრაზე ცხრა წლის წინ უარი განაცხადეს. ხორვატიაში მიიჩნევენ, რომ რომის პაპის პირველმა ვიზიტმა მათი სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას და დამოუკიდებლობას მისცა ბიძგი.

ამჟამად კი, რომის პაპი იოანე-პავლე მეორე უკვე დაწყნარებულ და აღმავლობის გზაზე მყოფ ხორვატიაში ჩადის. სერბებთან ომის მტკივნეული მოგონებები ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. ხორვატიას ამჟამად მართავს ხელისუფლება, რომლისთვისაც შოვინისტური პოლიტიკა მიუღებელია და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ხორვატიაში მცხოვრებმა სერბებმა გაუცხოებულად და მიტოვებულად არ იგრძნონ თავი.

ვატიკანის მეთაურს შეხვდებიან ხორვატიის პრეზიდენტი სტიპე მესიჩი და პრემიერ-მინისტრი ივიც რაჩანი. დამკვირვებელთა აზრით, ისინი ყველანაირად შეეცდებიან, ხორვატი ნაციონალისტების ლიდერის და ყოფილი პრეზიდენტის ფრანკო ტუჯმანის მომხრეებს დაუმტკიცონ, რომ რომის პაპთან ურთიერთობა ნაციონალისტების და ორთოდოქსი კათოლიკეების მიერ არ არის მონოპოლიზებული.

ჰამიდ კარზაი ლონდონს დახმარებას სთხოვს

ოთხშაბათს, დიდ ბრიტანეთში ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ კარზაის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. ის ლონდონში შეხვდება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს, საგარეო საქმეთა მინისტრს ჯეკ სტროს და ასევე, უინძორის რეზიდენციაში ეწვევა დედოფალ ელისაბედ მეორეს. ოფიციალურ ლონდონთან მოლაპარაკებების მთავარ საკითხს ავღანეთის აღდგენის და რეკონსტრუქციის პროცესის ხელშეწყობა და დაჩქარება წარმოადგენს. ამავე კონტექსტში იქნება განხილული ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის გამყარების, ნაციონალური არმიის შექმნის და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების საკითხები. როგორც ცნობილია, ამჟამად ავღანეთში ახალი კონსტიტუციის მიღების პროცესი მიმდინარეობს. დემოკრატიის დამყარების მიზნით, ავღანეთში ახალი კონსტიტუციის მიღება, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად განიხილება. ამის შემდეგ კი, ქვეყანაში მომავალი წლის ივნისში საყოველთაო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ავღანეთს ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა უნდა უხელმძღვანელონ. ამასთანავე, ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი და უფლებათადამცველი გამოთქვამს შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ შეიარაღებულმა ჯგუფებმა, შესაძლოა, ზეწოლა მოახდინონ ავღანეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც კონსტიტუციის პროექტის განხილვაში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ავღანეთის ყველაზე დიდ პრობლემას საველე მეთაურთა და მათდამი დაქვემდებარებული ჯგუფების განიარაღება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ თალიბანის რეჟიმიდან შემორჩენილი საველე მეთაურები, ჯერ კიდევ საკმაოდ ანგარიშგასაწევ შეიარაღებულ დაჯგუფებებს აკონტროლებენ. ეს კი ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის მებრძოლ პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის უდიდეს დაბრკოლებებს უქმნის. ამ ვიზიტის თაობაზე საუბრისას, ბევრი დამკვირვებელი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ავღანეთის პრეზიდენტი დიდ ბრიტანეთს საერთაშორისო სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების თხოვნით მიმართავს. სამშვიდობოთა ავღანეთში ყოფნა ჰამიდ კარზაის, მინიმუმ, იმ დრომდე მაინც ესაჭიროება, ვიდრე ის საველე მეთაურთა განიარაღებას და ქვეყნის არმიის გაძლიერებას შეძლებს.

ლონდონში გამართული მოლაპარაკებების დროს, არანაკლები ყურადღება დაეთმობა ავღანეთში ჰეროინის წარმოებასთან ბრძოლას. ოფიციალური ლონდონი, უკვე დიდი ხანია, გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ბრიტანეთის შავ ბაზარზე ჰეროინის 90% სწორედ ავღანური წარმოებისაა.

REUTERS

ავღანეთის ყველაზე დიდ პრობლემას უკანონო ჯგუფების განიარაღება წარმოადგენს.

საქართველოში და აფრიკაში დემოკრატია ერთ დონეზეა

პირველი გვერდიდან

როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა მაიკლ გოლდფარბმა "რადიო თავისუფლებას" განუცხადა, განსაკუთრებით უარყოფითი ტენდენციები ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში დაფიქსირდა: "ბალტიის ქვეყნების გამოკლებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ".

"რადიო თავისუფლების" ცნობით, დემოკრატიზაციის მხრივ, რეგიონში ყველაზე უარყოფითი ტენდენციები დაფიქსირდა საქართველოში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. შედარებით ნაკლები უკუსვლა იყო სომხეთში, ბელარუსში, ბულგარეთში, ხორვატიასა და პოლონეთში.

2002 წელს მოსახლეობის პოლიტიკურ უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებას (თავისუფლების ხარისხის გასაზომად ფრიდომ ჰაუსი ამ ორ ინდიკატორს იყენებს) კავკასიაში სერიოზული საფრთხე შეექმნა.

"საქართველოში ადგილობრივმა არჩევნებმა ძალადობისა და მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე ჩაიარა, – ამბობს გოლდფარბი, – ხშირი იყო დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები. ამ ქვეყანაში სუსტია დემოკრატიული ინსტიტუტები, ანტიკორუფციული ზომები არაეფექტური გამოდგა". საგანგებოდაა აღნიშნული ისიც, რომ საქართველოში განსაკუთრებული პრობლემები იქმნება კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ევროპაში სულ სამ ქვეყანაში დაფიქსირდა რეგრესი ამ სფეროში: საქართველოში, მოლდავეთსა და ხორვატიაში.

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებს, ყველაზე მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა რუსეთმა. ამ ქვეყანაში არსებული ტენდენცია მოხსენებაში ძალზე შემაშფოთებლად არის შეფასებული. მისი ავტორები ბრალს სდებენ პუტინს ძალაუფლების მეტისმეტ კონცენტრაციაში, ქვეყანაში არსებულ კორუფციის წარმოუდგენელ მასშტაბებში და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების არარსებობაში. თავისუფლების ინდექსში რუსეთს კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე საქართველოს.

"მაგრად მოხვდათ" ყაზახეთსა და ყირგიზეთსაც. აკაევს ბრალად ედება ოპონენტებზე სისტემატური ზენოლა, ხოლო ნაზარბაევს - იმ ჟურნალისტების რეპრესირება, რომელთაც კორუფციაში ღრმად ჩახედვა სცადეს. გოლდფარბის თქმით, ადამიანის უფლებათა მასობრივ უგულებელყოფას რეგიონში ამერიკული ჯარების შემოსვლამაც ვერაფერი უშველა.

რაც შეეხება სომხეთს, მოხსენების თანახმად, ამ ქვეყანას "ძალზე არაჯანსაღი პოლიტიკური სისტემა" გააჩნია, გარდა ამისა, პრობლემები აქვს სოციალ-ეკონომიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საკმაოდ მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ დადებითად შეფასდა აზერბაიჯანისა და უკრაინის პოლიტიკური განვითარება.

როგორც ამ მოხსენების რედაქტორმა, ჯენიფერ უინძორმა "თავისუფლებას" განუცხადა, უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში არაკომუნისტური ოპოზიციის წარმატება იმედის საფუძველს იძლევა. "დემოკრატიული ოპოზიცია სულ უფრო აქტიური, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ხდება, რაც მისასალმებელია", - დასძინა მან.

საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის მოხსენება საკმაოდ პესიმისტურია. მთელ რეგიონში მხოლოდ ერთ ქვეყანაში - ბოსნია-ჰერცოგოვინაში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი დემოკრატიული ძვრები.

ის დადებითი ცვლილებებიც, რაც მოხდა, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას უნდა მიეწეროს, და არა ხელისუფალთა რეფორმისტულ მისწრაფებებს – აღნიშნავენ მოხსენების ავტორები. დაახლოებით, იგივე მდგომარეობა იყო 2001 წლის მოხსენების მიხედვითაც. თუკი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ეს ადვილი ასახსნელია: ეს სახელმწიფოები უკვე საკმაოდ დემოკრატიულნი გახდნენ და მნიშვნელოვანი ნაბიჯების ადგილი უკვე აღარ დარჩა, ყოფილ საბჭოთა კავშირში უარყოფით ტენდენციებს ანალოგიურ გამართლებას ვერ მოვუძებნით. ექსპერტთა დიდი უმეტესობა მნიშვნელოვან დადებით ტენდენციებს არც ელის. მათი აზრით, ყოფილმა საბჭოთა ნომენკლატურამ, რომელიც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დიდ უმეტესობას მართავს, უკვე ყველა რესურსი ამოწურა. ერთადერთ იმედად ამ ქვეყნებში თაობათა ცვლა რჩება.

ჩინეთის არმია სრულმასშტაბიანი მოდერნიზებისათვის ემზადება

რუსული იარაღითა და ამერიკული მოდელით

უილი ლამი
„ჰერალდ ტრიბიუნი“

ჩინეთის პრეზიდენტმა ხუ ძინთაომ მაისის ბოლოს გამართულ ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე სამხედრო ძალების გაძლიერების შესახებ განცხადება გააკეთა.

სამხედრო საკითხებისადმი მიძღვნილ, პოლიტბიუროს ამ საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩინეთმა "თავდაცვის სფეროსა და არმიის მოდერნიზება და განვითარება უნდა შეძლოს". ხუმ აღნიშნა, რომ სახალხო გამათავისუფლებელი არმიის (სგა) არსენალის განსაახლებლად გაცილებით დიდი ოდენობის თანხები უნდა წარიმართოს, რადგან, მისი თქმით, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა "ძლიერმა ეროვნულმა არმიამ უნდა დაიცვას". ხუმ აქცენტი სგა-ში საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო დანერგვასა და ელექტრონული საშუალებების განვითარებაზე გააკეთა.

მაინც რამ განაპირობა სგა-ს შეიარაღების მოდერნიზების მიმართ პარტიისა და არმიის ხელმძღვანელობის გაორმაგებული ყურადღება?

საკვანძო როლი ერაყში ამერიკის შეიარაღების გამომზეურებამ შეასრულა. ომის დაწყებამდე პეკინმა ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო და დაზვერვის ექსპერტები გააგზავნა, რათა ამერიკის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მოქმედებისათვის თვალყური ახლოდან ედევნებინა. აპრილის დასაწყისიდან სამხედრო ანალიტიკოსებმა უამრავი სემინარი მოაწყვეს იმის თაობაზე, რა შეიძლება ისწავლოს სგა-მ ამერიკული ტაქტიკიდან და შეიარაღების რა ტიპი შეიძინოს.

სგა-ს გადაწყვეტილება, რომ საკუთარი არსენალი 21-ე საუკუნის სტანდარტებს გაუთანაბროს, უბედურმა შემთხვევამ გაამყარა: აპრილის შუა რიცხვებში ჩინური წყალქვეშა ნავი ჩაიძირა. ბორტზე მყოფი ეკიპაჟის სამოცდაათივე წევრი დაიღუპა. მომხდარის შემდეგ ხუმ დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ სგა-მ "მომხდარიდან შესაბამისი გაკვეთილი უნდა გამოიტანოს" და ხელი აიღოს მოძველებული ტექნიკის შენარჩუნებაზე, რასაც უბედური შემთხვევა დაბრალდა.

რეალურად, ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზების შესაძლებლობის შესწავლა გასული წლის ნოემბერში კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობის დასრულებისთანავე დაიწყო. პეკინში არსებული სამხედრო წყაროს ცნობით, ჩინეთის სამხედრო კომიტეტმა სგა-ს დოქტრინისა და შეიარაღების მოდერნიზებაზე მუშაობა, პრაქტიკულად, დაასრულა. ამავე წყაროს ცნობით, 2.4 მილიონიანი არმია, დაახლოებით, 500 000 კაცით შემცირდება. ეს პროცესი ამ წლის ბოლოდან დაიწყება. ძირითადად, სახმელეთო ძალებს შეამცირებენ. შემცირება არასაბრძოლო ერთეულებსაც შეეხებათ - სამეცნიერო ცენტრებს, საავადმყოფოებსა და საინჟინრო ბატალიონებს.

ამას გარდა, სასარდლო სტრუქტურა შეიცვლება და უპრეცედენტო ძალაუფლება სამხედრო კომიტეტსა და პეკინში არსებულ ცენტრალურ სასარდლო ერთეულებს გადაეცემათ. სამხედრო წყაროს ცნობით, მომავალი ერთი-ორი წლის განმავლობაში მოსალოდნელია შვიდი სამხედრო რეგიონის თანდათანობით გაუქმება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამხედრო კომიტეტში კონცენტრირებული გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული სისტემა ინტეგრირებული სასარდლო ცენტრის შექმნას შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები ამერიკული მოდელის მიხედვით ხორციელდება.

ერაყის ომის დასრულების შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა სიონ კუანქაიმ აღნიშნა, რომ სამხედრო პერსონალის შემდგომი შემცირება აუცილებელია, რათა შეიარაღებულ ძალებში "მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა მოხდეს". სამხედრო დაზვერვის ვეტერანმა ხელმძღვანელმა სიონმა კომუნისტური პარტიის და არმიის ხელმძღვანელობას მოუწოდა, რომ კოორდინაციის ხარისხი გააუმჯობესონ. სამხედრო თეორეტიკოს ძია ფენშანის თქმით ამერიკელების ბლიცკრიგიდან გამოტანილი მთავარი დასკვნა ის არის, რომ "უპირატესობა საინფორმაციო ტექნოლოგიებში ბრძოლის ველზე წარმატებას განაპირობებს".

სგა-ს სწრაფ მოდერნიზებაზე გაკეთებული აქცენტი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორისათვის განკუთვნილი რესურსების ნაწილი სამხედრო სფეროში კვლევასა და განვითარებას მოხმარდება. აგრესიულ სამხედრო მოდერნიზებას საგარეოპოლიტიკური ეფექტიც ექნება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რუსეთთან სწრაფად მზარდი სამხედრო ურთიერთობები. რუსეთი ჩინეთისათვის თანამედროვე იარაღის მთავარი მიმწოდებელია, დაწყებული უახლესი გამანადგურებლებიდან და დასრულებული წყალქვეშა ნავებით. მაისის ბოლოს რუსეთში სტუმრობის წინ, პრეზიდენტმა ხუმ განაცხადა, რომ პეკინი შეეცდება "რუსეთსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობები ახალ საფეხურზე აიყვანოს". პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის გარდა, ხუმ რუსული სამხედრო საწარმოებიც მოინახულა.

ხუს რუსეთში თან ახლდა ჩინეთის თავდაცვის მინისტრი გენერალი კაო კანჩუანი. იგი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და შეიარაღების შესყიდვაზეც აგებს პასუხს. იგი ერთადერთია სამხედრო კომიტეტის წევრებიდან, რომელმაც განათლება საბჭოთა კავშირში მიიღო.

რუსული საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, კაო განსაკუთრებით დაინტერესებულია თვითმფრინავების სუ-27-სა და სუ-30-ის მოდერნიზებითა და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო სისტემების შესყიდვით.

არძინბას ბრძანებით, ბზიფის ნაკრძალი გაჩეხეს, - ჩივის გიორგი გაჩეჩილაძე

ნანა ქადაგიშვილი

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გუშინდელი ფორუმი თამარ გვერდწითელის მიერ დამღერებული საქართველოს ბუნების ჰიმნით დაიწყო და გარემოსდაცვითი დეკლარაციის მიღებით დამთავრდა. ამ დეკლარაციის ძირითადი მოთხოვნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დახვეწა და სპეციალური ფონდის შექმნა გახლავთ. მისი განხორციელება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა. ნინო ჩხობაძე გვარწმუნებს, რომ უწყება ამ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

ოპერისა და ბალეტის თეატრში მოწყობილი გუშინდელი ფორუმი, ძირითადად, საქართველოს ბუნების წარსული დიდების გახსენებას დაეთმო. გამომსვლელებმა დამსწრეებს აუხსნეს, რომ "ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი" ქვეყანა გვაქვს და ასეთ ცასა და ხმელეთს გაფრთხილება სჭირდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა მსმენელებს ხეებისა და, საერთოდ, ტყის აუცილებლობა შეახსენა. "მწვანეთა პარტიის" ლიდერმა, გიორგი გაჩეჩილაძემ კი ტყის თემა უფრო განავრცო. "იშვიათია სახელმწიფო, სადაც ტყისა და წყლის ისეთი რესურსი იყოს, როგორიც საქართველოშია, ზოგს კი ჰგონია, რომ ქვეყანაში ტყე მათ გასამდიდრებლად არსებობს. მთელი აფხაზეთის ტყის მასივი გაიჩეხა - გასულ წელს 40-45 კუბური მეტრი უძვირფასესი ხის მასალა გაყიდეს. არძინბას ბრძანებით, ბზიფის ხეობის ნაკრძალიდან მოჭრილი ხეებსა და წითელ წიგნში შეტანილ ზუთხებს გემებზე ტვირთავენ და გააქვთ. საქართველოს დანარჩენ ნაწილშიც არ არის უკეთესი მდგომარეობა. ჰაერის დაბინძურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ტყის მასივის გაჩეხვის შედეგად გამოწვეულმა მეწყერებმა ქვეყანას 300 მლნ.-ის ზარალი მიაყენა", - განაცხადა გაჩეჩილაძემ და პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდი გაიხსენა. "მაშინ პარლამენტმა, ჩვენი წყალობით, 21 გარემოსდაცვითი საკანონმდებლო აქტი მიიღო და საქართველოს კონსტიტუციაში ეკონომიკის ეკოლოგიური სტრატეგიაც ჩაიდო", - მსმენელებს საკუთარი ნამოღვაწარი შეახსენა "მწვანეთა" ლიდერმა.

ფორუმმა ასე, წარსულის მოგონებით ჩაიარა. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი რამ მაინც გაკეთდა - გარემოსდაცვით საკანონმდებლო აქტებს კიდევ ერთი დოკუმენტი შეემატა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი პროგრამა

ლელა მარგიანი

ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (მსო) ჩეხეთის რესპუბლიკიდან ქართველი მიგრანტების დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანია ჩეხეთის საემიგრაციო სამსახურის მიერ თავშესაფარზე უარით გასტუმრებული და, საემიგრაციო კანონის დარღვევის გამო, დაკავებული ქართველი მოქალაქეების უკან ღირსეული დაბრუნება. მსო-ს ახალი პროექტის შუამდგომლობა საქართველოში ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა ირჟი ნეკვასილმა ითავა. პროექტი ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფინანსდება. იგი სამ წელიწადს გაგრძელდება და საქართველოს, დაახლოებით, 180 მოქალაქეს დაეხმარება სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში. დახმარება, რომელსაც მსო დაბრუნებულ მიგრანტებს შესთავაზებს, ნაწილობრივ, ორგანიზაციის მიერ შრომის ბაზრის ანალიზს დაეყრდნობა. ანალიზის საფუძველზე, მსო გამოარკვევს საქართველოს შრომის ბაზრის შესაძლებლობებს და შეეცდება, არსებული საშუალებები დაბრუნებული მიგრანტების კვალიფიკაციასა და ინტერესებს შეუსაბამოს.

მოკლედ

თბილისი. საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ქალაქის მთავრობამ "დუბლირებული ფუნქციის" მქონე საქალაქო მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამსახურების არსებობის საკითხი უნდა განიხილოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გუშინ დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ხეივანი გაიხსნა. ხეივანი თბილისის მერმა, ვანო ზოდელავამ მოინახულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უახლოეს მომავალში ყიფშიძის ქუჩაზე გაიხსნება ახალი სამედიცინო ცენტრი - მრავალპროფილიანი ამბულატორული კლინიკა, სადაც პაციენტებს კვალიფიციური სპეციალისტები პირველად დახმარებას აღმოუჩენენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, დაახლოებით, 17.30 საათზე, ვაზისუბნის დასახლებაში უბედური შემთხვევა მოხდა - მე-20 კორპუსის გამაგრებითი სამუშაოების დროს ხარაჩო ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლა ერთ-ერთი მუშა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტმა თხოვნით მიმართა "თბილგაზის" ხელმძღვანელობას, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე არ გაავრცელონ რაიმე სანქციები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, გია მურღულიამ განაცხადა, რომ მუნიციპალური სკოლები შეიქმნება, მიუხედავად განთლების სამინისტროს დიდი წინააღმდეგობისა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის - "ქართლი-2"-ს დაზიანების გამო, გუშინ, 17.15 საათზე თბილისის მეტროპოლიტენში მატარებლების მოძრაობა შეჩერდა. საბედნიეროდ, მატარებლები გვირაბებში არ გაჭედილა. **მედია-ნიუსი**

პრეზიდენტი არ გადადგება

"კიდევ ორი წლის განმავლობაში ვიქნები თქვენს განკარგულებაში!" - დაჰპირდა შევარდნაძე აკადემიკოსებს

ზაზა ფაჩუაშვილი

ოპოზიციის ერთდღიანი "რევოლუციის" შემდეგ, რომელმაც დაუნდობლად შეაზანზარა პარლამენტის მოპირდაპირე ღობე, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განტვირთვა მშობლიურ გარემოში სცადა. იგი მეცნიერებათა აკადემიაში საანგარიშო სხდომას დაესწრო და მსოფლიოს გლობალური პროცესებში მონაწილე საქართველოს შესახებ თავისი საყვარელი სიტყვაც წარმოთქვა.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

პრეზიდენტი მშობლიურ გარემოში.

პრეზიდენტის გამოჩენისას დარბაზში საწყენად ზომიერი ტაში გაისმა. სუბორდინაციის პატივისმცემელი რამდენიმე მეცნიერის გარდა, რომელთაგან ზოგს წელში ბოლომდე გაშლა დაეზარა, ფეხზეც არავინ ამდგარა. მეცნიერთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმე რომ არ იყოს, ნამდვილად მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდებოდნენ ადამიანს, რომლის დამსახურებით აკადემიას რევოლუციური შემცირება დღემდე არ შეეხო.

მეცნიერების სავალალო მდგომარეობას ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, თუმცა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ თავის 40 წუთიან საანგარიშო მოხსენებაში ძირითადად წარმატებებზე ისაუბრა. როგორც აღმოჩნდა, ქვეყნის მეცნიერება ცოცხალია და მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ძალიან ნაყოფიერადაც მუშაობს. ამას მოწმობს ერთი წლის განმავლობაში გაკეთებული ათობით მონოგრაფია და ასობით მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი შევარდნაძის, ნაწილი კი უცხოური გრანტებით დაფინანსებულა.

ალბერტ თავხელიძემ უკმაყოფილება გამოთქვა სამინისტროების მისამართით, რომელთა მესვეურები მეცნიერებთან არ თანამშრომლობენ და მეცნიერებათა აკადემიის პოტენციალს არ იყენებენ.

"ფულს, ჯერჯერობით, არავის ვთხოვთ და მზად ვართ, ყოველგვარი თავმოყვარეობის გარეშე ვითანამშრომლოთ, ოღონდ გამოიყენონ აკადემიის პოტენციალი," - განაცხადა თავხელიძემ, რომელმაც დარბაზის შენიშვნის შემდეგ, თავმოყვარეობას ნუ დავკარგავთო, განმარტა, რასაც გულისხმობდა: "ტიტულებს არ გამოვეკიდებით, თუ დაგვიბარებენ, ვეახლებით და მოვემსახურებით"-ო.

მეცნიერების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კანონპროექტს "მეცნიერთა სოციალური დაცვის შესახებ". თავხელიძის შეფასებით, ეს არის პროექტი, რომლის გარეშე მეცნიერებაში პროგრესი შეუძლებელია. "მათემატიკის" ინსტიტუტის დირექტორმა ივანე კიღურაძემ კი სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ხსენებული კანონი საერთოდ არ იქნება მიღებული. როგორც გაირკვა, მას ფინანსთა სამინისტრო ეწინააღმდეგება.

კანონპროექტი ითვალისწინებს მეცნიერთა ხელფასებისა და პენსიების გაზრდას ისე, რომ მათ "სულ სამათხოვროდ არ ჰქონდეთ საქმე", მაგრამ, როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტრო ამას შეუძლებლად მიიჩნევს. კიღურაძის გათვლებით კი, რომლის მათემატიკურ შესაძლებლობებში პრეზიდენტს ეჭვი არ შეუტანია, ფინანსთა სამინისტროს შეშფოთება უსაფუძვლო ყოფილა.

ივანე კიღურაძე: "თანხები არ არისო, ამბობენ, მაგრამ თანხებს მე ვაპოვნინებ. აგერ, ბატონო, სპეცსახსრები და სხვა ხარჯები იმდენი აქვთ, რომ კანონპროექტის მიღებას ხელი არ უნდა შეუშალონ. თანაც ჩვენ არ ვითხოვთ ხელფასების უცებ გაზრდას. მოხდეს ეს ეტაპობრივად, 5 წლის მანძილზე, რაც სავსებით შესაძლებელია".

ამის შესახებ დავჯდეთ და ვილაპარაკოთო, უპასუხა მას შევარდნაძემ.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ გაურკვეველი პირები მძლავრი აპარატურით ეძებენ მიწისქვეშა განძს, თხრიან და მერე სად მიაქვთ, უცნობია.

შევარდნაძემ პირობა დადო, რომ შესაბამის ძალოვან უწყებებს საქმის გარკვევას დაავალებს.

მეცნიერები სხვა მტკივნეულ პრობლემებსაც შეეხნენ, დაწყებული დღგ-ს მოხსნიდან, დამთავრებული ახალგაზრდობის უზნეობით. ადეკვატური იყო შევარდნაძის საპასუხო სიტყვაც, რომლის დროსაც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც გაირკვა. იგი გადადგომას არ აპირებს და მეცნიერთა სამსახურში კიდევ ორი წლით დარჩება.

ვიდრე სული უდგას და მერეც!..

მაკა ჭაიანი

გურამ შარაძის გუშინდელი პრესკონფერენცია, რაღა თქმა უნდა, ემოციური იყო; რაღა თქმა უნდა - საჭირბოროტო. პარლამენტარი ქართველებსა და ქართველობას იცავდა, მისი განცხადებით, საქართველოში ყველაზე მეტად დაჩაგრულთ. ეს ყველაფერი გუშინ ლევან ღვინჯილიას, რევაზ მიშველაძის, ნანა დევდარიანის, რუსუდან ბერიძის, ლადო ჭანტურიას, მამუკა ნოზაძის, მიხეილ სააკაშვილისა და "თავისუფლების ინსტიტუტის" განქიქებითა და ბასილ მკალავიშვილის დაცვით გამოიხატა.

მივყვეთ თანმიმდევრობით.

ვიდრე ჰააგაში წავიდოდა, ლევან ღვინჯილია, თურმე, ამბობდა, - ამ ქვეყნის ყველა მოქალაქემ ქართული უნდა იცოდესო; იქაური ჰაერი ჩაყლაპლა და, ახლა სხვა რამეებს ამტკიცებს.

დაახლოებით, იგივე დამართნია რევაზ მიშველაძესაც - სანამ პარლამენტში შებრძანდებოდა, გურამ შარაძის ეროვნულ იდეებს მხურვალედ უჭერდა მხარს, დღეს კი მის მხარდაჭერას კოლეგა პარლამენტარი ვეღარ გრძნობს (საერთოდ, ბატონი გურამი ეჭვობს, რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (და, შესაძლებელია, ხელისუფლების სხვა ორგანოებიც) იეღოველებით არის სავსე. ასეთი ფიქრები სტატუსით თავადაც უმაღლეს კანონმდებელს იმან აუშალა, რომ პარლამენტმა დღემდე ვერ შეძლო რელიგიის შესახებ კანონის მიღება. მეტიც, რელიგიური სფეროს მოწესრიგებად მათ იეღოველებისა და სხვა სექტების აყვავება მიაჩნიათ).

ნანა დევდარიანი და რუსუდან ბერიძე ცნობილი საერთაშორისო დამბეზღებლები ყოფილან. ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვა (ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით), თურმე, სულ მათი დამსახურებით უთქვამს. ამასთან, რუსუდან ბერიძე საკუთარი მომხიბლაობის პოლიტიკურად გამოყენებაშიც ყოფილა შემჩნეული - შარაძის ცნობით, სწორედ ასე უცდია მას იმ ორთაშენელი პოლიციელიების შეჩერება, რომლებიც იეღოველთა კონგრესისთვის ხელის შეშლას აპირებდნენ. საბოლოოდ, მას კოვზი მაინც ნაცარში ჩავარდნია. ის კი არადა, ორთაშენელი მოსახლეობის მწვავე საუბრის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს პოზიციაც შეუცვლია და ქართველების შევიწროებაზე დაუწყია ლაპარაკი.

ლადო ჭანტურია და, მთლიანად, სასამართლო ხელისუფლება გურამ შარაძისთვის საუბრის ცალკე თემაა. ჭანტურიას იმას ახსენებს, სასამართლო ხელისუფების პირველ პირად დამტკიცების წინ როგორ ეძებდა პარლამენტარებს შორის მომხრეებს და როგორი სხვანაირი იყო მაშინ; მეორეს კი მიხეილ სააკაშვილისა და "თავისუფლების ინსტიტუტის" დაკვეთების შემსრულებლობაში სდებს ბრალს.

ეს ტრიუმვირატი - ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, "ნაციონალი" მიხეილ სააკაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" გურამ შარაძემ გუშინ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიზანმიმართულ და ჯგუფურ ბრძოლაში დაადანაშაულა. დასკვნაში ბრალმდებელმა ამ ბრძოლას ნაციონალური მოძრაობის ბრძოლა უწოდა ქართველებისა და ქართველობის წინააღმდეგ და ეს განცხადება იმით გაამაგრა, რომ პროკურორი, რომელმაც ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, "ნაციონალი" ნოდარ გრიგალაშვილის ძმაა.

ამ საიდუმლოს გაშიფვრა კიდევ უფრო ამძაფრებს პარლამენტარის სურვილს, დაიცვას დევნილი მკალავიშვილი. **"მე არ ვიწონებ მკალავიშვილის მეთოდებს, მაგრამ თავად რა მომცა ცივილიზებული გზებით სამართლის ძიებამ?** - კითხულობს შარაძე. - **საჩხერეში იეღოველმა ცოლმა ქმარი მოკლა, როცა მცირეწლოვანი შვილის დაკრძალვაზე ვერ შეთანხმდნენ, მძინარე საწოლზე მიაბა და ნაჯახით აკუწა; ჯანქანიძის მაგალითი გახსოვთ, 21 წლის ქალიშვილს დედა თავზე ადგა, სისხლი რომ არ გადაესხა ექიმს; 4 წლის ბავშვი გაწირა ასე კიდევ მამამ, - ხელს ნუ უშლით, მალე წავიდეს ჩემი შვილი იეღოვასთანო... ბასილ მკალავიშვილის ხალხს ადევს ვისიმე ცოდვა? როგორ შეიძლება ლიტერატურის განადგურების ბრალდებით აკავებდე ადამიანს, როცა ეს ლიტერატურა კონტრაბანდულია - ყალბი ბეჭდითაა განბაჟებული ფოთში, ორგანიზაცია კი, რომელსაც იგი ეკუთვნის - არალეგალური?"**

აქედან გამომდინარე, გურამ შარაძე არა მარტო ბასილ მკალავიშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას, მისთვის ბოდიშის მოხდასაც მოითხოვს.

ბუნებრივია, სასამართლო ამ წინადადების კომენტირებას არ აპირებს. დანარჩენი "ბრალდებულების" კომენტარები, ძირითადად, გაოცებული ღიმილით გამოიხატება. თავად ბატონი გურამი კი აცხადებს, რომ ქართველებისა და ქართველობის დამცველი იქნება, ვიდრე სული უდგას და... მერეც.

უპოვარებს „ჯეოსელიც" ეხმარება

ეთერ მამულაშვილი

თბილისში მცხოვრებ ჩვიდმეტ უპოვარს, კომპანია "ჯეოსელის" სახით, პატრონი გამოუჩნდა. უკვე მესამე წელია ჩვიდმეტივე ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობს, უფრო ზუსტად კი გაჭირვებით სულდგმულობს, ჯიქიას ქუჩის ბოლოში მდებარე "გაძვალტყავებულ" შენობაში. საკუთარი ნათესავ-ახლობლებისგან მიტოვებულ ადამიანებს, "ჯეოსელის" გარდა, საპატრიარქოც მფარველობს.

თითოეული მათგანი საღამოს ექვსი საათის დადგომას მოუთმენლად ელოდება. ზუსტად ამ დროს მათ ჭიშკართან "ჯეოსელის" მინი ავტობუსი ჩერდება, საიდნაც მათ იმ საღამოსთვის განკუთვნილ ვახშამს აწვდიან. გუშინ ეს ავტობუსი მათთან ჩვეულებრივზე ოთხი საათით ადრე საჩუქრებით დატვირთული მივიდა. მუყაოს ყუთები სავსე იყო საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებით და პატარებისთვის უამრავი დასახელების ტკბილეულით. "ჯეოსელმა" უპოვართა ამ დიდ ოჯახს საჩუქრებთან ერთად ათას ხუთასი ლარიც გადასცა. ეს კომპანიის თანამშრომლების მიერ მათივე ხელფასებიდან გაღებული ფულია, რამაც უპოვართა თავშესაფარს სულზე მიუსწრო. მართალია, თავშესაფარში, საპატრიარქოს დახმარებით, წყალი უკვე აღარ ჩამოდის, მაგრამ აქ ჯერ ჯკიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

უპოვართა "ოჯახი" კეთილი ადამიანების დახმარებით სულდგმულობს.

ლევან ხეირბეგოვის ფოტოები

თავშესაფრის უხუცესი წევრი 76 წლის მარო ბებოა, ყველაზე პატარა კი - 26 დღის მარიამი. ჩვიდმეტივეს თავგადასავალი ერთმანეთს ძალიან ჰგავს. მათთვის ყოველი დღეც ერთნაირია.

ოჯახის მზარეული, ანუ მთავრი მეტრაპეზე, როგორც მას თავშესაფარში ეძახიან, ნანა ბებიაა; მისთვის თავის დროზე ბათუმში მესამე რანგის კულინარის ტიტულიც კი მიუნიჭებიათ. ყველაზე მეტად ოჯახის წევრებს ნანა ბებიას გაკეთებული შებრაწული ქათამი, ცხელ-ცხელი აჭარული ხაჭაპური და ქიშმიშიანი ფლავი მოსწონთ. ამ კერძებს ოჯახის მთვარი მეტრაპეზე წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე ამზადებს - ახალი წლის წინა ღამეს, აღდგომის დღესასწაულსა და პატარების დაბადების დღეებზე.

წლევანდელი ახალი წელი აქაურებს სატრაბახოდ აქვთ - მათთან ერთად 2003 წლის პირველ დღეს საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის ვიცეპრემიერი კახა შენგელია შეხვდნენ. უზარმაზარ ტორტთან და ტკბილეულობასთან ერთად უპოვართა ოჯახმა სააკაშვილისგან დიდი ფერადი ტელევიზორი მიიღო, რომელიც მათი შენობის ყველაზე დიდ ოთახში მოთავსდა.

ოჯახის ჩვიდმეტივე წევრი, უკლებლივ, საღამოს რვა საათის შემდეგ თავის სკამიანად შედის ამ ოთახში მექსიკური თუ ბრაზილიური სერიალების საყურებლად. დაძინებამდე ნანახი სერიის გარჩევასაც ასწრებენ. მაგალითად, გვიან ღამემდე ცდილობენ, გაარკვიონ, რატომ უღალატა ხულიამ ალეხანდროს, ანდა რატომ დაუმალა მარიანამ ოჯახის წევრებს ბავშვის მამის ვინაობა.

შარშანდლიდან ამ ოჯახს საკუთარი პატარა მეურნეობაც აქვს, რომელსაც გამრჯე ეკა დეიდა უძღვება.

სახლის გვერდით ერთი გოჯი მიწის ნაკვეთი და ახლად ჩაყრილი ვენახიც არის. დაგვიანებული საგაზაფხულო ხვნა-თესვა აქ დღესაც გრძელდება. ისინი მოუთმენლად ელოდებიან შემოდგომისთვის პირველ მოსავალს.

ამ პატარა მამულის გარდა, თავშესაფარში მაცხოვრებლების ავლადიდება თხუთმეტიოდე ფრთა ქათმით, ოთხი ცხვრითა და ერთი ჭრელა ძროხით შემოიფარგლება. ორი დღის წინ თეთრი, დაწინწკლული "ფიორელა" და "ანდრესიც" შეემატათ. დედა-მამალი გოჭები - ერთ-ერთი ტელესერიალის საყვარელი გმირების ამ სახელებით ნანა ბებიამ მონათლა.

„ხურცილავა დანაშაულის ჩადენისას მიზანდასახულად მოქმედებდა", - ირწმუნება ექსპერტიზა

პირველი გვერდიდან

ექსპერტმა ნელი ჩოხელმა განმარტა ფიზიოლოგიური აფექტისთვის დამახასიათებელი სამი ფაზა. სწორედ ეს საკითხი გახდა განსასჯელის ადვოკატსა და ფსიქიატრს შორის ხანგრძლივი დავის საგანი. ექსპერტ-ფსიქოლოგის მტკიცებით, დანაშაულის ჩადენისას, ხურცილავას მოქმედებაში არ იყო ფიზიოლოგიური აფექტისთვის დამახასიათებელი მესამე ფაზა (პოსტაფექტური ასთენია), რადგან ის მიზანმიმართულად მოქმედებდა – ცდილობდა დანაშაულის კვალის დაფარვას, თითის ანაბეჭდების მოსპობას, ეძებდა გასაღებს, გააცნობიერა, რომ წასასვლელი ფული არ ჰქონდა, მოკლულის შარვლის ჯიბიდან აიღო ფული, გაქცევას ცდილობდა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ფიზიოლოგიურ აფექტს და მისთვის დამახასიათებელ სამ ფაზას – მოსამზადებელ ეტაპს, კულმინაციას და პოსტაფექტურ ასთენიას - ფსიქოლოგ-ექსპერტი, განსასჯელის ადვოკატი, პროკურორი და თავად განსასჯელი გუშინ დიდი ხნის განმავლობაში არჩევდნენ და მიმოიხილავდნენ. ადვოკატი დავით დადიანი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს განმეორებითი ექსპერტიზა არაპროფესიულ დონეზე, არაკვალიფიციურად და ზერელედ ჩაუტარდა და ფსიქოლოგებმა და ექსპერტებმა ხურცილავა პროცესზე

ბიჭიკა ბახაევის ფოტო

ხურცილავას ადვოკატი ექსპერტებს არ ენდობა.

დასახელებული მკვლელობის მოტივის გაუთვალისწინებლად გამოიკვლიეს. **"არადა, ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება სწორედ იმიტომ მოვითხოვეთ, რომ მაშინ ამავე ექსპერტმა, რომელიც დღეს ხურცილავას სახასიათო ნიშნებზე საუბრობს, განაცხადა, მკვლელობის მოტივი არ ვიცოდით, პაციენტი ისე გამოვიკვლიეთო. დღეს კი ირკვევა, რომ სასამართლო პროცესზე დასახელებული მკვლელობის მოტივი არც ახლა გაუთვალისწინებიათ, დასკვნაში მკვლელობის მოტივზე საერთოდ არ არის საუბარი"**, - აცხადებს განსასჯელის ინტერესების დამცველი. დავით დადიანი სასამართლო პროცესზე კიდევ აპირებს ახალი შუამდგომლობის დაყენებას იმავე მოთხოვნით – ხურცილავას ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდეს პროცესზე დასახელებული მოტივის გათვალისწინებით.

ადვოკატისა და ფსიქოლოგ ნელი ჩოხელის კამათი, რომელშიც საკითხის დასაზუსტებლად და გასარკვევად, შიგადაშიგ, პროკურორიც მონაწილეობდა, ექსპერტის კატეგორიული განცხადებით დასრულდა – **"გრიგოლ ხურცილავას პიროვნებიდან, მისი შინაგანი მახასიათებელი ნიშნებისა და თვისებებიდან გამომდინარე, დასახელებული მოტივის გათვალისწინებით, ხურცილავას შეეძლო, დაეძლია საკუთარი თავი, გადაელახა პრობლემა და დანაშაული არ ჩაედინა. ვიმეორებ, ის მოქმედებდა გამიზნულად"**, – ასეთია გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაკითხული ფსიქიატრის პოზიცია, რომელსაც განსასჯელის ადვოკატი კატეგორიულად არ ეთანხმება.

გუშინდელ პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნით, დაიკითხა ჟურნალისტი თამილა ლომიშვილი, რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა სანაიას მკვლელობის ის ვერსია, რომელიც პანკისურ კასეტასთან არის დაკავშირებული. "ელენე თევდორაძეს ეს კასეტა არ ჰქონია, კასეტა მქონდა მე, თუ ასეა, დღეს მე აღარ უნდა ვიყო ცოცხალი", - აცხადებს თამილა ლომიშვილი.

მომდევნო სასამართლო პროცესებზე, მოსამართლის გადაწყვეტილებით, კიდევ რამდენიმე დამატებით მოწმეს დაკითხავენ. ამის შემდეგ გამოქვეყნდება საქმეში არსებული მტკიცებულებები და მხარეებს შორის კამათი შედგება.

პანკისის ხეობაში მამა ბასილის ძებნა გრძელდება

ინგა ალავიძე

გუშინ, სოფელ დუისისა და ჯოყოლოს გადაკვეთაზე, მდინარე ალაზნის მიმდებარე ტერიტორიაზე უშიშროებისა და შსს-ს სპეცრაზმებმა ოპერაცია ჩაატარეს.

ძებნილ კრიმინალებსა და ძალოვანებს შორის გამართული შეტაკებისას გარდაიცვალა 35 წლის ჯემალ ცათიაშვილი, რომელიც 1999 წლიდან ადამიანის გატაცებებისა და ყაჩაღობისთვის იძებნებოდა. სამართალდამცველებმა დააკავეს სხვადასხვა მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის ძებნილი ხიზრი ხანგოშვილი, რომელიც მძიმედაა დაჭრილი და ამჟამად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ თბილისის "არამიანცის" საავადმყოფოში გადის მკურნალობას.

ჩვენი ინფორმაციით, ხანგოშვილი და ცათიაშვილი სოფელ დუისში ცხოვრობდნენ, მაგრამ კარგა ხანია, რაც საცხოვრებელი სახლები მიტოვებული აქვთ. ინფორმაცია მათი ხეობაში გამოჩენის შესახებ უშიშროების ძებნისა და დადგენის ცენტრმა ორი დღის წინათ მიიღო. უფრო ზუსტად, უშიშროების სამინისტრომ მოიპოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხიზრი ხანგოშვილი და ჯემალ ცათიაშვილი კახეთის რეგიონის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის ოჯახის წევრის გატაცებას გეგმავდნენ. გასატაცებელ პიროვნებას ხანგოშვილი და ცათიაშვილი სოფელ ჯოყოლოში შეიტყუებდნენ, შემდეგ მძევლად აიყვანდნენ და, ჯგუფის სხვა ორ ჩეჩენ წევრთან ერთად, გიატაცებდნენ.

უშიშროების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ცათიაშვილი და ხანგოშვილი პანკისის ხეობაში მომხდარ გახმაურებულ გატაცებებს ორგანიზატორობდნენ. სწორედ მათ მიერაა გატაცებული მამა ბასილ მაჩიტაძე. უშიშროების სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ ცნობილი ქართველი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცებაც აღნიშნული პირების სახელს უკავშირდება.

საავადმყოფოში მყოფი ხიზრი ხანგოშვილი სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს. მან მამა ბასილის გატაცებაში მონაწილეობა აღიარა და სამართალდამცველებს მამა ბასილის ადგილსამყოფელიც დაუსახელა. რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ, ხანგოშვილის მიერ მითითებულ სამალავებში, პანკისის ხეობის ტყეებში არსებულ გამოქვაბულებში, კანონდამცველებმა გატაცებულს ვერ მიაგნეს. ჩვენი ინფორმაციით, წელიწადნახევრის წინ გატაცებული ბერის ძებნას უშიშროების სამინისტრო პანკისის ხეობის ტყეებში ამჟამადაც აგრძელებს.

რამდენიმე დღის წინ კი, სოფელ ჯოყოლოში მდებარე საბავშვო სახლში, სადაც ჩეჩენი ლტოლვილები ცხოვრობენ, ძალოვანებმა ჩხრეკა ჩაატარეს. ჩვენი ინფორმაციით, ახმეტის პოლიცია უშიშროების სამინისტროს მიერ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე, ჯოყოლოში ჩეჩენი ვაჰაბიტის დასაჭერად ავიდა. არსებული მონაცემით, ძებნილი ვაჰაბიტი, რომელმაც ფანჯრიდან გადახტომით უშველა თავს, ვაჰაბიტური ორგანიზაციების ლიდერია და პანკისის ხეობაში იგი კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად ჩავიდა. კანონდამცველები გაქცეულ ჩეჩენ ვაჰაბიტს, რომელიც პანკისში იმყოფება, კვლავაც ეძებენ, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ.

მკვლელობა პრეზიდენტის რეზიდენციასთან

გუშინ, შუაღამისას, ორთაჭალაში პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს სამთავრობო დაცვის სამსახურის წევრებმა ავტომანქანა "ვაზ-2107" დაცხრილეს. მომხდარი ინციდენტის თაობაზე თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ, ტერაქტი იგეგმებოდა, არასწორი გამოდგა.

ინგა ალავიძე

სროლის შედეგად, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა ავტომანქანაში მყოფი, 20 წლის დავით შამოიანი, მძიმედ დაიჭრა არტემ ქოჩარიანი და მსუბუქი დაზიანება მიიღო ედიკ შამოევმა, რომელმაც სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, საავადმყოფო დატოვა და ამჟამად კანონდამცველებს ემალება.

თბილისის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოთავსებულ არტემ ქოჩარიანს რამდენიმესაათიანი ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ უმძიმესია.

მთაწმინდა-კრწანისის პროკურორის მირზა დოლიძის განცხადებით, შემთხვევის ადგილიდან "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან გასროლილი ტყვიის 14-მდე მასრა ამოიღეს. მასრებსა და ავტომანქანას, რომელიც მთლიანად დაცხრილულია, ექსპერტიზა ჩაუტარდებათ, რომლის პასუხიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

იმის გამო, რომ ინციდენტში სამთავრობო დაცვის თანამშრომლები მონაწილეობდნენ, სისხლის სამართლის საქმეს მთავარი სამხედრო პროკურატურა გამოიძიებს.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომელი, ბიჭიკო გუჩმაზაშვილი სამართალდამცველებმა აღიარებითი ჩვენების მიცემის შემდეგ დააკავეს.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას ინფორმაციით, ეჭვმიტანილი და ინციდენტის მონაწილე, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის დანარჩენი სამი თანამშრომელი სამხედრო პროკურატურაში საკუთარი ნებით მივიდნენ და გამოძიებას ჩვენებები მისცეს.

დაკავებულების განცხადებით, გვიან ღამით, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის სახელმწიფო დაცვის სამსახურმა მიიღო დავალება, რომ ბევრეთის ქუჩიდან სროლის ხმები ისმოდა, რის გამოც სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის საპატრულო ჯგუფი მათ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის დასათვალიერებლად გავიდა. პატრულებს გზაში დიდი სიჩქარით მომავალი "ვაზ-2107" მარკის მანქანა შეხვდათ. როგორც სახელმწიფო დაცვის თანამშრომელი ამბობს, მძღოლს გაჩერების ნიშანი მისცეს, რასაც ის არ დაემორჩილა, რის შემდეგაც დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთეს. ხოლო მას შემდეგ, რაც მანქანამ სვლა მაინც გააგრძელა, ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბიჭიკო გუჩმაზაშვილი ამტკიცებს, რომ მან მანქანას საბურავებში ესროლა.

. მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას განცხადებით, ბიჭიკო გუჩმაზაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და თუ მას წაყენებული ბრალდება დაუმტკიცდება, 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სამართალდამცველები ბევრეთის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტსაც იკვლევენ. თუმცა, კონფლიქტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია, იმის გამო, რომ ჩვენების მიცემაზე, როგორც თვითმხილველები, ასევე კონფლიქტის მონაწილეებიც უარს ამბობენ. საავადმყოფოშია მოთავსებული ამ ინციდენტისას მძიმედ დაჭრილი 14 წლის ერნა შამოევა და ილნა შამოევა. ისინი მანქანით, რომელიც დაცვის სამსახურის თანამშრომელმა დაცხრილა, საავადმყოფოში მიჰყავდათ.

ჰააგის სასამართლო ქართველთა გენოციდის საქმეს მოისმენს

აფხაზეთში ქართველთა გენოციდის საქმის მიმოხილვისა და საქმის წარმოების პროცედურის გასაცნობად 16-17 ივნისს ჰააგაში დაგეგმილია სპეციალური კონფერენცია. აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის, პაატა დავითაიას განცხადებით, ოფიციალური მიწვევა მის სახელზეცაა მოსული და შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში, ჰააგაში ისიც გაემგზავრება.

დავითაიას თქმით, კონფერენციაზე მოწვეულნი არიან ევროპის ქვეყნების პროკურორები, იუსტიციის სამინისტროთა წარმომადგენლები.

"თუ სარჩელის განხილვისას საქართველოს პრობლემა შეექმნება რომის სტატუტის გამო, რომლის რატიფიცირებაც ვერა და ვერ განხორციელდა, ჰააგის პროკურორისთვის მომიწევს პირობის მიცემა, რომ რატიფიცირება აუცილებლად მოხდება", - განაცხადა დავითაიამ.

„საქართველოში დესტაბილიზაციის ორი წყარო არსებობს - აფხაზეთის და პენიტენციური სისტემის", - ამტკიცებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

მისი თქმით, დესტაბილიზაციის ეს წყაროები, შესაძლოა, წინასაარჩევნოდ გარკვეულმა ძალებმა გამოიყენონ და ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა.

დავითაიას ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემაში ურთულესი მდგომარეობაა შექმნილი. თბილისის მე-5 საპყრობილე, საიდანაც ბოლო პერიოდში პატიმრები ხშირად გარბიან, 1836 წელს არის აშენებული და გამოსულია მწყობრიდან.

„ცივილიზებულ ქვეყნებში პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს ყველაზე მეტი ხელფასი აქვთ, საქართველოში კი მათი შრომის ანაზღაურება 70 ლარით განისაზღვრება, რაც ძალიან ცოტაა", - აცხადებს პაატა დავითაია.

ჩრდილოეთ ოსეთში კამიკაძე ქალმა ტერაქტი მოაწყო

ჩრდილოეთ ოსეთში ააფეთქეს ავტობუსი, რომელშიც სამხედრო მფრინავები და აეროდრომის ტექნიკური პერსონალი იმყოფებოდნენ. ავტობუსს 27 ადამიანი გადაჰყავდა, აქედან 17 დაიღუპა და 10 დაიჭრა. გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა შორისაა 14 ქალი, მოზდოკის სამხედრო აეროპორტის მოსამსახურეები. სხვა მონაცემით, დაიღუპა 16 და დაიჭრა 12 ადამიანი.

აფეთქებული ავტობუსი მოზდოკიდან 6 კილომეტრში მდებარე სამხედრო ავიაბაზისკენ მიემართებოდა.

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის სერგეი ფრიდინსკის განცხადებით, ავტობუსი ქალმა კამიკაძემ ააფეთქა. თეთრ სამოსში გამოწყობილი ქალი გზაზე მიმავალ ავტობუსს შეუვარდა და სხეულზე მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა.

. თვითმხილველთა თქმით, ტერორისტი ქალი, დაახლოებით, 30 წლის იყო. სამართალდამცველთა ინფორმაციით კი, ქალი-კამიკაძე ახალგაზრდა გოგონა იყო.

როგორც რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ, სერგეი ფრიდინსკიმ განაცხადა, კამიკაძის ვინაობა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მისგან თითქმის არაფერი დარჩა, მაგრამ თუ სხვა ტერაქტებთან მსგავსებას გავითვალისწინებთ, ჩეჩნური კვალი გამორიცხული არ არის.

ჩრდილოეთ ოსეთის პროკურატურამ ავოტობუსის აფეთქების ფაქტზე, ტერორიზმის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მოზდოკის ავიაბაზა ჩეჩნეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობს.

ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველმა სტრუქტურებმა მიიღეს დავალება, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე, სადგურებსა და მეტროებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრონ.

ექსპერტთა ვარაუდით, ავტობუსი მას შემდეგ ააფეთქეს, რაც გუშინწინ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ჩეჩნეთში ამნისტიის კანონპროექტი მეორე მოსმენით მოიწონა.

გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში

თეა ხოფერია

კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში – ასეთი გახლდათ თემა საკორპორაციო სამართლის მეორე გერმანულ-ქართული სიმპოზიუმისა, რომელიც გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა. სიმპოზიუმში, რომელიც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მხარდაჭერით ტარდება, მონაწილეობენ საკორპორაციო სამართლის წამყვანი ქართველი და გერმანელი მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. შეხვედრის მონაწილეებისთვის ერთ-ერთ ამოცანას მეწარმეთა შესახებ კანონის დახვეწა წარმოადგენს.

ბიჭიკა ბახაევის ფოტო

სიმპოზიუმის მთავარი ამოცანა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოყვანაა.

როგორც შეხვედრის ერთ–ერთმა მონაწილემ, მაინის ფრანკფურტის იურიდიული ფირმის Clifford Cnance Piunder–ის წარმომადგენელმა იოჰანეს ზემლერმა განაცხადა, როგორც საქართველოს, ასევე სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების სამართალს სოციალისტური პერიოდის გავლენა ეტყობა, თუმცა:

"ჩემს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საუკეთესო სამართლებრივი ნიადაგია მომზადებული, ამასთან, ინტენსიურად მიმდინარეობს კანონმდებლობის დახვეწა. ამ კონკრეტული შეხვედრის უმთავრესი ამოცანა კი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოყვანაა," – განაცხადა იოჰანეს ზემლერმა და ასევე განმარტა, რომ ერთ-ერთი უმთავრესი კანონი საკორპორაციო სამართალში - კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც საქართველოში, გერმანელი სპეციალისტების დახმარებით, 1994 წელს მიიღეს, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან ერთად უნდა დაიხვეწოს.

შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის თავმჯდომარის ვალერი ხრუსტალის განმარტებით, ქართული საზოგადოებისათვის კანონი მეწარმეთა შესახებ ახალია და არსებობის მხოლოდ ათ წელიწადს ითვლის. სწორედ ამიტომ არის საჭირო, მისი თქმით, ამ კანონის ყველა დეტალის სწორად გააზრება და გამოყენება.

"რომელიმე მოსამართლის მიერ კანონის არასწორად გამოყენებამ, შესაძლოა, მეწარმე იქვე დარბაზში გააკოტროს...", - აცხადებს ვალერი ხრუსტალი.

და ბოლოს, როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მთავარმა ინიციატორმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ განაცხადა, ქართულ-გერმანული სიმპოზიუმის ჩატარებას, რომელსაც გერმანელი სამართალმცოდნეობის ელიტა ესწრება, საქართველოს სამართლის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის ძალიან დადებითი მნიშვნელობა ენიჭება.

თავდასხმები ქუთაისელ ბიზნესმენებზე

ბექა სისაური
ქუთაისი

4 მაისს, საღამოს რვა საათზე ქუთაისელ ბიზნესმენს მურად იობიძეს ჯერჯერობით დაუდგენელი ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს და მისი გატაცება სცადეს. თავდასხმის დროს იობიძე, ცოლისძმასთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც კრიმინალებმა ბიზნესმენის გატაცება ვერ შეძლეს, მას ფეხის არეში სამი ჭრილობა მიაყენეს და გაიქცნენ.

იობიძეს ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ბაზრობა ეკუთვნის. მომხდარ ფაქტზე საქმე ყაჩაღობის მუხლითაა აღძრული. დამნაშავეების დაკავება პოლიციამ, მართალია, ვერ მოახერხა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქმის გახსნის იმედს არ კარგავს.

იმავე ღამით, დაახლოებით, 12 საათზე თავდასხმა მოხდა რეგიონში ცნობილი ბიზნესმენის რეზო დვალიშვილის ოჯახზეც. დვალიშვილები ლიმონათისა და ლუდის საწარმო "აიას", მინის ტარის ქარხანას და რამდენიმე საზკვების ობიექტს ფლობენ. რეზო დვალიშვილი ორიოდე თვის წინ გარდაიცვალა. მამის ბიზნესი კი შვილმა, ამბერკი დვალიშვილმა გააგრძელა. უცნობმა პირებმა დვალიშვილების ეზოში, ჯერჯერობით, დაუდგენელი ასაფეთქებელი ნივთიერება შეაგდეს და მიიმალნენ. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მხოლოდ სახლის მინები ჩაიმსხვრა და ეზოს მიმდებარე შენობები დაზიანდა. **"დაახლოებით, 12 საათზე ოჯახის წევრებმა მძლავრი აფეთქების ხმა გავიგონეთ, რომელიც ეზოდან მოდიოდა, დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ეზოში გაურკვეველი ნივთიერება იყო აფეთქებული... აფეთქებამდე არავინ დამმუქრებია და არც ვინმესთან კონფლიქტური ვითარება მქონია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცას ჩემი მოკვლა უნდოდა. ეს არის გაგრძელება იმ სერიული თავდასხმებისა, რომელიც დვალიშვილების გვარის მიმართ ხორციელდება,"**- აცხადებს ამბერკი დვალიშვილი.

მოკლედ

თბილისი. იჩქერიის რესპუბლიკის მთავარმა იდეოლოგმა მოვლადი უდუგოვმა დროებით პროფილი შეიცვალა და ბიზნესს მიჰყო ხელი, - ნათქვამია რუსული სპეცსამსახურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. იჩქერიის ინფორმაციის ყოფილი მინისტრი უდუგოვი, რომელიც ამჟამად იძულებით ემიგრაციაში იმყოფება, ვინმე რამზან განტემიროვის მიერ შექმნილი შიგაწვის ძრავის დაპატენტებას ცდილობს. როგორც ამბობენ, შემდგომში მისი წარმოების და გაყიდვის მიზნით. რუსული სპეცსამსახურების მტკიცებით, განტემიროვის შიგაწვის ძრავამ პირველი ტესტური გამოცდები საქართველოში გაიარა. რუსული მხარის ცნობით, უდუგოვი საკმაოდ ხშირად სტუმრობს თბილისს, რასაც "ქართველი სამართალდამცველები რატომღაც ვერ ამჩნევენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბასილ მკალავიშვილის მომხრეები ირწმუნებიან, რომ მკალავიშვილი, რომელსაც ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ იეღოვას მოწმეთა ლიტერატურის განადგურების ბრალდებით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, და ძებნილად გამოაცხადა, გლდანის მშენებარე ეკლესიაში იმყოფება. "ჩვენ პოლიციას მამა ბასილის დაპატიმრების ნებას არ მივცემთ", - აცხადებს ძებნილის მრევლი. ბრალდებულის ადვოკატები კი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას 48 საათის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული პოლიციის უფროსის თემურ ანჯაფარიძის თქმით, მკალავიშვილის ძებნისა და მისი დაპატიმრების თაობაზე ოფიციალური დადგენილება სამართალდამცველებს ჯერ არ მიუღიათ. დოკუმენტის მიღების შემდეგ კი ისინი კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად იმოქმედებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საოლქო სასამართლომ გუშინ მიღებული განჩინებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ის დოკუმენტაცია გამოითხოვა, რომლითაც ჩეჩენ რუსლან გელოგაევს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა. სასამართლო დავა ეხება რუსლან გელოგაევისათვის ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. სარჩელით სასამართლოს გელოგაევმა მიმართა. გუშინდელ სასამართლო პროცესზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გელოგაევს ლტოლვილის სტატუსი 2002 წლის 25 ნოემბერს ჩამოერთვა იმის გამო, რომ მან რეგისტრაციისას ყალბი ინფორმაცია წარადგინა.

გელოგაევის ადვოკატის მოთხოვნას სასამართლო დაეთანხმა და ის დოკუმენტი გამოითხოვა, რომელიც სამინისტრომ ყალბად მიიჩნია. **მედია-ნიუსი**

დემოკრატია თუ ავტოკრატია

ლევან იზორია
საქართველოს დოკტორი (გერმანია, გოტინგენი), თსუ-ს დოცენტი, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და საქართველოს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ადენაუერის ფონდის რეგიონული წარმომადგენელი კავკასიაში

სამართალი ამ ქვეყანაში ისევ გისოსებშია გამომწყვდეული.

ილარი ლელაძის ფოტო

დემოკრატიულ პროცესებს საქართველოში მოსახლეობა დიდ იმედებს უკავშირებდა. მაგრამ მრავალპარტიული სისტემის შემოღებამ, არჩევნების ორგანიზებამ, არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბებამ თითოეულ მოქალაქეს დემოკრატიის მხოლოდ ერთგვარი ფორმალური სახე შეუქმნა. ამ ფორმის შინაარსის მიმართ იგი იმედგაცრუებული დარჩა. არჩევნების მასობრივმა გაყალბებამ, პარტიების პარტიკულარიზმმა, არასამთავრობო ორგანიზაციების პარტიულმა ინტერესებმა, დემოკრატია საქართველოში დეკორაციული შინაარსის გახადა.

მოსახლეობა დემოკრატიული განვითარებისგან ელოდა არა დეკორაციას, არამედ, პირველ რიგში, სოციალური პირობების გაუმჯობესებას და საკუთარი უფლებების დაცვას. რეალურად კი მდგომარეობის გაუარესება მიიღო. საინტერესოა ამ რეალობის მიზეზების წარმოჩენა და მისი გამოსწორების გზების განსაზღვრა.

დემოკრატიის კრიზისი

საქართველოს სინამდვილეში დემოკრატია სერიოზულ კრიზისს განიცდის. საგულისხმოა ამ კრიზისის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.

1. დემოკრატიის კრიზისი, პირველ რიგში, თავს იჩენს დემოკრატიის იდეასა და რეალობას შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებაში. საქართველოში დემოკრატია სრულყოფილად ჩამოყალიბდა მხოლოდ დაწერილი პრინციპების სახით. მათი განხორციელების თვალსაზრისით კი ნოყიერი ნიადაგი არ შექმნილა. სინამდვილეში შეიქმნა დამახინჯებული, ანუ დეფექტური დემოკრატიის ფორმები.

2. დემოკრატიის კრიზისის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ არსებული ნდობის კრიზისი. მოსახლეობის ნდობის დაბალი ხარისხი თავს იჩენს პოლიტიკურ პარტიებთან, პარლამენტთან და განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში. სახეზეა თავად ინსტიტუციონალური სისტემის კრიზისი, როდესაც დემოკრატიული განვითარების შანსს ხედავენ საპრეზიდენტო სისტემის შეცვლის, ანდა ორპალატიანი პარლამენტის შექმნის იდეაში.

3. დემოკრატიის კრიზისის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული ცნობიერების დამკვიდრების პრობლემები. პლურალისტული საზოგადოების განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის საუკუნის განმავლობაში ავტორიტეტზე და პატრონზე ორიენტირებული აზროვნების წესები.

ნეოპატრიმონიალიზმი

ამჟამად დემოკრატიის კრიზისი საქართველოში განუსაზღვრელი ვადით გრძელდება. თავად დემოკრატიული რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესი კი ადგილზე ჩერდება და სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა ყალიბდება, რომელიც ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის არის განთავსებული და რომელსაც აკადემიური ენით ნეოპატრიმონიალური მმართველობის ფორმა ეწოდება.

ნეოპატრიმონიალიზმის ბუნების დასახასიათებლად სასურველია, მისი პატრიმონიალიზმისგან განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა. პატრიმონიალური მმართველობის დროს სახელმწიფო ადმინისტრაციისა და განსაკუთრებით სამხედრო სტრუქტურის მთელი პერსონალი მხოლოდ მმართველის დიქტატორულ ნებას ემყარება. არჩევნები გამორიცხულია. ყველა სახის პოლიტიკური ურთიერთობა პირადი ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდება. არ არსებობს პირად ინტერესსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის რაიმე განსხვავება.

ნეოპატრიმონიალური მმართველობის სისტემა კერძო და სახელმწიფო ინტერესებს შორის განსხვავებას ფორმალურად აღიარებს, მაგრამ რეალობაში ეს განსხვავება საფუძველს მოკლებულია. სინამდვილეში სახელმწიფოს ფორმალური ინსტიტუტების საქმიანობას პატრიმონიალური ურთიერთობები განსაზღვრავს.

ნეოპატრიმონიალური მმართველობის ფორმას დემოკრატიასთან ის საერთო აქვს, რომ ხელისუფლებაში მოსვლა ფორმალურად არჩევნებით ხდება. ამით იგი განსხვავდება დიქტატურისაგან, სადაც ყოველგვარი არჩევნები გამორიცხულია.

ამდენად, ნეოპატრიმონიალიზმი ფორმით დემოკრატიული, ხოლო შინაარსით ავტოკრატიული მმართველობის სტილია. დემოკრატიულ ფორმას, ძირითადად, დეკორაციული ხასიათი აქვს. შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობაც წმინდა ფორმალობაა. მათ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში თუ შესწევთ საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელება. მათი ხელმძღვანელობისთვის არსებითია პარტიკულარული ინტერესები. ამიტომაც, აღნიშნული ინსტიტუტები მოსახლეობაში ვერ ჰპოვებენ ლეგიტიმაციას და პრაქტიკულ აღიარებას.

საქართველოს პოლიტიკური სინამდვილე ნეოპატრიმონიალური მმართველობის ფორმის კლასიკური მაგალითია. ამ თვალსაზრისით იგი მესამე მსოფლიოს ქვეყნების მსგავსია. განსხვავება აღნიშნულ ქვეყნებს შორის მხოლოდ დემოკრატიის დეკორაციული ფორმის ფერებშია. ზოგან ის მკვეთრი და თვალშისაცემია, ზოგან კი უსახო და უფერულია. ყველა მათგანისთვის საერთო კი ავტოკრატიული მმართველობის რეალური საფუძველია.

კლიენტელიზმი

ნეოპატრიმონიალური სახელმწიფოს ინსტიტუტების რეალურ საფუძველს კლიენტელიზმი განსაზღვრავს. კლიენტელიზმი იმ სახის პირადი ურთიერთობების გამომხატველი სიტყვაა, სადაც პატრონსა და კლიენტს შორის კავშირი ურთიერთსარგებლობასა და ურთიერთმოგებას ემყარება. აღნიშნულ ურთიერთობებში, პატრონს კლიენტთან შედარებით ყოველთვის უპირატესი პოზიცია აქვს, რაც, მაგალითად, მისი ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებით გამოიხატება.

კლიენტელიზმი ფორმალური, სამართლით განსაზღვრული სახელმწიფო ინსტიტუტების გვერდით, ძლიერი არაფორმალური ინსტიტუტის სახეს იღებს, რომელსაც ძირითადად სახელმწიფოს არსებობა ემყარება. იგი ოჯახის, კლანური სტრუქტურების სახით არსებობს და გადამწყვეტი როლი აქვს ხელისუფლების ორგანიზაციისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსების განაწილების საქმეში. თავად კლიენტელიზმის ქსელი არა იმდენად ინტერესების თანხვედრას, არამედ არსებითად ნდობის ფაქტორს ემყარება. ამ თვალსაზრისით, უპირატესობა ნათესაურ ურთიერთობებს ეძლევა. შემდეგ მოდის საერთო კუთხური ან რეგიონული წარმომავლობა და მეგობრობა, რომელიც პატრონისა და კლიენტის ბიოგრაფიის საერთო მონაკვეთს, მაგალითად, თანაკურსელობას, ანდა საერთო სამსახურებრივ კარიერას უკავშირდება.

ნეოპატრიმონიალურ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი კლიენტელისტური ქსელის სათავეში სახელმწიფოს მეთაური დგას. სწორედ ეს ქსელი წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების რეალურ საფუძველს. ხელისუფლების ორგანიზაციის თვალსაზრისით, უშუალოდ ამ ქსელიდან ან მისი პატრონაჟით ხდება კადრების რეკრუტირება. ცალკეული მნიშვნელოვანი თანამდებობრივი მდგომარეობა იმდენად კონტროლირებადი და დროში განსაზღვრული უნდა იყოს, რომ მათ თავად არ შექმნან საკუთარი, კონკურენტუნარიანი კლიენტელისტური ქსელი. უნდობლობის შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს პირის თანამდებობიდან დათხოვნის საფუძველი. აქედან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობრივი პოზიცია, გაურკვევლობით გამოწვეულ შიშთან არის დაკავშირებული. ერთადერთი, ვინც თავისი პოზიციების მეტნაკლებ უსაფრთხოებაშია დარწმუნებული, არის სახელმწიფოს მეთაური. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო მოხელეების უმთავრეს მიზნად, დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში მინიჭებული თანამდებობრივი მდგომარეობის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება რჩება.

ნეოპატრიმონიალური სახელმწიფოს მეთაურის კლიენტელისტური ქსელის განსაკუთრებული როლი ვლინდება ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსების განაწილებისა და მათი კონტროლის საქმეში. პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკური ძალაუფლების საფუძველი ხდება. მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზება წარმოებს მხოლოდ კლიენტელისტური ქსელის ფარგლებში, ხოლო თავისუფალი ეკონომიკური ბაზარი რეალურად იმართება აღნიშნული ქსელის "კერძო მენარმეების" მეშვეობით.

ხელისუფლების შენარჩუნების ინტერესი, რომელიც არჩევნებთან არის დაკავშირებული, ძირითადად კლიენტელისტურ ქსელზე დაყრდნობით, საარჩევნო ხმების მობილიზებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში, ქსელის გავლენიან ფიგურებს დაკისრებული აქვთ დიდძალი ფინანსების თავმოყრის და საარჩევნო ხმებით მანიპულაციის, ამომრჩევლებთან გარიგებების უზრუნველყოფის "საპასუხისმგებლო" ფუნქცია.

კლიენტელიზმის ძირითადმა ასპექტებმა ნათელყო, რომ ნეოპატრიმონიალურ სახელმწიფოში სამართლით განსაზღვრული ინსტიტუტების გვერდით, არსებობს ძლიერი არაფორმალური კლანური ურთიერთობების ქსელი, რომელიც რეალურად სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს. იგი, პრაქტიკულად, სახელმწიფო სტრუქტურების ადგილს იკავებს და იწვევს მისი ფუნქციების დეფორმირებას. სახელმწიფო სისტემა რეალურად პირად ურთიერთობებსა და ინტერესებს ეწირება.

საქართველოს სინამდვილეში კლიენტელიზმი ახალი მოვლენა როდია. მისი საფუძვლები, სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსად, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. მისთვის განსაკუთრებით ნოყიერი ქართული მენტალიტეტის თავისებურება აღმოჩნდა, რომელიც ნათესაობის, ძმაკაცობის, ნაცნობობის ტრადიციულ ფესვებს უკავშირდება. დღეს ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა სწორედ ამ ტრადიციულ საფუძვლებზე მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით, საქართველო სამხრეთის უმრავლესი ქვეყნების ბედს იზიარებს, სადაც დემოკრატიის არადემოკრატიულ სინამდვილეზე მორგება ხდება.

აღნიშნულ ქვეყნებში კლიენტელიზმი სახელმწიფოს ერთგვარ სტაბილურობის გარანტად იქცა, განსაკუთრებით კი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოებისთვის. აღნიშნული სტაბილურობა მაფიური წესრიგის მყარ ფორმებს იღებს, მისთვის უცხოა სამართლებრივი წესრიგი.

კლიენტელიზმი საქართველოში არა მარტო ხელისუფლების შენარჩუნების, არამედ ასევე ხელისუფლების მოპოვების საფუძველი გახდა. თითოეული პარტიის მოღვაწეობა არის საკუთარი კლიენტელისტური ქსელის ჩამოყალიბება და განმტკიცება. ამ ქსელში ნაწილობრივ ჩართულია ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორიცაა პრესა, ტელევიზია, არსამთავრობო სექტორი. ხელისუფლებისთვის ბრძოლა საკუთარი კლიენტელისტური ქსელის მასშტაბების გაფართოებისა და სტრატეგიული რესურსების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლას ემსგავსება.

კორუფცია

კლიენტელიზმთან ერთად, საქართველოში სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენ არფორმალურ ინსტიტუტს კურუფცია წარმოადგენს. სახელმწიფო მოხელეებისთვის კორუფცია გახდა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ერთგულების საფუძველი.

სამართლებრივი წესრიგის ნაცვლად, საქართველოში ჩამოყალიბდა კორუფციული წესრიგის დახვეწილი ფორმები. ამ წესრიგის მასშტაბები იმდენად გრანდიოზულ სახეს იღებს, რომ იგი უკვე აშკარა კონკურენციას უწევს კლიენტელიზმს, ანუ ნაცნობობის, მეგობრობის ან ნათესაობის ელემენტებს პირად ურთიერთობებში. კორუფციული წესრიგის მთავარი „იდეალი", ანუ საზრისი არის ფული.

დღემდე საქართველოს სინამდვილე კორუფციული წესრიგის განხორციელების მაგალითი უფროა, ვიდრე სამართლებრივი წესრიგის. სამართლებრივი წესრიგის არსებობა საქართველოში ძირითადად იდეალური სფეროთი განისაზღვრება. მისი რეალური მოქმედების სივრცე შემოიფარგლება მოსახლეობის მხოლოდ იმ ვიწრო წრით, ვინც ვერ აღმოჩნდა კორუფციული წესრიგის მსყიდველუნარიანი, ანუ „გადამხდელი", ან ვინც პოლიტიკური, ან ქვეყნის სტაბილურობისთვის საშიში დანაშაულისთვის არის ბრალდებული. სხვა შემთხვევეში, მოქმედებს სამართლებრივი ენით დაუსჯელობის, ხოლო კორუფციული წესრიგის ენით, მოსყიდვის ზოგადი პრინციპი. ამ ზოგადი წესისგან არსებობს მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები.

დემოკრატიული განვითარება

კლიენტელიზმისა და კორუფციის პირობებში ქვეყნის დემოკრატიული განვითარება შეფერხებულია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის არსებობა შეუძლებელია. კონკურენციის ადგილს იკავებს მონოპოლია. ეკონომიკური კეთილდღეობა მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფის ხელშია. ქვეყნის განვითარება წრეში ბრუნვის მსგავსია. წინსვლა გაჩერებულია. ასეთ მდგომარეობაში ზედმეტია ლაპარაკი პიროვნების თავისუფლებაზე, განსაკუთრებით მისი ნიჭის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობაზე.

სახელმწიფოებრიობა

საქართველოში დემოკრატიული განვითარების უმთავრესი წინაპირობა, სახელმწიფო ინსტიტუტების სამართლებრივ საფუძველზე განმტკიცება უნდა იყოს. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ დემოკრატია მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაშია შესაძლებელი. სამოქალაქო საზოგადოება ისტორიულად სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების შედეგია. „დემოკრატია" სახელმწიფოს გარეშე ანარქიაა.

სახელმწიფოებრიობა ორ მნიშვნელოვან ფაქტორს გულისხმობს. პირველ რიგში, ეს არის სახელწიფო აპარატის გადაწყვეტილებების ავტონომიურობა. სახელმწიფო ხელისუფლებას, განსაკუთრებით იმის უნარი უნდა ჰქონდეს, რომ მან, ძლიერი ფინანსური წრეების ინტერესებისგან დამოუკიდებლად, თავისი პოლიტიკის განსაზღვრა შეძლოს. სახელმწიფოებრიობის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, გადაწყვეტილებების განხორციელების უნარის მქონე აპარატია.

სახელმწიფო სტრუქტურების განმტკიცება, მისი მოხელეების მიერ სამართლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებით მიიღწევა. მათი გადაწყეტილებები ლეგალურ-სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და არა პირად გამორჩენას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ სახელმწიფო სტრუქტურებს მოსახლეობაში აღიარება, შესაბამისად, მათ გადაწყვეტილებებს - განხორციელების შესაძლებლობა.

დღეს საქართველოში დემოკრატიული განვითარების მთავარი დაბრკოლება სახელმწიფოებრიობის სისუსტეა. სახელმწიფოს რეალურ საფუძვლებს ისეთი პარალელური ინსტიტუტები წარმოადგენენ, როგორიცაა კლიენტელიზმი და კორუფცია. სახელმწიფო გამოყენებულია კლანური და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, რის შედეგადაც სახეზეა სახელმწიფო მოხელეების დეზორგანიზება და არაპროფესიონალურობა.

აუცილებელია, სახელმწიფო საკუთარ ლეგალურ საფუძვლებს დაემყაროს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კანონის წინაშე თანასწორობის მიღწევა და სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა. სწორედ, აღნიშნული წესრიგის ფარგლებში აქვს შანსი ადამიანის უფლებების დაცვას, შესაბამისად - დემოკრატიის განვითარებას.

კლიენტელიზმით, კორუფციის მასშტაბებით და სუსტი სახელმწიფოებრიობით საქართველო გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, იგი მესამე მსოფლიოს ქვეყნების მსგავსია, სადაც დემოკრატიის დეფექტური ტრანსფორმაცია, ერთგვარი ობიექტური კანონზომიერებაა. მაგრამ აღნიშნული ქვეყნების ფარგლებში, არსებობს განვითარების ტენდენციებს შორის განსხვავება, რომელიც ან დიქტატორულ რეგრესში ან დემოკრატიულ პროგრესში გამოიხატება. სუსტი სახემწიფოებრიობის პირობებში, საქართველოც დიქტატურის ან დემოკრატიის მუდმივი არჩევანის წინაშე იდგება, როგორც ამას აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის უახლესი ისტორია გვიჩვენებს.

დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, ხელისუფლებისგან მყარი, მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ამოცანაა, კლიენტელიზმისა და კორუფციის სახელმწიფო პოლიტიკისგან გამიჯვნა, ანუ მათ მასშტაბებთან ბრძოლა. ეს ურთულესი ამოცანა, ძალაუფლების შენარჩუნებასა და დემოკრატიულ რეფორმებს შორის, ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ნებისმიერ ხელისუფლებას. მისი დადებითი გადაწყვეტა, უდიდესი პოლიტიკური ტალანტისა და გამჭრიახობის საფუძველზე, აღნიშნული ფაქტორების ურთიერთშერწყმით თუ შეიძლება.

პერსპექტივა

საქართველოში უკვე გაცხადდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების არჩევანი, მაგარამ სახეზეა დემოკრატიის დეფექტური ფორმა, რაც სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ობიექტური კანონზომიერებითაცაა გამოწვეული. მოკლევადიან პერსპექტივაში, საქართველოში დემოკრატიის შემდგომი ბედი, მომავალი არჩევნების სამართლიან ჩატარებაზე იქნება დამოკიდებული. ამ ეტაპზე, ეს არის ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი.

მაგარამ, მარტო არჩევნების ობიექტურობაზე არ იქნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა დამოკიდებული. მყარი სახელმწიფოებრიობა და შესაბამისად დასავლური დემოკრატია საქართველოში ვერასდროს ვერ განხორციელდება, თუ ახალ სახელისუფლო ძალასთან ერთად ყოველთვის მოვა ახალი კლიენტელისტური ქსელი და კორუფციული წესრიგის ახალი სუბიექტები. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია ახასიათებს უმრავლეს განვითარებად ქვეყნებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

გძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, დემოკრატიის განვითარება, მხოლოდ კარგ და მიზანმიმართულ მმართველობაზე იქნება დამოკიდებული. სამართლიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან ერთად, რომელიც თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი მეწარმეობის გარანტი უნდა იყოს, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას განათლებული სახელმწიფო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების რეალური საფუძველები.

კორუფციული წესრიგის და კლანური პოლიტიკის დაძლევის წინაპირობა, ნორმალურ სახელფასო უზრუნველყოფასთან ერთად, განათლებული სახელმწიფო მოხელეების არსებობას გულისხმობს, რომლებიც არა ნათესაობით, ძმაკაცობით ან ქრთამით, არმედ საკუთარი პროფესიონალობითა და რაციონალობით მიაღწევენ სამსახურებრივ წარმატებას. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს რაციონალური ტიპის სახელმწიფოს უწოდებენ იმდენად, რამდენადაც იქ რაციონალურ-ლეგალური ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა და სახელმწიფო გადაწყვეტილებები სწორედ ინსტიტუციონალურ წესრიგს ემყარება. თუ სახელმწიფო პოლიტიკაში ეს პრიორიტეტები არ განისაზღვრა, მაშინ ქვეყანაში ვერასოდეს ვერ მოხდება საერთო სიკეთეზე ორიენტაცია და ყოველი ხელისუფლების ადმინისტრაცია კლანური ქსელის დანამტი იქნება.

ამდენად, საქართველოში დემოკრატიის განვითარების მოკლევადიანი პერსპექტივა არჩევნების სამართლიან ჩატარებას, ხოლო მისი გრძელვადიანი პერსპექტივა, დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ დამკვიდრებას, ანუ დემოკრატიის ინსტიტუციონალობას ისახავს მიზნად. მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებაზე, ან ხელისუფლების მოპოვებაზე ორიენტაცია, ანუ ვიწრო პარტიკულარიზმი, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აჩერებს. შესაბამისად, დემოკრატიასა თუ ავტოკრატიას შორის არჩევანი, პოლიტიკური ცხოვრების მუდმივად აქტუალური საკითხი რჩება.

www.24hours.ge
24
B

ნოემბრის პერსონა

გათიშვები - ერთადერთი ენერგეტიკული ხსნა

"გაზპრომი"-ს საქართველოს ბაზარზე შემოსვლა ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ასოცირდება. ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეშფოთების მიუხედავად მთავრობა ვერავითარ საშიშროებას ვერ ხედავს და სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ს გვერდით არაკეთილმოსურნე ჩრდილოელი მეზობლის საქართველოს ენერგობაზარზე შემოსვლას კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას უწოდებს. მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინფორმაციამ საქართველოს "მარჩენალი" ენგურჰესის რუსეთისთვის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ. ხელისუფლების ეს გადაწყვეტილებები წინასაარჩევნოდ ოპოზიციისთვის მომგებიანი იარაღი აღმოჩნდება. აქვს თუ არა ოპოზიციას ამ იარაღის გამოყენების რეალური საფუძველი?! გვესაუბრება საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა.

მაია ჭალაგანიძე

- თქვენი თქმით ჩვეულებრივ პარტნიორთან - "გაზპრომთან" - საქართველოს ენერგობაზარზე შემოსვლის მოლაპარაკებებმა რატომ გამოიწვია ქართველ და უცხოელ ექსპერტთა შეშფოთება?

- ამ თემის დრამატიზება არ ღირს. ქვეყნისთვის ბედნიერებაა, როდესაც ამდენი პროექტი ვითარდება და ძლიერ კომპანიებს გარკვეული ინტერესები უჩნდებათ, იქმნება კონკურენტუნარიანი გარემო - ეს ნორმალური პროცესია.

მეორეა საქართველოს მთავრობის პოზიცია. პირველ რიგში, საკითხი შაჰდენიზის პროექტის დაცვას ეხება. ეს პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის. არავის აქვს უფლება, ისპეკულანტოს იმით, რომ საქართველოში ამ პროექტის განვითარების შემაფერხებელ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ყველანაირად შევეცდებით, რომ ეს პროექტი განვითარდეს და მომავალში ბუნებრივი აირის ორი მომწოდებელი გვყავდეს, ორი მილსადენი არსებობდეს. თუ პერსპექტივაში რომელიმე მხრიდან მომწოდებელი კიდევ გაჩნდება, ამასაც მივესალმებით, რადგან ეს გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანს გახდის ბუნებრივი აირის ქვეყნის შიდა ბალანსს.

- ეს ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ ტრადიციულად, რუსეთი თავის ენერგეტიკულ თუ სხვა ბიზნესინტერესებს ხშირად პოლიტიკური ზეწოლისთვის იყენებს. რამდენად არის დაცული ამისგან პროექტი?

- გავიმეორებ - პრიორიტეტი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესები უნდა იყოს.

დღეს არსებული ვითარებით, შაჰდენიზიდან, 2015 წლამდე დადებული ხელშეკრულების თანახმად, პირველ ეტაპზე, სატრანზიტო გადასახადით 15 პროცენტს მივიღებთ. ეს 300 მილიონი კუბური მეტრი გაზია. გარდა ამისა, სპეციალური ტარიფით, დამატებით 500 მილიონ კუბურ მეტრ გაზს მივიღებთ, რომელიც ძალზე შეღავათიანი ფასით იქნება მოწოდებული, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია - ქვეყანაში 800 მილიონი კუბური მეტრი შეღავათიანი გაზი შემოვა.

ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ 2007 წლისთვის ენერგეტიკული სექტორის სამრეწველო პოტენციალი რეალურად დაიწყებს განვითარებას. ბუნებრივ აირზე ქვეყნის მოთხოვნილება 2,5 მილიარდი კუბური მეტრი იქნება და შაჰდენიზის გაზი, დაახლოებით, 30-დან 35 პროცენტამდე სეგმენტს დაიჭერს.

თუ შიდა რესურსი არ გამოჩნდა (და ამის პერსპექტივა არის), რუსეთი მუდმივად იქნება ჩვენი ჩრდილოელი პარტნიორი და მომწოდებელი. ეს შესანიშნავ კონკურენტუნარიან გარემოს შექმნის.

- გამორიცხავთ, რომ რუსეთი პრაგმატულ ბიზნესინტერესებს პოლიტიკური ზეწოლის ხერხად გამოიყენებს?

- თუ ყველა ხელშეკრულება შესაბამისად მომზადებული და გრძელვადიანი იქნება, მსგავსი საშიშროება არ გვემუქრება. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში რუსეთი გაზის ბაზარზე დომინირებს. დაახლოებით, 40 პროცენტამდე გაზი შედის რუსეთიდან. გარდა ამისა, ბალტიის ზღვის ფსკერზე ახალი მილსადენი იდება და ჩრდილოეთ გერმანიის გავლით დიდ ბრიტანეთში შევა.

- მაგრამ, ამ ქვეყნებთან რუსეთს სადავო არაფერი აქვს.

- ეს სიტუაცია გრძელვადიანი ხელშეკრულებებით უნდა დავარეგულიროთ. რუსეთში ეს ორგანიზაციები დასავლურ მენეჯმენტზე გადადიან და არა მგონია, მათ იმპერიული ბერკეტის ნოსტალგია ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, კომპანიებისთვის ფასეულობას დეკლარირებული ბიზნესინტერესები წარმოადგენს და არა ისტორიულ-პოლიტიკური მიზნები...

რა თქმა უნდა, გარკვეული რისკი არსებობს, მაგრამ ამ რისკს სწორედ გაზის ალტერნატიული მომწოდებელი - შაჰდენიზი შეამცირებს. თუმცა, საქართველოს კიდევ ერთი საფიქრალი აქვს და ეს არის გაზსაცავის მშენებლობა, რაც ისეთ გარემოს შექმნის, რომ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების კოეფიციენტი ერთი რიგით გაიზრდება და ქვეყანა გაცილებით უსაფრთხო და, თუ გნებავთ, დამოუკიდებელიც გახდება.

- საქართველოში კასპიის ენერგორესურსების საკითხებში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი სტივენ მანი ჩამოვიდა. მისი ეს ვიზიტი ჩვენს ჩრდილოელ პარტნიორთან გააქტიურებული მოლაპარაკებებით გამოწვეული შეშფოთების შედეგი ხომ არ არის?

- კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ აშშ ჩვენი ძირითადი პარტნიორია და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება ნაციონალური უსაფრთხოების ნაწილია. არც ერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტს ამერიკულ მხარესთან გარკვეული შეთანხმებების გარეშე არ განვიხილავთ.

ბატონი სტივენ მანი საქართველოში ხშირად ჩამოსულა. ის აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველია და ბუნებრივია, აინტერესებს ყველა ის პროექტი, რომელიც რეგიონში ვითარდება. უამრავჯერ გვისაუბრია ამ თემებზე. კონსულტაციები გაგრძელდება და ყველა პროექტს ერთად განვიხილავთ.

- როგორ ფიქრობთ, საუბარი მძიმე იქნება?

- ძალიან ნორმალური საუბარი შედგება. გადაწყვეტილება ყველა არგუმენტის გათვალისწინებით იქნება მიღებული. დრამატიზების ელემენტარული მიზეზიც კი არ არსებობს.

- რა ეტაპზეა "გაზპრომთან" ხელშეკრულება?

- ჯერჯერობით რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროსთან ბუნებრივი აირის სფეროში თანამშრომლობის სამთავრობათაშორის ხელშეკრულებაზეა საუბარი. "გაზპრომთან" მოლაპარაკება მიმდინარეობს მიწოდების უზრუნველყოფაზე, რაც ყველა სამრეწველო ობიექტისთვის უმნიშვნელოვანესია.

"გაზპრომმა" თურქმენეთთან 25 წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მოგეხსენებათ, ჩვენთან თურქმენეთის გაზი შემოდის. ამან "გაზპრომს" თურქმენეთის აირის ფასების ოპტიმიზაციის საშუალება მისცა. ამიტომაც, როდესაც "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი მილერი ჩამოვიდა, განაცხადა - საქართველოში ყველაზე კონკურენტუნარიანი ფასით შემოვალ და გაზის მიწოდებაზე გრძელვადიან ხელშეკრულებას დავდებ... აი, ასეთი განცხადებები იყო.

- წინადადების ეს მომხიბლაობაა სწორედ საფრთხილო...

- ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვართ და ყოველთვის ვიყავით. 2007 ან 2008 წელს სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დახურვაა გათვალისწინებული. სომხეთს აირს ჩვენ ვაწვდით...

რუსეთი ყველაზე დიდი ქვეყანაა გაზის წარმოებითა და მოპოვებით და ბუნებრივია, მას არამარტო დასავლეთის მაღალფასიანი, არამედ შიდა, შედარებით იაფი ბაზარიც აინტერესებს.

ყველა სირთულის მიუხედავად, 2000 წლიდან ვალებს აღარ ვაგროვებთ.

- ჩვენი პატარა ქვეყანა ორი გიგანტი სახელმწიფოს ინტერესების გზასაყარზე აღმოჩნდა. როგორ ახერხებს საქართველოს მთავრობა ორი განსხვავებული ინტერესების მქონე პარტნიორთან ურთიერთობებში ბალანსის შენარჩუნებას?

- უფლება არ გვაქვს, დაბალანსებული ურთიერთობები არ ვაწარმოოთ. ეს არის ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ნებისმიერი გადაწყვეტილება აქედან უნდა გამომდინარეობდეს - ეს ენერგეტიკული დიპლომატიის ერთადერთი მისიაა და სწორედ ისეთმა პატარა ქვეყანამ უნდა მოახერხოს, როგორიც საქართველოა.

- ექსპერტთა შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვენი მაგისტრალური გაზსადენების საშუალებით არ გაჩნდეს თურქეთის ბაზრის გადატვირთვის საშიშროება, რის გამოც შაჰდენიზის პროექტი მიმზიდველობას დაკარგავს.

- ამას, ჯერჯერობით, არ განვიხილავთ და არც არის ამის მოთხოვნილება.

- პერსპექტივაში?

- ერთადერთი არსებული პროექტი ხოფაში თბოსადგურის მშენებლობაა. საკმაოდ კარგად ვიცნობ თურქეთის ელექტროენერგეტიკას და ამის საშიშროება არ არის. ჭოროხის აუზში, თურქეთის ტერიტორიაზე, უამრავი ჰიდროსადგური შენდება. თურქეთში უამრავი თბოსადგური აშენდა და მთელი სიმძლავრით მუშაობენ კი არა, ზოგიერთი გაჩერებულია. იქ ელექტროენერგიის სიჭარბეა

იერი ლეონიძის ფოტო

პრიორიტეტი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესები უნდა იყოს.

რუსეთის ენერგეტიკულ კომპანიებს იმპერიული ნოსტალგიები აღარ აწუხებთ.

საქართველოში ყველაზე კონკურენტუნარიანი ფასით შემოვალ და გაზის მიწოდებაზე გრძელვადიან ხელშეკრულებას დავდებ - აცხადებს "გაზპრომი".

საქართველოში დენის ტარიფი 8 ცენტამდე უნდა იყოს...

და მოთხოვნილება არ არის.

- აზერბაიჯანის დაზიანებული მილსადენის სულ რაღაც 8 კილომეტრიანი მონაკვეთია აღსადგენი და ირანული გაზის კიდევ ერთი ხაზი ექნებოდა საქართველოს. ეს არ მოხერხდა, რატომ?

- ირანული აირის ფასი საკმაოდ მაღალია და გარკვეული პრობლემები არსებობს. პერსპექტივაში, განსახილველი ყველაფერია, რაც უფრო მეტის საშუალება იქნება, ქვეყნთვის უკეთესია. დღეისთვის საქართველოს ბაზარზე ირანული გაზი არაკონკურენტუნარიანია. ის საკმაოდ ძვირადღირებული აირია.

- ბრძანეთ, რომ ელექტროენერგეტიკაში ვალი არ გროვდება. როგორ გავიგოთ ეს გათიშვები?

- ენერგეტიკა აირის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია და ენერგოობიექტებზე ჩრდილოეთ მარშრუტიდან გაზი არ შეწყვეტილა.

მეორეც: პრობლემების და შეფერხებების მიუხედავად, "თბილგაზი" სრულად იხდის მოწოდებული გაზის საფასურს. ის აღარ აგროვებს დავალიანებას. ეს ხშირ შემთხვევაში, სუბსიდირებით ხდება და რამდენად მართებულია - მენეჯმენტის საკითხია.

ორივე მარშრუტიდან შეიძლება გაზის მიღება, მაგრამ მილსადენები იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ შეიძლება ვერავითარი მიმართულების გაზი ვერ გავატაროთ.

- რა თანხები შეიძლება დასჭირდეს აღდგენას?

- საერთაშორისო ექსპერტების და, კერძოდ, ერთ-ერთი უძლიერესი ფრანგული საკონსულტაციო ფირმის დასკვნით, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზე თითქმის 283 მილიონ დოლარამდე და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით 329 მილიონ დოლარამდეა საჭირო. დღეს იმაზე უნდა ვიფიქროთ, სად ვიპოვოთ თანხები გაზსადენის სისტემის რეაბილიტაციისთვის.

- რას იტყვით, ქვეყნისთვის კარგია დერეფნად ყოფნა?

- ჩემს აზრს მოგახსენებთ. ვერ ნახავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას, რომელიც არ ოცნებობდეს, რომ მათ ქვეყანაში მილმა გაიაროს, ქვეყნისთვის ეს უზარმაზარი შემოსავალია. ეს არის ენერგეტიკული უწყებების ხელმძღვანელთა აზრი.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო რუსეთისთვის ენგურჰესის მართვაში გადაცემას აპირებს.

- საუბარი ენგურის პოტენციალის ამოქმედებაზე, ორი ქვეყნის პრეზიდენტთა სოჭში შეხვედრაზე დაიწყო. ერთ-ერთი საკითხი სწორედ ენერგეტიკული და ენგურის, როგორც მდინარის, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის სრულად ამოქმედებას შეეხებოდა. საუბარი იყო ხუდონჰესზე, ვარდნილჰესის, სოხუმჰესის აღდგენაზე - აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ სამი ჰესია დატბორილი და ჯერჯერობით, მხოლოდ ტექნიკურ ეკონომიკურ დასაბუთებაზეა საუბარი. ენგურჰესზე არ იგულისხმება. იქ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ატარებს და ამაზე სოჭში საუბარი არ ყოფილა.

- წინასაარჩევნოდ ეჭვებმა შეიძლება კიდევ იმატოს და ხომ არ აჯობებდა, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების შესახებ ყველა ინფორმაცია საჯარო იყოს?

- არც ერთი მოლაპარაკება არც "გაზპრომთან", არც რუსეთის ენერგეტიკულ უწყებასთან ან "რაოეს"-თან დახურული არ არის. არც ისაა დაფარული, რომ თურქეთმა გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან, რამაც რუსეთის ბაზარზე ბუნებრივად გამოიწვია აქცენტების ცვლილება. ყოველთვის ყველაფერი ტრანსპარანტულად იყო...

ხშირ შემთხვევაში, განცხადებებს აკეთებენ ექსპერტები, ვინც ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხში, გნებავთ, ენერგოდიპლომატიაში სრულად გარკვეული არ არიან, საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ და ამ გამონათქვამებს სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. სახალხოდ რომ აზრი გამოხატო, ამის უფლება უნდა გქონდეს.

როდესაც ეს არაპროფესიონალები ენერგეტიკაში ათვისებულ კრედიტებსა და გრანტებზე საუბრობენ, უნდა იცოდნენ, რომ ეს საჭირო თანხების მხოლოდ 5 პროცენტია.

ჩვენ სხვა გზა, რთული გზა ავირჩიეთ. მენეჯმენტის გამოსწორებით ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ დარგმა საკუთარი გრძელვადიანი პრიორიტეტების დაფინანსება თვითონ შეძლოს.

- უცხოური მენეჯმენტის შემოსვლის მიუხედავად, ენერგეტიკოსების წინაშე კვლავ ელემენტარული, ხელფასების პრობლემა დგას.

- სულ რომ ჯონ ბრაუნი ან ჩუბაისი ჩამოეყვანათ, არა მგონია, სამ თვეში რომელიმე მათგანს რაიმე შედეგისთვის მიეღწიათ. შეიძლება უცხოელი მენეჯერების მიმართ კრიტიკული ვიყო, მაგრამ ხუთწლიანი პროგრამა არსებობს და ისინი თავის საქმეს გააკეთებენ. სახელმწიფო ელექტროსისტემაში უცხოელები თებერვლიდან არიან.

- ენერგეტიკოსები სავსებით სამართლიანად ითხოვენ ნამუშევარ თანხას. საარსებო ფულს ნაბიჯ-ნაბიჯ ნამდვილად ვერ დაელოდები.

- აბსოლუტურად გეთანხმებით. მაგრამ, ეს ყველა კომპანიამ გაიარა. იგივე "რაოეს"-ის 1998 წელს თანხის ამოღება 14 პროცენტი იყო. 2001 წელს კი 106 პროცენტი გახდა. რუსეთში მთელ რეგიონებს თიშავდნენ. ასე იყო სომხეთშიც. ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსწორდა ვითარება, მაგრამ ეს სამ თვეში არ მოხდება.

- რამდენად შეუძლია ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებისას წინ აღუდგეს კერძო და კორუფციულ ინტერესებს?

- ვერ გეტყვით, ვისი ინტერესებია. "ეი-ი-ეს"-ი მსოფლიოში უდიდესი ორგანიზაცია იყო, როდესაც პრივატიზება მოახდინა. თუ ქართველ ინვესტორს სარეაბილიტაციო სამუშაოების საშუალება აქვს, ეს კარგია.

- თქვენ გეგულებათ ასეთი ინვესტორი?

- დღეს საქართველოში ასეთი არავინ მეგულება, მაგრამ უცხოეთში არიან ქართველები, ვისი ქონებაც გაცილებით მეტად არის შეფასებული, ვიდრე მთელი საქართველოს ბიუჯეტი.

- 3 ივნისს გადაიდო გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიებისთვის დენის 70 პროცენტიანი გათიშვა. რატომ?

- ეს ჩემი თხოვნით მოხდა, თუმცა, შემიძლია თვითკრიტიკული ვიყო და ვთქვა, რომ ამ ეტაპზე ეს არ უნდა გამეკეთებინა. მაინც 7 რიცხვამდე მივეცით თანხის დაფარვის საშუალება და ვთხოვ, რომ ამ დრომდე ყველამ მოაგვაროს პრობლემები...

- დემონსტრაციების გამო ხომ არ ჩაერიეთ საქმეში?

- ამის გათვალისწინება არც მიფიქრია, რადგან ფილიალებისთვის დამატებითი დროის მიცემის წერილზე გაცილებით ადრე დავიწყე მუშაობა, ვიდრე ეს აქცია დაიწყებოდა.

- როგორი ზამთარი გვექნება?

- მოწადინებული ვართ, რომ იყოს უკეთესი და ამის რესურსები არის. ამისთვის ეს პერიოდი მაქსიმალურად გამოსაყენებელია.

- ამ ბოლო დროს სახელმწიფო მინისტრის რისხვა აღარ გატყდებათ თავს, ზაფხულის ბრალია?

- მოგეხსენებათ, ენერგოსისტემაში საკმაო სირთულეებია და როდესაც პრობლემები იქმნება, საყვედურებიც ბუნებრივია. მთავარია, რომ მოძრაობა იყოს და იგრძნობოდეს უკეთესობისკენ სვლის დინამიკა. ენერგეტიკაში რადიკალურ ცვლილებებს არ ველი და როგორც ვიხდით თანხას, ისეთივე ზამთარი გვაქვს.

- საქართველოს ენერგეტიკას რომ გვერდიდან შეხედოთ, სურათი როგორი იქნებოდა?

- ევროპაში უნდა იჯდე და ისე შეაფასო. ამის ანალიზი გაკეთებული მაქვს. ტარიფი ისეთი კომპონენტია, რომელიც ბევრ რამეს გიჩვენებს... რა თქმა უნდა, ობიექტურ სურათს ვხედავ. ვიცი, რომ საჭიროა ყველაფრის რეაბილიტაცია, ენერგეტიკის ყველა სეგმენტში დასავლური მართვა ხორციელდება. იწყება უზარმაზარი პროექტები და ა.შ. საქართველოში დღეს არსებული დეფიციტური ენერგეტიკა 100 წლის განმავლობაში შეიქმნა. ვერ ავითვისეთ ქვეყნისთვის ღვთით ბოძებული რესურსები... დღეს საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებზე იმდენი გამომუშავებაა, რაც 1988 წელს. დარგის დეგრადაცია არ ხდება.

ელექტროენერგიის დაბალი ტარიფი გამოსავალი არ არის. თუ დეფიციტური ქვეყანაა, ტარიფი უნდა გულისხმობდეს გრძელვადიან ზღვრულ დანახარჯებს, რეაბილიტაციას და ახალი სიმძლავრეების შეყვანას. ნათელაშვილისნაირმა ადამიანმა შეიძლება შემაჩვენოს, მაგრამ რეალურად, ჩვენი ტარიფი 8 ცენტამდე უნდა იყოს...

- ტარიფში ქვეყნის სოციალური მდგომარეობა არ აისახება?

- ჩვენ რა გვინდა, განვითარებული ქვეყანა თუ სოციალური მდგომარეობა?! თუ განვითარება გვინდა, ამ გზით უნდა წავიდეთ... გათიშვის გარდა სხვა საშუალება არ არსებობს. ციმბირში მთელ რეგიონებს თიშავდნენ და ნახეთ, დღეს რა ენერგეტიკული მდგომარეობა აქვთ! მაგრამ, იქ ჩუბაისი იყო და ვერავინ ეტყოდა ჩაართვევინეო...

- თქვენ ხშირად გეუბნებიან?

- არასოდეს... მაგრამ მე აღარასოდეს ჩავერევი...

სიყვარული გზად და ხიდად

საქართველოს კამერული ორკესტრი იუბილესთვის ემზადება

ნანა ქავთარაძე

2004 წელს საქართველოს კამერულ ორკესტრს 40 წელის უსრულდება. მოახლოებულ იუბილეს 1990 წლიდან გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში დაბინავებული ორკესტრი განსაკუთრებით აქტიური საკონცერტო შემოქმედებითი ცხოვრებით ხვდება. აი, თუნდაც მხოლოდ გასული თვის პროგრამა: ჩაიწერა ორკესტრის კომპაქტ-დისკი გამოჩენილ კლარნეტისტთან გიორა ფაიდმანთან ერთად, 7 მაისს შედგა სააბონენტო კონცერტი ინგოლშტატში (ბახის ნაწარმოებები), 12-16 მაისს დღეში სამ კონცერტს მართავდნენ ბავშვებისათვის (პროკოფიევის "პეტია და მგელი"), 17-ში სამეჯლისო კონცერტი ინგოლშტატის თეატრში, 28-ში კი სააბონენტო კონცერტი ჰაიდნის ბეთჰოვენის, ბერგის და ვებერნის ნაწარმოებებით. დღეს, ინგოლშტატის თეატრში ორკესტრი "მეგობართა საზოგადოების" კონცერტს მართავს. მოცარტისა და ყანჩელის ნაწარმოებების გარდა, შესრულდება ჰუმელის ვარიციები ჰობოისა და ორკესტრისათვის, სადაც სოლისტის პარტიას ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრანსუა ლელიუ შეასრულებს.

ქართველები გერმანიაში - კამერული ორკესტრი ინგოლშტატში.

გერმანიაში გამოცემული ქართული კამერული ორკესტრის 2003 წლის საკონცერტო პროგრამას თუ გადახედავთ, განცვიფრდებით იმ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებითა და მრავალფეროვანი რეპერტუარით, რომელიც ნებისმიერ თბილისელ მუსიკოსს დიდ შემოქმედებით სტიმულს მისცემდა. დღეს ქართული კამერული ორკესტრი გერმანიის კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი მოღვაწეობა არ იფარგლება მხოლოდ ინგოლშტატის საზღვრებით. ორკესტრს ფინანსურად მხარს უჭერს ინგოლშტატის ქალაქის მმართველობა და ფირმა "აუდი". გერმანული და საერთაშორისო პრესა ეხმაურება ორკესტრის კონცერტებს და აფასებს მას, როგორც "ელვარე, დახვეწილ და ტემპერამენტულ ორკესტრს". 2000 წლიდან ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია ამ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა დირიჟორი მარკუს პოშნერი. ამ უკანასკნელმა ორკესტრის მაღალ პროფესიულ დონეს შეურწყა თავისი ახალგაზრდული ენერგია, ნიჭი და ენთუზიაზმი. ამჟამად, ორკესტრი ბრწყინვალე ფორმაშია და გასულ თვეში თბილისში ჩატარებულმა ორმა კონცერტმა ეს კიდევ ერთხელ ცხადყო.

როდესაც ვიხსენებ ქართული კამერული ორკესტრის ყოველი წევრის გულმხურვალე დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, მახსენდება ჩვენი ერთ-ერთი სახელოვანი პროფესორის ქარაგმა, როდესაც მას შეუტიეს – ქართულად ცუდად მეტყველებო. პროფესორის პასუხი ასეთი იყო: "უმჯობესია რუსულად ილაპარაკო და ქართული საქმე აკეთო, ვიდრე ქართულად მეტყველებდე და უმოქმედო იყო!" საქართველოს კამერული ორკესტრი გერმანიაში ჩვენი კულტურის დესპანია საზღვარგარეთ და ქართული მუსიკის პროპაგანდის გარდა, საქართველოსაც ეხმარება თავისი ქველმოქმედებით.

შემთხვევითი როდია, რომ ქართულმა კამერულმა ორკესტრმა გერმანიაში უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა, ხოლო 1999 წელს საოცარი ფაქტი მოხდა – დაარსდა ქართული კამერული ორკესტრის მეგობართა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეა ფრიდემან გიოტცგერი. საზოგადოება დღეისთვის 300 წევრს ითვლის და ეს რიცხვი იზრდება.

ქართული კამერული ორკესტრის მეგობართა საზოგადოება ორკესტრის მოღვაწეობას ყოველმხრივ უწყობს ხელს. უწევს საორგანიზაციო, ფინანსურ, სამედიცინო დახმარებას, იზიდავს სპონსორებს კონცერტების დასაფინანსებლად, აწყობს "მეგობართა კონცერტებს", რისთვისაც იწვევს სახელგანთქმულ სოლისტებს ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთობლივი კონცერტების ჩასატარებლად. მათ შორის არიან მარინა იაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ოლეგ კრისა, ფრანსუა ლელიუ და სხვ. "მეგობართა საზოგადოებამ" გახსნა ორკესტრის ვებსაიტი ინტერნეტში, გამოსცა ორკესტრის კომპაქტ-დისკები. "მეგობართა საზოგადოება" იღწვის ორკესტრის იმიჯის შექმნაზე, აფინანსებს მუსიკოსების საკონცერტო კოსტიუმების შეკერვას, მისი ინიციატივით ქალაქ ინგოლშტატის ერთ-ერთ სამარშრუტო ავტობუსზე ქართული ორკესტრის რეკლამაა გამოხატული. ერთი სიტყვით, "მეგობართა საზოგადოება" ქართულ კამერულ ორკესტრს მუდმივად მხარში უდგას და ზრუნავს მის აქტიურ მონაწილეობაზე გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში. მრავლისმთქმელია საზოგადოების წევრთა განცხადებაც იმის თაობაზე, რომ დიდად აფასებენ იმ ადამიანურ და კულტურულ სიმდიდრეს, რომელიც ქართველებმა ჩამოიტანეს ინგოლშტატში.

2002 წელს ქართული კამერული ორკესტრის მუსიკოსის ვიტალი სიხარულიძის ინიციატივით "აუდის" ფესტივალზე მიწვეული იყო ანსამბლი "რუსთავი" ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. მათ კამერულ ორკესტრთან ერთად შეასრულეს ოთარ თაქთაქიშვილის მეგრული სიმღერების ციკლი (სოლისტი ნუგზარ გელაშვილი). ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრა ბავარიის მიწაზე. 30 წლის წინათ ხომ საქართველოში თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ ორი ბრწყინვალე კოლექტივის მიერ შედგა თაქთაქიშვილის აღნიშნული ნაწარმოების პრემიერა. ინგოლშტატის მსმენელებმა მხურვალე ოვაციებით გამოხატეს აღტაცება ქართველი მუსიკოსების მაღალი ოსტატობისადმი. ქართული ხალხური თუ პროფესიული მუსიკის თვითმყოფადობით აღტაცებულმა ჩვენი კამერული ორკესტრის "მეგობართა საზოგადოებამ" კი გადაწყვიტა სწვეოდა საქართველოს მისი კულტურისა და ტრადიციების გასაცნობად და აღნიშნული კონცერტი საქართველოშიც გაემეორებინა. ამრიგად, 30 კაციანი დელეგაცია ინგოლშტატიდან ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთად თბილისში ჩამოვიდა.

პირველი კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა მარკუს პოშნერის დირიჟორობით. მოვისმინეთ ჩვენი მსმენელისთვის ნაკლებად ცნობილი შუბერტის უვერტიურა (სი ბემოლ მაჟორი) და მოცარტის სიმფონია №36. მეორე განყოფილებაში კი პიაცოლას "წელიწადის ოთხი დრო" ვიოლინოს სოლოსა და ორკესტრისათვის (სოლისტი – დანიელ რიონი). ამ უკანასკნელმა ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, არა მარტო ვივალდის "წელიწადის დრონთან" ალუზიებით, არამედ პიაცოლას კოლორატული ორკესტრობით, დანიელ რიონის განსაცვიფრებელი ოსტატობითა და ჩვენი ორკესტრის უზადო ხმოვანებით. ეს იყო შეხვედრა ჭეშმარიტად მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასთან, რომელმაც თითქოს წაშალა ზღვარი სცენასა და მსმენელთა დარბაზს შორის და დირიჟორ პოშნერის ნებამ ორივე მათგანი მუსიკის ხიბლის ტყვეობაში მოაქცია.

ქართული კამერული ორკესტრის მეორე კონცერტი ანსამბლ "რუსთავთან" ერთად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა და ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამჯერად, მეგრული ციკლის შესრულებაში საოპერო თეატრის სოლისტი თემურ გუგუშვილი მონაწილეობდა. მსმენელი მონუსხა მეგრული სიმღერებისთვის დამახასიათებელი ლირიკის ფართო დიაპაზონმა და მათდამი კომპოზიტორის ძალზედ მოკრძალებულმა, ფაქიზმა დამოკიდებულებამ. მიუხედავად იმისა, რომ ციკლში შემავალი სიმღერები შეუსვენებლივ სრულდება, ქართული ხალხური სიმღერის უნიკალურმა ფენომენმა და შემსრულებელთა ოსტატობამ თავისი გაიტანა – დარბაზმა ემოციები ვერ დაიოკა და ციკლის შესრულება ხშირად წყდებოდა აღტაცებული ოვაციებით.

კონცერტის შემდეგ ანზორ ერქომაიშვილმა აღნიშნა: "მივესალმები ქართული კამერული ორკესტრის გერმანიაში აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას და ქართული მუსიკის პროპაგანდისთვის ასეთ ძალისხმევას. ისინი ჭეშმარიტად ქართულ საქმეს აკეთებენ და მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ აქედან. მიხარია ანსამბლ "რუსთავისა" და ქართული კამერული ორკესტრის თანამშრომლობა. როგორც გერმანიაში, ისე ჩვენთან, საქართველოში, სასიამოვნო იყო ამ ნაწარმოების ერთობლივი შესრულება".

ქართული კამერული ორკესტრის "მეგობართა საზოგადოების" დელეგაციამ დაათვალიერა თბილისი, მისი შემოგარენის ისტორიულ-კულტურული ძეგლები, იმოგზაურა კახეთში. დელეგაციაში შედიოდნენ ქალაქ ინგოლშტატის სახელოვანი მოქალაქეები, მაღალი რანგის პროფესიონალები, ცნობილი პიროვნებები. მათ შორის აღსანიშნავია იზოლდა ატცეროდტი ქალიშვილითურთ. იზოლდა ატცეროდტი ინგოლშტატის საკონცერტო-მუსიკალური საზოგადოების ხელმძღვანელია. მისი ქალიშვილი - ევა-მარია ქალაქის საბჭოს შემადგენლობაში შედის. ამასთან, ინგოლშტატის გიმნაზიების მთავარი ქორმაისტერია და ახალგაზრდულ და ბავშვთა გუნდებს ხელმძღვანელობს. ატცეროდეტების ოჯახი ქართული კამერული ორკესტრის დიდი ქომაგია. გარდა ამისა, ხშირად მართავს ქართველ მხატვართა გამოფენებსაც. თბილისში ვიზიტის პერიოდში უცნაური რამ მოხდა: დედა-შვილმა საქართველოში, მამისა და ბაბუის საფლავი აღმოაჩინა. იზოლდა ატცეროდტის მამა – თეოდორ დობლი 1945 წელს ტყვედ ჩავარდა. მას 7 წლის განმავლობაში ეძებდა ოჯახი. ბოლოს შეიტყვეს, რომ იგი საქართველოში მუცლის ტიფით გარდაიცვალა და ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი მეუღლე კი ფეხმძიმედ დარჩა და ტყუპი გოგონები შეეძინა – იზოლდა ატცეროდტი სწორედ ერთი მათგანია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის ძალისხმევით, მოიძიეს საარქივო მასალა და საფლავი რუსთავში აღმოაჩინეს.

ამგვარად, ქართულმა კამერულმა ორკესტრმა გერმანიასა და საქართველოს შორის სიყვარულისა და მეგობრობის კიდევ ერთი ხიდი გადო. ქართველმა მუსიკოსებმა ჩვენს ქაოტურ და სახეწაშლილ თბილისშიც თავის "მეგობართა საზოგადოებას" ღირსეული მასპინძლობა გაუწიეს.

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲑᲣᲚᲐᲢ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐ



ბულატ ოკუჯავა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ბულატ ოკუჯავას სიმღერები ყველამ ვიცით, აი, პროზას კი ნაკლებად ვიცნობთ. არადა, თუკი მისი რომანის, "გაუქმებული თეატრის" მთარგმნელს, ჯუმბერ თითმერიას დავუჯერებთ, ეს დიდი პროზაა. "გაუქმებულ თეატრს", როგორც რუსულ ენაზე დაწერილ წლის საუკეთესო რომანს, 1994 წელს ბუკერის საერთაშორისო პრემია მიენიჭა. სწორედ ამ რომანის ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა გუშინ წიგნის მაღაზია "პარნასში".

რომანი გამომცემლობა "საარმა" დასტამბა. ეს ოჯახური ქრონიკაა, მასში პოეტის ბავშვობაა აღწერილი, რომელიც ძალიან დრამატული იყო: ჯერ მამამისი, შალვა ოკუჯავა, შემდეგ ბიძები და მამიდა, გალაკტიონის მეუღლე ოლღა დააპატიმრეს. წიგნში აღწერილია ის საშინელი ღამე, როცა დედაც წაიყვანეს. სწორედ ამ დრამიდან იღებს სათავეს ბულატ ოკუჯავას სიმღერები, რომლებიც ჩვენთვის ასეთი ახლობელი და საყვარელია.

მიუხედავად იმისა, რომ ბულატ ოკუჯავას ქართველობის ამბავი ეჭვს არ ბადებს, პირადად ჩემთვის ის ყოველთვის მთლად რუსი თუ არა, საბჭოთა შემოქმედი იყო (საუკეთესო მნიშვნელობით). ბატონი ჯუმბერ თითმერია გვარწმუნებს, რომ ეს რომანი "თხემით ტერფამდე ქართველის, ჩვენი დიდი მამულიშვილის წიგნია".

საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ბულატ ოკუჯავას წარმოშობას – მთავარია, რომ ჩვენ მისი შემოქმედება გვიყვარს, და ამის დასტური თუნდაც "პარნასში" მიბრძანებული ხალხის, მისი რომანის გმირების შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლე იყო.

„ᲚᲐᲗᲘᲜᲝ-ᲤᲐᲠᲗᲘᲡ" ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

მათთვის, ვინც ზაფხულის გატარებას "16 რაუნდში" აპირებს

ვერა ნეფარიძე

ლათინური მუსიკის მოსმენა ნამდვილად არაა დიდად სასიამოვნო ღია ცის ქვეშ, ზაფხულის სუსხიან საღამოს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მუსიკა ვერ გაიძულებს ცეკვას. არ ვიცი, რა აკლდათ ოთხშაბათ საღამოს კლუბ "16 რაუნდში" შეკრებილ თბილისელებს ისეთი, რომ მათთვის ასე საყვარელ რიტმებზე დიდად ვერ მოილხინეს.

მიზეზებს კი რა დალევდა: ცოტა სიცივე, ცოტა აუდიტორიის სიმცირე და შესაბამისად, ფესტივალის გახსნისთვის არასახარბიელო სიტუაცია და, ალბათ, ალკოჰოლური გრადუსის ნაკლებობა - ფესტივალი "საუკუნე ოც დღეში" კომპანია "კოკა-კოლას" მხარდაჭერით იმართება. მართალია, ეს სულაც არ ზღუდავდა სტუმართა სურვილებს, მაგრამ როგორც ჩანს, ფესტივალის პირველი დღის აუდიტორიისთვის ერთბაშად ბილეთებისა და სპირტიანი სასმელების შეძენა მიუწვდომელი სიამოვნება იყო. არ ვიცი, რამდენად იმოქმედებს თბილისელი ახალგაზრდობის მონდომებაზე ის სიურპრიზი, რაც ფესტივალის ორგანიზატორებმა აბონემენტის მყიდველებისთვის დააწესეს. და თუკი მოინდომებენ, რომელიმე მათგანი ავტომობილსაც მოიგებს.

ავტომობილის გარდა, ფესტივალს სხვა მიმზიდველი მხარეებიც აქვს. პირველ რიგში, საკმაოდ მაცდურად გამოიყურება 8 აგვისტომდე დაგეგმილი მუსიკალური საღამოების სახელწოდებები: "ლათინო ფართი", "ფოკლ-როკ ფართი", "70-იანების ფართი", "ჯემ-სეიშენ ფართი", "აფრო-სელტიკ ფართი", "სვინგ ფართი" და ა.შ - ფესტივალის ამოცანაა სრულად მოიცვას მეოცე საუკუნის მუსიკალური მიმდინარეობები. ამ რთული ამოცანის შესრულებას ფესტივალის ორგანიზატორები პროფესიონალი მუსიკოსების დახმარებით აპირებენ. "ეს ფესტივალი, პირველ რიგში, ცოცხალი მუსიკის პოპულარიზაციაა", - ამბობს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ცნობილი თბილისელი პრომოუტერი ვანიკო თარხნიშვილი. ასეა, იმდენად მივეჩვიეთ მკვდარ მუსიკას, რომ რიგითი საკლუბო საღამოების ციკლს, რაც ჩვეულებრივი ამბავია ზაფხულობით ღამის კლუბისთვის, ფესტივალს ვუწოდებთ უკვე.

ლათინური ღამე თბილისში.

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲘᲚᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ოთხშაბათს ფესტივალი "ლათინო ფართით" გაიხსნა. კონკრეტულად ამ საღამოს ორგანიზება მუსიკოს მერაბ სანოძეს (იგივე "სანოს") მოუწია. სწორედ მან შეარჩია მუსიკოსების ის შემადგენლობა, რომელიც ოთხშაბათს "16 რაუნდის" აუდიტორიას ლათინური რიტმებით წოდებული მუსიკით ართობდა. დაახლოებით, ერთსაათიანი პროგრამიდან რამდენიმე თემა უდავოდ იყო ლათინური, რამდენიმეს კი ძნელად თუ გაარჩევდით ჩვეულებრივი ჯაზ-ბენდების კლასიკური რეპერტუარიდან ცნობილი მუსიკალური ნომრებისგან.

ისინი, ვინც ამ ზაფხულს თბილისში აპირებენ დარჩენას, გულწრფელად მეცოდებიან. პირველ რიგში, იმიტომ, რომ თბილისიდან ვერ მოახერხებენ გასვლას; ხოლო, თუკი ამ ზაფხულის საღამოების გამხიარულებას ოთხშაბათს დაწყებული ფესტივალის იმედად აპირებენ, ორჯერ მეტად მებრალებიან. იმედია, ამინდი მაინც შეიცვლება, რომ "16 რაუნდში" ყოფნა შეუმსუბუქდეთ კლუბის სტუმრებს. სხვათა შორის, დღეს ფესტივალის მეორე დღეა და დაგეგმილია "სამბა ფართი", რომელსაც ჩვენთან ამ მუსიკის ცნობილი შემსრულებელი ქეთი ფარესაშვილი ამზადებს.

ნუ დაელოდებით გოდოს!

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

"გოდოს მოლოდინის" თბილისური სამზადისი.

მეორე დღეა მოსკოვის "მოსსოვეტის" თეატრში ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ეგიდით დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების კოლექტივების სპექტაკლთა ჩვენება მიმდინარეობს.

მეორე დღეა მოსკოველი თეატრალები უყურებენ რობერტ სტურუას "გოდოს მოლოდინს". დარბაზი პირთამდეა გატენილი თეატრალური ხელოვნების მოყვარული იმ მართლა ბედნიერი უმრავლესობით, ვინც დაშორებულია ამაო პოლიტიკურ ვნებებს და არც მანდატი აღელვებთ და არც პრეზიდენტები. მათთვის ქართველი რეჟისორის, თანაც, სტურუას ვიზიტი მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

რობერტ სტურუას "გოდოს მოლოდინი" თეატრალური ფესტივალის მონაწილე სპექტაკლების რიგში ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის სანახავადაც მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტებისა და სტუდიების რეჟისორებს საკუთარი სტუდენტობა მოჰყავს. ქართველი რეჟისორის მასტერ-კლასი ასი რუბლიდან ორმოც დოლარამდე ღირს. დარბაზი სავსეა, ბილეთები ძნელად იშოვება.

პრემიერას, ძირითადად, მოსკოვის თეატრალური ბომონდი ესწრება. ჭარბობს ახალგაზრდობა. შჩუკინის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები სპექტაკლს მოსასმენების გარეშე უმზერნენ. რუსული თეატრალური ხელოვნების მეტრები ოლეგ ტაბაკოვი, მარკ ზახაროვი, ვლადიმერ მაშკოვი, მამა-შვილი ლაზარევები და ძალიან ბევრი სხვა, სტურუას სიუჟეტს მრავლისმეტყველი პროფესიონალური თავის ქნევით აღიქვამენ. ქართველი კოლეგის პროფესიონალურ ეშმაკობებზე კი, მაგალითად ოლეგ ტაბაკოვი შიგადაშიგ აღტაცებულ ტაშს დაჰკრავს.

ოლეგ ტაბაკოვი, ჩეხოვის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: "ეს სპექტაკლი კი არ არის, საოცრებაა; საოცრებაა, რომ სტურუა არსად და არასდროს არ თავდება. მე ვერ მოგიყვებით, რა და როგორ ხდება სპექტაკლში ჩემი ხედვით და როგორ წავიკითხე სტურუას ბეკეტი. ეს ზედმეტია.. იგი საკუთარ სხეულში უნდა გაატარო, როგორც სამურაის დაშნა, რის შემდეგაც, როცა გაოგნება დაგეუფლება, ყურადღება მიაქციო სპექტაკლის ახალგაზრდა მსხაიობების თამაშს. აი, სად იწყება ნამდვილი გაოგნება. საოცარი შეგრძნება დამეუფლა სპექტაკლის შემდეგ: არ შეიძლება მუდამ აკრიტიკო საქართველო, სადაც ასეთი ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს. დაე, რაც უნდათ, ის აკეთონ".

მარკ ზახაროვი, "ლენკომის" თეატრის მსახიობი: მე ყოველთვის მაქვს ხოლმე რამდენიმე შენიშვნა სტურუასთან, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო და სპეციფიკური, რომ ამაზე არ შევჩერდები. შეიძლება რეჟისორს პიესის წაკითხვაში არ დაეთანხმო, მაგრამ არის ზოგადი ღირებულებები, რაც გენიალურია იმით, რომ რეჟისორი მარტივად ხდის ყველა ეროვნების ადამიანის საკუთრებად. მე მახსოვს, როგორ არ ჩამოვიდა მოსკოვში რობერტი სტანისლავსკის პრემიის მისაღებად. მაშინ, პრემიის ჟიურის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მორიგი პიკის დროს, ეყო ქართველი რეჟისორის დაჯილდოების გმირობა. სტურუა პრემიის ასაღებად არ ჩამოვიდა. მხოლოდ წერილი გამოგზავნა. ძლიერი წერილი იყო. იგი თავისი ქვეყნის შვილია და მე მას დიდ პატივს ვცემ".

ალექსანდრე ლაზარევი (უმცროსი): "ერთი სიტყვით შეიძლება? გენიალურია. ახალგაზრდების თამაშით განცვიფრებული დავრჩი. სად რჩება ადგილი ადამიანური სისუსტეებისათვის მაშინ, როცა ღმერთის რწმენა შეიძლება იყოს ასეთი ხელშესახები, მატერიალური. ეს ამაღლებული სპექტაკლია".

ვლადიმერ მაშკოვი: "მე არ მეგულება რეჟისორი, რომელსაც თავისებურად არ წაეკითხოს ბეკეტის ეს პიესა. სტურუა ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ეს მისი ბეკეტია, ისევე, როგორც შექსპირი".

სტას მიროსლავიჩი, შჩუკინის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული: "გოდოს მოლოდინი" ჩემი საყვარელი პიესაა და რამდენჯერმე მაქვს გადაკითხული, მაგრამ სტურუას ინტერპრეტაციამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ეს ან სითამამეა, ან სიგიჟე. მე მაინც მგონია, რომ რაღაც სასწაულის მოლოდინი პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ჩვენ მივეჩვიეთ ამ სპექტაკლის წაკითხვას, არ ღირს. სტურუამ ეს კარგად იგრძნო და მან თავისი "გოდო" შექმნა. ეს კარგი გაკვეთილია.

"მოსსოვეტის" დარბაზი ამ საღამოსაც გადატენილია, შუახნის ქალბატონები ყვავილებს მუხლებზე იწყობენ და პომადას ისწორებენ. ანტრაქტამდე დარჩენილ დროში საავტოგრაფედ გამზადებული პროგრამები სცენაზე ყვავილებში ირევა. იწყება სტურუას "გოდო" და დარბაზში ყველას ავიწყდება, რომ სადღაც არსებობს ვიღაცეებისაგან მოძულებული, "მტრული საქართველო". ან კი ეს რა გასახსენებელია, თუკი რუსი მაყურებელი გავსებულ დარბაზში ფეხზე მდგომი ნახევარი საათის განმავლობაში ტაშს უკრავს ქართველ რეჟისორს.

გაიხადეთ! სპენსერ ტანიკი ბარსელონაში

სპენსერ ტანიკის ავსტრიული გამოცდილება.



რას იზამდით, ვინმეს რომ ეთქვა, რომ დილის ოთხ საათზე უნდა ადგეთ, უნდა გაიხადოთ, ფოტოგრაფის ნებას დაჰყვეთ და ამაში არავინ არაფერს გადაგიხდით? თქვენი არ ვიცი, მაგრამ 12 ათასი ბარსელონელი ამერიკელ ფოტოგრაფ სპენსერ ტანიკს ულაპარაკოდ დათანხმდა. კვირას, 8 ივნისს, ესპანეთს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შიშველი ნატურის კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ჯგუფური სურათები იქნება გადაღებული. "ამერიკელმა ხელოვანმა ბარსელონა გააშიშვლა", წერდა ადგილობრივი პრესა.

ამდენი შიშველი სხეული ერთად თავად ტანიკსაც კი არ უნახავს, არადა, 36 წლის ფოტოგრაფის სპეციალობა სწორედ შიშველ ადამიანთა თავყრილობების გადაღებაა. მისი მოდელები ბაზრის მოედნებზე, ქალაქის პარკებსა და ქუჩებში, ქვაფენილზე დაიარებიან ან წვანან ხოლმე. მელბურნში მისი კამერის წინ 4 500 ადამიანი იდგა, სანტიაგოში – ოთხი ათასი, ჰელსინკში – ორი ათასი.

წინასწარ ყოველთვის ძნელია ხოლმე იმის თქმა, სად რამდენი მსურველი გამოჩნდება – ზოგი მსურველი, რატომღაც მოსვლას ვერ ახერხებს ხოლმე, ზოგს ბოლო წამს მოუნდება გამოცხადება...

დიდი ხნის განმავლობაში ტანიკის ფოტონამუშევრები სასაცილოდ მიაჩნდათ, ხან უაზრობას უწოდებდნენ, ხან – პორნოგრაფიას. ნიუ იორკში ის ხუთჯერ იყო დაპატიმრებული იმის გამო, რომ საზოგადოების გულისწყრომა დაიმსახურა.

თავად ტანიკს თავისი ნამუშევრები ფოტოსურათებად არ მიაჩნია, ის მათ "ცოცხალ ქანდაკებებს" და "სხეულის ლანდშაფტებს" უწოდებს. "ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს კონტრასტი: მგრძნობიარე შიშველი სხეული და საჯარო ადგილების სიცივე და გულგრილობა," ამბობს ხელოვანი.

არადა, მისი ნამუშევრები სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს, ახლა ის უკვე აღიარებული ფოტოგრაფია. ასე, ლონდონში, "საატჩის" გალერეა მისი ნამუშევრების პრეზენტაციით გაიხსნა, და ვერნისაჟზე მიბრძანებულ სტუმრებს კიბეზე გაწოლილი მისი მოდელები დახვდნენ. შემდგომ გამოფენა ნიუ იორკში იქნა გადატანილი.

ქალაქმა ბარსელონამ ტანიკის პროექტი 100 ათას ევროდ დააზღვია და გადაღების ადგილას პოლიციაც კი მოიზიდა, იმისთვის, რომ მასობრივი გაშიშვლების ადგილას ფუჭი ცნობისმოყვარეობის გამო თუ ბოროტი ზრახვებით მოსულთა თარეში აღეკვეთა.

სპენსერ ტანიკი ფასიან მოდელებთან არ მუშაობს, მას მხოლოდ მსურველებთან აქვს საქმე. თუკი ვინმეს შიშველთა ბრბოში გარევა უნდა, ამის შესახებ ხელოვანს ინტერნეტით უნდა შეატყობინოს. ფოტოგრაფი თავისი აქციის მონაწილეებს ყოველთვის აფრთხილებს: "ყველა ძვირფასი ნივთი სახლში დატოვეთ და შეძლებისდაგვარად ცოტა ჩაიცვით!" გადაღებებზე საათებს, სამკაულსა და სათვალესაც კი იხსნიან. თავად გადაღებები დიდხანს არ გრძელდება, რადგან ავტორს ფოტოსურათების ესკიზები წინასწარ აქვს ხოლმე მომზადებული. ის მხოლოდ ხმის გამაძლიერებლით მიმართავს შეკრებილებს.

ქალაქის მცხოვრებთა გარდა, ბარსელონაში ტანიკის ამერიკელი, გერმანელი და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული თაყვანისმცემლებიც გაიხდიან. ასე, ბონში მცხოვრებმა კანადელმა განაცხადა, რომ სპენსერ ტანიკი მისი კერპია, და მის გადაღებებში მონაწილეობისთვის ბარსელონაზე შორსაც გაემგზავრებოდა. 28 წლის არქიტექტორმა ქალმა კი ბრძანა: "ძალიან საინტერესოა, როცა მოედანზე შიშველი დგახარ, გარშემო კი ჩაცმული ხალხი და მანქანები დადიან".

ყველა ქალაქს თავის სპეციფიკა აქვს: თუკი ჰელსინკიში პრობლემას სიცივე ქმნიდა, ბარსელონას გადაღების მონაწილეებს აღგზნებისა ეშინიათ. რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს...

გია ბუღაძე, სტუდენტები და ანტინარკოტიკული მოძრაობა

ნანა ბასილაშვილი

"კინოს სახლსა" და "მაკდონალდს" შორის გუშინ, შუადღისას, გამვლელ-გამომვლელები ფეხს უნელებდნენ და სტაციონარულ კედელს შესცქეროდნენ, სადაც ახალგაზრდებს ფუნჯები მოემარჯვებინათ და კედელზე თამამ მონახაზებს აკეთებდნენ. ვიდრე კონტურები გამოიკვეთებოდა, გამვლელებიდან ზოგს ისინი "კმარას" "მწერლები" ეგონათ, ზოგიერთმა რაღაც ახალი დაჯგუფების წევრებად მონათლეს, ზოგიც მომღიმარი სახით მორიგ სეირს ელოდა. ამას წინათ, გორში "კმარას" მეგაფონის ნაცვლად ფუნჯით შეიარაღებული ერთ-ერთი წევრისთვის, თავზე საღებავით სავსე ვედრო გადაუსხიათ, ჩვენც ვინმემ იგივე არ გაგვიკეთოსო და ნებისმიერი ცნობისმოყვარეს კითხვას ფუნჯიანი ბიჭები დაუყოვნებლივ პასუხობდნენ. მოგვიანებით მათ მერიის ნებართვის სანქციაც მოუტანეს. მშვიდად ჩანაფიქრის შესასრულებლად მხოლოდ კიბის არქონა უშლიდათ ხელს და კიდევ თეთრი საღებავის წამოღება დავიწყებოდათ.

ნელ-ნელა ყველაფერს ნათელი მოეფინა. კედელზე ჭოგრიტიანი კაცი, ტაძარი, და კიდევ ბევრი საინტერესო რამ გამოიკვეთა. "დამსწრე საზოგადოებას" ხილიანზე მოხატული კედელი გაახსენდა. დიახ, ნაწილობრივ, ეს აქცია (ისევე როგორც ხილიანის კედელი), ქალაქის ვიზუალური სახის გარდაქმნის პროგრამაში შედის. თუმცა მისი ძირითადი მოტივი სულ სხვაა.

26 ივნისს ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ქართულმა ანტინარკოტიკულმა მოძრაობამ, ნარკოტიკების გავრცელების ბრძოლის სამსახურმა, მხატვარ გია ბუღაძესა და მის სტუდენტებს აქციაში მონაწილეობის მიღება სთხოვა. მხატვრებს ნარკოტიკებისა და მათი მომხმარებლების ანტირეკლამა უნდა მოეფიქრებინათ. აქციაში გია ბუღაძემ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის ცხრა სტუდენტი ჩართო. "გადავწყვიტე, შეგვერჩია ორი ადგილი. ერთი სტაციონარული კედელი, ხოლო მეორე – მოძრავი ობიექტი" – ამბობს გია ბუღაძე.

გუშინ ოთხმა სტუდენტმა კედლის მოხატვა დაიწყო. დანარჩენები დღეს 12 საათიდან ტროლეიბუსების პარკში №11 ტროლეიბუსის გაფორმებას შეუდგნენ. "რატომ ამჯობინე ნარკოტიკი ცაში ვარსკვლავებს და გულში სინდისს?!" – ზემელის კედელზე სტუდენტებმა ბუღაძის ესკიზის მიხედვით ამ აზრის პერიფრაზირება მოახდინეს. ხოლო საგანგებოდ მოხატული ტროლეიბუსი, რომელიც საბურთალოდან თავისუფლების მოედნისკენ გზას გადის, სოციალური ტიპის რეკლამას ასეთი წარწერით გააკეთებს: "სჯობს თაფლი, ვიდრე ნარკოტიკი".

არ ვიცი, რამდენად დაეხმარება ეს რეკლამები ანტინარკოტიკულ კომპანიას. ყოველ შემთხვევაში, მხატვრების მუშაობა, ალბათ, ფუჭად არ ჩაივლის. მათი ნამუშევარი საზოგადოების ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს. იქნებ, ვინმე დააფიქროს კიდეც.

ფეხბურთი

„ინტერი"? არა, დედას არ უნდა"

სწორედ ასეთი პასუხი გასცა ახალგაზრდა ამერიკელმა ტალანტმა ფრედი ადუმ მასიმო მორატის კლუბის აგენტებს, როცა მათ ფეხბურთელს "ინტერში" გადასვლა შესთავაზეს. ფრედი ადუ წარმოშობით განელია, მაგრამ ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ამერიკის მოქალაქეობაც აქვს. ახალგაზრდა ფეხბურთელი მერილენდის "ჰაი სკულში" სწავლობს და იქვე თამაშობს კოლეჯის გუნდში. ამერიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრიცაა. როგორც სელექციონერები ირწმუნებიან, ედუ ძალიან ნიჭიერია და მისგან დიდი ფეხბურთელი დადგება. სწორედ ამიტომ უნდათ "ინტერის" აგენტებს მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ფეხბურთელის დედა ამის წინააღმდეგია. ქალბატონ ედუს მიაჩნია, რომ მისმა შვილმა ჯერ კოლეჯი უნდა დაამთავროს და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს ევროპულ კარიერაზე. ედუც იზიარებს დედის აზრს და მიაჩნია, რომ სწავლა მისთვის "ინტერში" გადასვლაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ხავი მორენოს „მილანში" მობეზრდა

იმის მიუხედავად, რომ ბერლუსკონის "მილანი" წლევანდელი სეზონის საუკეთესო ევროპული გუნდია, მადრიდის "ატლეტიკოში" განათხოვრებულ ხავი მორენოს ანჩელოტის გუნდის გაგონებაც კი არ უნდა. ესპანელი ფორვარდი "მილანში" გასულ სეზონში გამოდიოდა, მაგრამ არც ისე ხშირად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, რადგან მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია როსონეროთა ტიფოზებზე. მადრიდში პირიქით, თავს შესანიშნავად გრძნობს და კარგადაც თამაშობს. სწორედ ამიტომ აცხადებს, რომ მილანში აღარ დაბრუნდება და იმედი აქვს, რომ "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა თავად მოისურვებს კლუბში მის დატოვებას. "საქმე მეტად მარტივია - "მილანში" აღარ დავბრუნდები. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა. არ მსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი. ესპანეთის ჩემპიონატში ბევრად უფრო უკეთესად ვთამაშობ. მომავალ ტურში "რეალს" ვხვდებით. მეტად დაძაბული მატჩი გველის. იმედი მაქვს, ჩემპიონი "სოსიედადი" გახდება", - განაცხადა ფეხბურთელმა.

აბელარდო მიდის

გასული სეზონის ბოლოს, როცა ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი "ბარსელონაში" დაბრუნდა, კატალონიელთა ვეტერან მცველ აბელარდოს გულმა უგრძნო, რომ შარიანი ჰოლანდიელი მას გუნდში აღარ გააჩერებდა და ასეც მოხდა. ვან გაალმა ფეხბურთელს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და კლუბიდან გაუშვა. გულდაწყვეტილი აბელარდო, რომელსაც "ბარსელონა" ძალიან უყვარდა, "ალავესში" წავიდა. ბასკურ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ერთი წლის მერე იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ უკვე კარიერის დასრულების დრო იყო. როგორც კი პრემერა დივიზიონი ჩათავდება, აბელარდო ბუცებს გაიხდის და აღარასოდეს გავა მოედანზე. ფეხბურთელი აცხადებს, რომ მეტად საინტერესო გზა განვლო და კმაყოფილია თავისი კარიერით. ამაზე მეტს ჩემს ასაკში ვეღარ მივაღწევო, - მიაჩნია ესპანეთის ნაკრების ექს-მცველს.

სისეს „ლივერპული" იზიდავს

ფრანგების ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯიბრილ სისე საფრანგეთის ჩემპიონატის დატოვებას აპირებს. მისმა "ოსერმა" მიმდინარე სეზონში არცთუ ისე კარგად იასპარეზა - მხოლოდ უეფას თასის საგზური მოიპოვა. სისეს "ოსერში" თამაში აღარ აკმაყოფილებს და უფრო მაღალ მიზნებს ისახავს. "უკვე 22 წლის ვარ. დროა, სერიოზულად ვიფიქრო კარიერაზე. დიდი სიამოვნებით გადავიდოდი "ლივერპულში". ძალიან მომწონს პრემიერლიგა და, საერთოდ, ინგლისური ფეხბურთი", - ამბობს სისე. "ოსერის" პრეზიდენტს ძალიან უნდა, სისე კლუბში დატოვოს, სულ ცოტა, ერთი სეზონით მაინც, მაგრამ სისეს უკვე აღარ შეუძლია "ოსერის" ატანა. "ამ კლუბში შვიდი წელიწადი ვითამაშე. დიდი გამოცდილება მივიღე და ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უკვე დროა, გარემო გამოვიცვალო. ძალიან დამწყდება გული, თუ ვერ შევძლებ "ლივერპულში" გადასვლას", - ამბობს ფრანგი ფორვარდი.

„არავინ იცის, ვინ გახდება ჩემპიონი"

ინტერვიუ რობერტო კარლოსთან

მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნების ეროვნული ლიგები დასრულდა და ჩემპიონებიც გამოვლინდნენ, ესპანეთის "პრიმერა-დივიზიონში" კლუმინაციამ თავის პიკს მიაღწია, ჩემპიონის ვინაობა კი ჯერაც გაურკვეველია. არავის ეგონა, რომ "პატარა სოსიედადი" უკანასკნელ ტურამდე ასეთ დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა "დიად რეალს". ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, "სოსიედადი" კი მადრიდელებს კვლავინდებურად ერთი ქულით უსწრებს. რას ფიქრობს ამ დროს "რეალი"? - საუკეთესო პასუხს, ალბათ, მადრიდელთა ბრაზილიელი მცველი, რობერტო კარლოსი გაგვცემს.

- ვინ გახდება ჩემპიონი?

- ძნელი სათქმელია. "სელტასთან" რომ მოგვეგო, ახლა კარგი უპირატესობა გვექნებოდა. ამ შემთხვევაში კი, ვფიქრობ, ყველაფერი უკანასკნელ ტურში გადაწყდება. არავინ იცის, ვინ გახდება ჩემპიონი. ჩვენ ასეთ სიტუაციებში თამაშის დიდი გამოცდილება გვაქვს, თუმცა, "რეალ სოსიედადმა" დაგვანახა, რომ ეს ძალიან სტაბილური გუნდია, რომელიც შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს და ეს მათ უნდა მივულოცოთ.

- ესე იგი, მომავალი ტური გადამწყვეტი იქნება?

- ვფიქრობ, ვინც ამ ტურში დარჩება ლიდერი, ჩემპიონიც ის გახდება. მომავალი ტური, ალბათ, მართლაც გადამწყვეტი იქნება.

- შემდეგი მატჩი მადრიდის "ატლეტიკოსთან" გაქვთ. მათ არ უნდათ, რომ თქვენ ჩემპიონები გახდეთ.

- გამიკვირდებოდა კიდეც, ასე რომ არ ყოფილიყო. მათი გულშემატკივრები არ ცნობენ არაფერს, რაც მადრიდის "რეალს" შეეხება. ჩვენ კი ვეცდებით, დიდებული მატჩი ვითამაშოთ.

- როგორ ფიქრობ, შეიძლება, რომ "სოსიედადმა" თავისი ბოლო მატჩი "ატლეტიკოსთან" წააგოს?

- ისიც შესაძლებელია, რომ ეს მატჩი ფრედ დასრულდეს. მადრიდის "ატლეტიკოს" ასწლიანი ისტორია ამ გუნდს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მათ მოსაგებად არ ითამაშონ. ისინი პროფესიონალები არიან და, ვფიქრობ, ამ შეხვედრაში უძლიერესი გაიმარჯვებს. დარწმუნებული ვარ, "ატლეტიკო" არ იკადრებს სპეკულაციებს.

- თქვენს წინააღმდეგ მატჩში "ატლეტიკო" უდიდესი მოტივაციით გამოვა მოედანზე?

- ისინი ჩვენს გასაგლეჯად გამოვლენ, ჩვენ კი - მოსაგებად. ჩვენი საქმე ფეხბურთის თამაშია. ახლა ჩვენ ესპანეთის ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ულამაზესი მატჩი იქნება.



რობერტო კარლოსი

ნაკრებს აღარავინ აკლია

გუშინ კახა კალაძე თბილისში ჩამოვიდა

აკა ტონია

საქართველოს ნაკრები, რომელიც უკვე ოთხი დღეა, 11 ივნისის მატჩისთვის ემზადება, გუშინ შეივსო. ჩამოსასვლელი აღარავინ დარჩა. ის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებს აკლდა, კახა კალაძე იყო. მილანელი მცველი გუშინ, საღამოს ექვსის ნახევარზე, თბილისში ჩამოვიდა.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ვენა-თბილისის რეისით ჩამოფრინდა. თბილისის აეროპორტში მას გულშემატკივრები, ჟურნალისტები, ოფიციალურ პირთაგან კი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი დახვდნენ.

კალაძემ ჟურნალისტებს თავი ვერ დააღწია და რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა მაინც მოუწია. პირველი კითხვა, ცხადია, ახლახან მოპოვებულ გამარჯვებას ეხებოდა. "უზომოდ ბედნიერი ვარ. მართალი გითხრათ, ჯერ კიდევ არ გამოვსულვარ იმ შთაბეჭდილებებიდან", - გვითხრა კალაძემ და იმაშიც გამოგვიტყდა, რომ ჩემპიონთა თასზე უკვე დიდი ხანია ოცნებობდა. თურმე, ჩემპიონთა ლიგის მოგება მას ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა "დაგეგმილი", როდესაც მისი მაშინდელი კლუბი, კიევის "დინამო" ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, - "მაშინ ძალიან ახლოს ვიყავით ფინალთან, თუმცა, ეს ოცნება არ აგვიხდა. ჩემპიონთა თასი მას შემდეგ გულში მქონდა ამოჭრილი და მთელი ამ ხნის მანძილზე კიდევ ერთ შანსს ველოდი".

კახა კალაძე თბილისის აეროპორტში

ჩემპიონთა ლიგაზე საუბარი ჩვენი ახლანდელი, მთავარი საზრუნავით შეიცვალა: რას ფიქრობს კალაძე ირლანდიის წინააღმდეგ მატჩზე? - 11 ივნისის მატჩის პროგნოზირებისგან კალაძემ თავი შეიკავა. სასიამოვნოა, რომ მასაც, ისევე როგორც საქართველოს ნაკრების თითოეულ წევრს, დუბლინში გამარჯვების იმედი აქვს.

აეროპორტიდან კალაძე პირდაპირ დიღომში წავიდა და საქართველოს ნაკრებს შეუერთდა. მომქანცველი მგზავრობის მიუხედავად, კალაძემ საწვრთნელ ბაზაზე მისვლისთანავე სრული დატვირთვით ივარჯიშა. სასიხარულოა, რომ კვირკველიას, ცქიტიშვილსა და კობიაშვილს ტრავმები არ გართულებიათ. გუშინდელ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო გიორგი ნემსაძემ, თუმცა, საშიში არაფერია - ვარჯიშის გაგრძელებას ნემსაძე დღესვე შეძლებს.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით და სრული დატვირთვით ემზადება საირლანდიოდ. ახლა მხოლოდ მოთმინება, შემდეგ კი კარგი შედეგი გვჭირდება...

„ლოკომოტივს" მეორე ლიგაში დაქვეითება დაემუქრა

აკაკი ჩხაიძე სფფ-ს სასამართლოში ჩივილს ურჩევს

მიხეილ აბაიშვილი

ქართულ ფეხბურთში ახალი სკანდალია. ის, ბოლო დროს გაჩენილი ტრადიციის შესაბამისად, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს და საფეხბურთო კლუბ "ლოკომოტივს" უკავშირდება. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ისედაც დაშლის პირას მყოფი და ჩიხში მოქცეული "ლოკომოტივი", რომელიც წლეულს ვერც საპრიზო ადგილს შეწვდა და თასის ტურნირშიც ხელი მოეცარა, მეორე (!) ლიგაში აღმოჩნდეს. ეს არასახარბიელო პერსპექტივა კლუბის სპორტულ წარუმატებლობებთან არაფერ შუაშია - ის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება.

ვალერი ჩოლარია აკაკი ჩხაიძეს უმძიმესი სანქციებით ემუქრება

ვითარებაში სიცხადის შესატანად ცოტა ხნით უკან დავიხიოთ და ყბადაღებული ჩაშლილი მატჩის შემდგომი პერიოდი გავიხსენოთ. იმ მატჩის ექო რუსეთში და მთელ ევროპაში გაისმა, მაგრამ განსაკუთრებული ვნებათაღელვა საქართველოში გამოიწვია. თამაშის ჩაშლის მიზეზების გამოძიება და დამნაშავეთა გამოვლენა დაევალა საქართველოს უშიშროების სამინისტროს, რომელიც ამ სამსახურის შეფის გარდა, სპეციალურად შექმნილ სამთავრობო კომისიას აბარებდა ანგარიშს. ამ კომისიას სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძე ხელმძღვანელობდა. ამავე კომისიას პირადად ქვეყნის პრეზიდენტისგან ჰქონდა დავალებული, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი საშინაო თამაშებისთვის უსაფრთხო პირობები შეექმნა. განსაკუთრებული ყურადღება ისევ რუსეთის ნაკრების სტუმრობას მიექცა. კომისიას უნდა განესაზღვრა, თუ როგორ გადაინაწილებდნენ რუსეთის ნაკრების ხელახალი სტუმრობის ხარჯებს პროცესში ჩართული მხარეები - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რკინიგზის დეპარტამენტი და "AES თელასი". მაშინ თედო ისაკაძემ ისიც აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ სამეულს სახელმწიფო ბიუჯეტიც ნაეშველებოდა.

თუმცა, საკითხი გაცილებით იოლად მოგვარდა, თანაც, მაკრატელს გაშინაურებული და "შავი ხვრელების" მქონე ქვეყნის ბიუჯეტის შეწუხების გარეშე. რკინიგზის დეპარტამენტმა და ფედერაციამ არც ამერიკული კაპიტალი - თელასი შეაწუხეს. გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ეს ორი სუბიექტი სხვების ჩაურევლად გავიდოდა ფონს. კერძოდ, 2003 წლის 4 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი უფლებას იღებდა, უზრუნველეყო ეროვნული ნაკრების სამი საშინაო შესარჩევი მატჩის (29 მარტი, საქართველო - ირლანდია, 2 აპრილი, საქართველო - შვეიცარია, 30 აპრილი, საქართველო - რუსეთი) ბილეთების დაბეჭდვა-რეალიზაცია. მიღებული შემოსავალი მთლიანად რკინიგზას დარჩებოდა, იმ ფიქსირებული თანხის გარდა, რომელიც ფედერაციას უნდა მიეღო და საიდანაც ეს უწყება დაფარავდა რუსეთის ნაკრების მასპინძლობისა თუ საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. მხარეების შეთანხმების მიხედვით, ფიქსირებული თანხა 300 ათასი დოლარია. ხელშეკრულებაში 3 ეტაპადაა განსაზღვრული ამ თანხის გადახდის ვადები: 100 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარებში - 2003 წლის 20 მარტამდე, იგივე თანხა - 2003 წლის 15 აპრილამდე, დარჩენილი 100 ათასი - 2003 წლის 10 მაისამდე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თქმით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რომელიც შეთანხმებულია სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან თედო ისაკაძესთან და რომლის ასლიც უეფას შტაბბინაში, შვეიცარიაში ინახება, რკინიგზის დეპარტამენტმა არ შეასრულა - 300 ათასი დოლარის ნაცვლად გადარიცხა მხოლოდ 50 ათასი დოლარის ეკვივალენტი, რითაც ფედერაცია მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა. კერძოდ: ოთხ დღეში ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ირლანდიაში მიემგზავრებიან. ჩარტერული რეისის შესასრულებლად თვითმფრინავის დაქირავება 50 ათასი დოლარი ჯდება, დუბლინში სასტუმროს ხარჯები 35 ათას დოლარს შეადგენს, ქართველი ლეგიონერების გამოძახების ხარჯები - 20 ათას დოლარს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, როგორც ამ უწყების მეორე პირმა გვამცნო, ანგარიშზე დღეს ასეთი თანხები მხოლოდ იმიტომ არა აქვს, რომ რკინიგზამ კონტრაქტი არ დაიცვა. ფედერაცია დადგა იმის საშიშროების წინაშე, რომ ჩვენი ნაკრები გუნდები ირლანდიაში ვერ მიემგზავრებოდნენ, ხოლო ეს ქართულ ფეხბურთს გაუთვალისწინებელ, დაუგეგმავ და მკაცრ სანქციებს მოუტანდა. მხოლოდ მერაბ ჟორდანიას პირადი თხოვნის შემდეგ, ფედერაციას უპროცენტო სესხი მისცა ფიფამ და გუშინ საჭირო თანხა გადაერიცხათ "აირზენას" (რომელიც ჩარტერულ რეისს შეასრულებს) და სასტუმროს დუბლინში, რომელშიც განთავსდებიან ქართველი ფეხბურთელები.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რუსეთის ნაკრები, რომლის ხელახალი მასპინძლობა ფედერაციას 90 ათასი დოლარი დაუჯდა.

"ჩვენ სამი ოფიციალური წერილი გავუგზავნეთ რკინიგზის დეპარტამენტს და კონტრაქტის პირობების დაცვა მოვითხოვეთ. არც ერთხელ პასუხი არ მიგვიღია. მე და მერაბ ჟორდანია რამდენჯერმე შევხვდით ბატონ აკაკი ჩხაიძეს, მაგრამ იგი რატომღაც უარს აცხადებს მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობების დაცვაზე იმ მოტივით, რომ რკინიგზას ბილეთების რეალიზაციის შედეგად 300 ათასი დოლარი არ მიუღია და ეს თანხა რომ გადაიხადოს, სერიოზულად იზარალებს. მან ისიც გვითხრა, რომ მთავარ იმედს ამყარებდა რუსეთის ნაკრებთან მატჩზე რეალიზებული ბილეთებიდან მიღებულ შემოსავალზე, იმ მატჩზე, რომელზეც უეფამ ბილეთების გაყიდვა აგვიკრძალა. თუმცა, ეს ფარსია, რადგან, ჯერ ერთი, უეფამ ეს გადაწყვეტილება 15 აპრილს მიიღო, ამ დროისთვის კი ჩვენს ანგარიშზე უკვე 200 ათასი უნდა ყოფილიყო ჩარიცხული, რაც არ მომხდარა. მეორეც: რუსეთის ნაკრებთან ხელახალ მატჩზე ყველა შემთხვევაში იმოქმედებდა ძველი ბილეთები 10 ათასზე მეტი რაოდენობით. მაშინ მაღალი ფასის, პრესტიჟული ადგილის ყველა ბილეთი გაყიდული იყო. დარჩენილი ბილეთების რეალიზაცია კი საგრძნობ შემოსავალს ვერ მოუტანდა. გარდა ამისა, ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ რუსეთის ნაკრებთან მატჩზე უეფამ ბილეთების გაყიდვა აგვიკრძალა და მხოლოდ იმ მაყურებლების შეშვების უფლება მოგვცა, რომლებსაც 2002 წლის 12 ოქტომბრის თამაშის ბილეთი ჰქონდა, ჩვენ კეთილი ნება გამოვიჩინეთ და უარი ვთქვით კუთვნილი 300 ათასი დოლარიდან 100 ათასზე. ასე რომ, რკინიგზას ჩვენთვის გადასახდელი დარჩა 150 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დამატებული ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარიმო საურავი თანხა გადახდის ვადების დარღვევისთვის. ეს საერთო თანხის დღიურ 0,15 პროცენტს შეადგენს", - განუცხადა "24 საათს" ვალერი ჩოლარიამ.

თუმცა, როგორც ირკვევა, აკაკი ჩხაიძის უწყება უკვე გადარიცხული 50 ათასის ზევით ერთი თეთრის გადახდასაც არ აპირებს, რის გამოც, ფეხბურთის ფედერაციას კიდევ ერთი საკითხი - საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობა აქვს სასწრაფოდ მოსაგვარებელი. სფფ-ს ბუღალტერიამ, ხელშეკრულების შესაბამისად, რკინიგზის სახელზე 200 ათასი დოლარზე (ეკვივალენტით, ლარში) გამონერა დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურა, რომელიც, იმის მიუხედავად, გადაიხდის თუ არა ადრესატი ამ ანგარიშფაქტურაში დაფიქსირებულ თანხას, გამომწერს ბიუჯეტის სასარგებლოდ მთელი თანხის 20 პროცენტის, ანუ 40 ათასი დოლარის გადახდას ავალდებულებს. "მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახურს, რომელიც გაერკვა შექმნილ ვითარებაში და ჩვენს ანგარიშს ყადაღა არ დაადო. თუმცა, ჩვენ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებისგან თავის დაძვრენას სულაც არ ვაპირებთ და მივმართავთ სასამართლოს, რათა რკინიგზის დეპარტამენტის ანგარიშს ყადაღა დაედოს და მოიხსნას სახელმწიფოს მიერ კუთვნილი თანხა - 40 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარში", - განაცხადა ჩოლარიამ.

თუმცა, ეს სასამართლო პროცესი, ალბათ, ყველაზე უწყინარი საკითხი იქნება იმასთან შედარებით, რა პრობლემებიც შეიძლება შეექმნას რკინიგზას და საფეხბურთო კლუბ "ლოკომოტივს". კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტი უსწრაფეს ვადებში არ მოახდენს სფფ-სთან კონტრაქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებას, "ლოკომოტივი", შესაძლოა, ორი საფეხურით ჩამოქვეითდეს და მეორე ლიგაში აღმოჩნდეს.

"ჩვენ გვაქვს იმის ბერკეტები, რომ კუთვნილი თანხა მივიღოთ. თუ ამას რკინიგზის დეპარტამენტი კეთილი ნებით არ გააკეთებს, მის გამგებლობაში მყოფი საფეხბურთო კლუბი "ლოკომოტივი" დაზარალდება. ჩვენ შევაჩერებთ საფეხბურთო კლუბ "ლოკომოტივის" ყველა საშინაო და საგარეო ტრანსფერს, უეფას მიერ ამ კლუბისთვის გამოყოფილი ყველა თანხა დაყადაღებული და მოხსნილი იქნება სფფ-ს სასარგებლოდ, მოთხოვნილ 150 ათას დოლარს დაემატება ის 90 ათასი, რომელიც ფედერაციამ რუსეთის ნაკრების ხელახალი სტუმრობის გამო იზარალა, ხოლო თავად გუნდი მოიხსნება უმაღლესი ლიგიდან და, არა თუ პირველი, მეორე ლიგიდან მოუწევს ძველი პოზიციების დაბრუნებისთვის ბრძოლა. ამ სანქციების შესახებ ოფიციალური წერილით ვაცნობეთ რკინიგზის დეპარტამენტს, ხოლო ასლები გაეგზავნათ სახელმწიფო კანცელარიის და უეფას შესაბამის სამსახურებს", -კატეგორიულია სფფ-ს გენერალური მდივანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით "24 საათისთვის" კომენტარი გააკეთა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ:

- ასეთი კონტრაქტი მართლაც არსებობს და მის პირობებსაც შევასრულებდით, რომ არა ის სანქციები, რომლითაც, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რუსეთის ნაკრებთან მატჩზე ბილეთების გაყიდვა აგვიკრძალეს. 300 ათასი დოლარის შემოსვლას სწორედ საქართველო-რუსეთის 30 აპრილის თამაშისთვის გაყიდული ბილეთებიდან ვგეგმავდით. სამწუხაროდ, სწორედ მათი მიზეზით ბილეთები არ გაგვაყიდინეს. მიმაჩნია, რომ ეს გარემოება გვათავისუფლებს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებებისგან. თუ სფფ-ს ხელმძღვანელობა სხვაგვარად ფიქრობს, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს.

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სასამართლოს ჩარევის გარეშეც, "ლოკომოტივის" წინააღმდეგ დისციპლინარული და ფინანსური სანქციების გატარებით გეგმავს მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას. ამის თაობაზე ოფიციალური წერილი თქვენც მიიღეთ. ასეთ შემთხვევაში რას მოიმოქმედებთ?

- ფედერაციას ამის არავითარი საფუძველი და უფლება არა აქვს. ცამდე მართალიც რომ იყოს ჩვენი ოპონენტი, საქმე ეხება საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობას. ასე რომ, საფეხბურთო კლუბი "ლოკომოტივი" არაფერ შუაშია.

ალპინიზმი

ისინი ჩამოვიდნენ ჰიმალაიდან

გიგა გურასაშვილი

მაშინ, როდესაც ბიძინა გუჯაბიძე ევერესტის ბილიკებს ტკეპნიდა, ქართველთა ოთხკაციანი ექსპედიცია ამა დაბლამის მისადგომებს ამუშავებდა. ერთმაც და მეორემაც მიზანს რა ხანია მიაღწიეს. აღსანიშნავი ის გახლდათ, რომ 22 წლის სოფიკო თვარაძემ, პირველმა ქართველმა ქალმა, ჰიმალაიში მწვერვალი დალაშქრა. მწვერვალი კი რვაათასიან ბუმბერაზებს "შეამხანაგებული" ამა დაბლამია (6 812 მ.). გუშინ ქართველთა ოთხკაციანი ექსპედიცია ვენიდან თბილისში ჩამოფრინდა.

ბენო ქაშაკაშვილი, გელა ოთარაშვილი, სოფიკო თვარაძე და აფი გიგანი

სამახსოვრო ფოტო კახა კალაძესთან

ბერიტა ბახსიანის ფოტოები

ადრეული წლებისგან განსხვავებით, წლეულს ჰიმალაი ექსპედიციათა მასპინძლობას ვერ აუდიოდა. ფაქტობრივად, ყველა გზა ჰიმალაისკენ მიდიოდა. 29 მაისს ნეპალი ევერესტის პირველი დაპყრობიდან 50 წლისთავს აღნიშნავდა. საიუბილეო თარიღზე ევერესტზე მოხვედრის მსურველი კი მრავლად იყო. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სხვა მწვერვალების დაპყრობა დაისახეს მიზნად. ასეთი იყო ბენო ქაშაკაშვილის, გელა ოთარაშვილის, აფი გიგანისა და სოფიკო თვარაძის ექსპედიცია. გუშინ თბილისის აეროპორტში მათ ახლობელ-ნათესავთა არმია ელოდა. პირველად ექსპედიციის ხელმძღვანელს ბენო ქაშაკაშვილს დავუსვით რამდენიმე კითხვა.

- საიდან გაჩნდა ამა დაბლამზე ექსპედიციის იდეა და, საერთოდ, რატომ მაინცდამაინც ამა დაბლამი, მით უმეტეს, რომ ექსპედიციათა უმრავლესობას ევერესტისკენ ჰქონდა გეზი აღებული?

- 29 მაისს ევერესტის დაპყრობიდან 50 წელი შესრულდა. იუბილეს აღსანიშნავად ნეპალში გრანდიოზული ღონისძიება მოეწყო. მასში მონაწილეობის მისაღებად ევერესტის ყველა დამპყრობი მიიწვიეს. ჩვენც მიწვეულთა შორის ვიყავით. რატომ მაინცდამაინც ამა დაბლამი? ექსპედიცია ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით დაიგეგმა. გარდა ამისა, სოფიკოს შესაძლებლობებიც გავითვალისწინეთ. შევარჩიეთ ისეთი მთა, რომელიც სირთულით ახალი ეტაპი იქნებოდა. გარდა ამისა, უნდა ჩავტეულიყავით დროში. დრო კი ორი კვირა გვქონდა. ამ ხნის განმავლობაში რომელიმე რვაათასიანის დაპყრობა წარმოუდგენელია.

- ესე იგი, სოფიკოსგან გამომდინარე დაიგეგმა ექსპედიცია?

- არა. ამა დაბლამი ჩემი და, საერთოდ, ყველა ჩვენგანის ოცნება იყო. მართალია, ამა დაბლამი რვაათასიანი არაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ასვლა ნაკლებად პრესტიჟულია. ერთი სიტყვით, ინტერესები დაემთხვა.

- იუბილე როგორ აღნიშნეს ნეპალში?

- ღონისძიებაში უამრავი ექსპედიცია მონაწილეობდა. ჰიმალაიში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ექსპედიციები ჰყავდათ ამერიკელებს, რუსებს, ჩინელებს. ყველაფერი ლამაზად, საინტერესოდ და ღირსეულად იყო ორგანიზებული. ჩვენც ღირსეულად მოვიქეცით. დავამტკიცეთ, რომ მართო ევერესტით კი არ შემოვიფარგლებით, არამედ გაცილებით სერიოზული გეგმები გვაქვს.

- მომავალში თქვენი ოთხეული კიდევ სადმე ხომ არ აპირებს წასვლას?

- გეგმებზე წინასწარ საუბარი არ მიყვარს. ისე კი, რატომაც არა.

- თქვენთან შედარებით სოფიკო საკმაოდ გამოუცდელია, თან, პატარაც. ყველაფერმა ამან პრობლემები ხომ არ შეგიქმნათ?

- არა. საკმაოდ გაწონასწორებული და მიზანდასახული გოგოა.

■ ■ ■

სანამ სოფიკო თვარაძეს გავესაუბრებოდი, მანამდე მას და ვენიდან იმავე რეისს ჩამოყოლილ "მილანის" ქართველ ლეგიონერს კახა კალაძეს ერთმანეთი გააცნეს. მართლაც, საინტერესო დამთხვევის მომსწრე გავხდით: გვერდიგვერდ იდგნენ ჩემპიონთა თასის მოგები პირველი ქართველი ფეხბურთელი და პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი, რომელმაც ჰიმალაიში მწვერვალი დაიპყრო.

მას შემდეგ, რაც ფოტოკორესპონდენტებმა თავიანთი მისია შეასრულეს, სოფიკო თვარაძესაც გავესაუბრე.

- შეიძლება ითქვას, კავკასიონიდან პირდაპირ ჰიმალაიში მოხვდი. როგორი შეგრძნებაა?

- ძალიან დიდი სხვაობაა. კავკასიონის მასშტაბები სხვაა, ჰიმალაის - სულ სხვა.

- ტექნიკურად?

- ტექნიკურად ამა დაბლამი რთულია, მით უმეტეს, ჩემთვის, ისევ გამოუცდელობის გამო. თავდაპირველად ჰიმალაის პირობებთან, შემდეგ კი სიმაღლესთან შეგუება ძალიან გამიჭირდა. განსაკუთრებით ბოლო, 150-მეტრიანი ყინულის მონაკვეთის გავლა აღმოჩნდა ძნელი. თუმცა, ერთბაშად დიდი გამოცდილება მივიღე.

- ევერესტისკენ არ გაგექცა თვალი?

- რა თქმა უნდა. ახლა უკვე ევერესტზე ვფიქრობ.

- ოჯახის წევრები როგორ უყურებენ?

- შეჩვეული არიან. რა თქმა უნდა, ნერვიულობენ, თუმცა, მაინც ხელს მიწყობენ. იციან, რომ ეს უკვე ჩემი ცხოვრების ნაწილია.

ჩოგბურთი

პარიზის ბელგიური ფინალი

პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. ნახევარფინალი

უილიამსების ოჯახური ჰეგემონია დაემხო. გუშინ "როლან გაროსის" კორტებზე ჟიუსტინ ენინ-არდენმა გააკეთა ის, რაც თითქმის ერთი წელია ვერავის მოეხერხებინა. მან დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამერიკელი სერენა უილიამსი და ამით უილიამსების ოჯახურ მონოპოლიას ბოლო მოუღო. უილიამსების ოჯახური ფინალი ბელგიური ფინალით შეიცვალა და ეს სანახაობა კიმ კლიისტერსისა და ჟიუსტინ ენინ-არდენის მონაწილეობით ჩოგბურთის მოყვარულებს შაბათს ელით.

"ეს იყო ტურნირის საუკეთესო მატჩი როგორც სანახაობრივად, ისე ბრძოლის სულისკვეთებითაც", - მატჩის შემდეგ განაცხადა ანრი ლეკონტმა, - ჩვენ, ფრანგებს, ცოტა გვშურს კიდეც ჟიუსტინ ენინის. მან დღეს შესანიშნავად ითამაშა". ანრი ლეკონტის დასკვნა სხვა ფრანგმა სპეციალისტებმაც გაიზიარეს. ამრიგად, ბელგიური ფინალი, რომელსაც ტურნირის დაწყების წინ ბევრი არ ელოდა! თუმცა, სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

პირველად კორტზე კიმ კლიისტერსი და ნადეჟდა პეტროვა გავიდნენ. კლიისტერსი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია, ამიტომ ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ბელგიელი ამბიციურ რუსს ადვილად არაფერს დაუთმობდა. პეტროვა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა და ეს ფაქტი მისთვის უკვე დიდი მიღწევაა. მეორე მხრივ, ორივე ჩოგბურთელი ძალიან

ჟიუსტინ ენინი ფინალშია

ქალები

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2)	
- ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	**7:5, 6:1**
ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 4)	
- სერენა უილიამსი (აშშ, 1)	**6:2, 4:6, 7:5**

ცდილობდა, დაბადების დღეზე საკუთარი თავისთვის საჩუქარი მიეძღვნა. საქმე ის არის, რომ კვირას პეტროვასა და კლიისტერსის დაბადების დღეა. რუსი 21 წლის ხდება, ბელგიელი კი - 20-ის და "როლან გაროსის" კორტებზე გამარჯვება ამ ფაქტის აღსანიშნავად საუკეთესო სიურპრიზი იქნებოდა.

კიმ კლიისტერსი თავიდანვე ენერგიული ჩანდა, მაგრამ მეტოქე მხოლოდ სეტის მიწურულს გატეხა, როცა მისი მოწოდება და მასთან ერთად სეტიც მოიგო. ბელგიელს რუსმა დიდი ენერგია შეალია და მეორე სეტში წინააღმდეგობის განევის ყოველგვარი საშუალება ამოწურა. კლიისტერსმა 6:1 მოიგო და ფინალში თანამემამულეს, ჟიუსტინ ენინს დაუპირისპირდება.

ჟიუსტინ ენინ-არდენი გამარჯვების ჟინით იმდენად გახელებული იყო, რომ, როგორც იტყვიან, მხნედ ეკვეთა მოწინააღმდეგეს. სერენა უილიამსი ენინის აფექტს აშკარად არ ელოდა, ამიტომ ოდნავ დაბნეული ჩანდა. მატჩის დაწყებიდან ათიოდე წუთი იქნებოდა გასული, როცა შუქფარმა ბელგიელის სასარგებლოდ 3:0 დააფიქსირა. მეოთხე გეიმში სერენამ, როგორც იქნა, თავისი მოწოდება მოიგო, რასაც ენინისაც მიაყოლა და მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა, მაგრამ ენინმა იქვე უპასუხა მორიგი აფეთქებით და ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო - 6:2.

შთამბეჭდავი დასაწყისის შემდეგ საკითხავი ის იყო, როდემდე გაჰყვებოდა ენინს ფიზიკური ძალისხმევა, შეძლებდა თუ არა ასეთ ტემპში თამაშის გაგრძელებას. მეორე სეტმა აჩვენა, რომ სერენა უილიამსი იოლად არაფერს დათმობდა. მეტოქეებმა გეიმები გაცვალეს და ასე მივიდნენ 4:4-მდე. აქ უკვე სერენა უილიამსის დრო დადგა. მან მეტოქის მოწოდება და, ამასთან, სეტიც მოიგო - 1:1. ჟიუსტინ ენინს ნერვებმა უმტყუნა. ის აშკარად დაღლილი ჩანდა. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში ენინმა 9 უნებლიე შეცდომა დაუშვა, მეორეში კი - 25 და სწორედ ამ შეცდომებს შესწირა სიმწრით მოპოვებული უპირატესობა.

მესამე სეტი, შეიძლება ითქვას, შეშლილი გამოდგა. ჯერ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა იმძლავრა და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ენინს მეორე სუნთქვა გაეხსნა და ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. შემდეგ მეტოქეებმა კვლავ გაცვალეს გეიმები. ბოლოს ჟიუსტინ ენინმა 5:5-ზე სერენას გეიმი მოიგო და უპირატესობა მოიპოვა. გადამწყვეტ გეიმში ბელგიელმა უმცროს უილიამსს ერთი ბურთის ჩაგდების საშუალებაც არ მისცა - 6:2, 4:6, 7:5 ჟიუსტინ ენინის სასარგებლოდ.

"უაღრესად ბედნიერი ვარ. მინდოდა, მაყურებლისთვის ლამაზი სანახაობა შემეთავაზებინა და უნებლიე შეცდომებიც ამის გამო მომივიდა. ჩარლტონის ტურნირში კი გავიმარჯვე, მაგრამ "დიდი სლემის" ტურნირში სერენა უილიამსის დამარცხებას მაინც სხვა პეწი და ლაზათი აქვს", - განაცხადა ჟიუსტინ ენინ-არდენმა.

ქალათბურთი

სან-ანტონიო დაწინაურდა

სან-ანტონიო - ნიუ-ჯერსი 101:89
(სერიის ანგარიში 1:0)

ამერიკელ კალათბურთის მოყვარულთათვის, როგორც იქნა, მთავარი დღესასწაულის დრო დადგა. დაიწყო NBA-ის პლეი-ოფის ფინალური სერია. სერიის პირველი მატჩი სან-ანტონიოში გაიმართა. თამაში მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" ბრჭყალები გამოაჩინა მხოლოდ პირველ მეოთხედში, რომელიც სტუმრებმა სამი ქულით (21:18) მოიგეს.

მესამე მეოთხედში, რომელიც "სფურსმა" 15 ქულის სხვაობით მოიგო, ნათელი გახდა, რომ სან-ანტონიო გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა. ასეც მოხდა. "სფურსმა" - 101:89 მოიგო და სერიაში დაწინაურდა. მესამე 12-წუთიანი "ნეთსს" კოშმარული სიზმარივით კიდევ დიდხანს ემახსოვრება. მეოთხედის ბოლო მონაკვეთი "სფურსმა" - 15:2 მოიგო. სტუმართა თავზარდაცემული მწვრთნელი ბაირონ სკოტი კი ბოლთას სცემდა. მატჩის ბედი ერთმა მოთამაშემ, წლევანდელი სეზონის MVP - ტიმ დანკანმა გადაწყვიტა. ის საუკეთესო იყო როგორც დაცვაში, ისე შეტევის დროს. დანკანმა ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო. მის ანგარიშზე 32 ქულა, 20 მოხსნა, 7 დაფარება, 6 გადაცემა და 3 ჩაჭრაა.

"რა საშინელებაა, როცა მეტოქეს დანკანი ჰყავს, - ესღა აღმოხდა გაშმაგებულ ბაირონ სკოტს, - ჩაატარე ერთი მეოთხედი ხელჩამოშვებულმა და წააგებ. მესამე მეოთხედი ჩვენთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა". დანკანმა ნიუ-ჯერსისთვის ავადსახსენებელ მესამე მეოთხედში 13 ქულა მოაგროვა და, ამრიგად, მოახერხა, შეეჩერებინა გუნდი, რომელსაც მანამდე 39 დღის განმავლობაში არ წაეგო.

მთავარი კი ის არის, რომ დანკანს უდიდესი დახმარება გაუწიეს დევიდ რობინსონმა (14 +4 დაფარება) და ტონი პარკერმა (16), რომლებმაც საერთო ძალისხმევით "ნეთსის" ლიდერის ჯეისონ კიდის განეიტრალება შეძლეს. კიდმა ამ შეხვედრაში მხოლოდ 10 ქულის, 10 გადაცემისა და 8 მოხსნის გაჩარხვა შეძლო და, მიმომხილველთა თქმით, თავისი არცთუ საუკეთესო თამაში ჩაატარა. პირველი ორი ზუსტი ტყორცნის შემდეგ კიდს სროლები არ წაუვიდა. ის ხშირად აცდენდა მიზანს, რამაც საბოლოოდ მატჩს თავისი დაღი დაასვა. "ჩემი გამართლება არ შეიძლება", - ამბობდა "ნეთსის" ლიდერი, რომელსაც ვერც კენიონ მარტინი დაეხმარა.

მარტინმა 21 ქულა და 12 მოხსნა კი გააკეთა, მაგრამ მფრინავი დანკანისა და ბებერი რობინსონის ფონზე უნიათოდ გამოიყურებოდა. ბაირონ სკოტი იძულებული გახდა, 4 პერსონალური შენიშვნის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დაესვა. ხოლო როცა ის მოედანზე დაბრუნდა, ანგარიში გახლდათ 82:66 მასპინძელთა სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მატჩში ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

თამაშმა აჩვენა, რომ ტიმ დანკანისა და დევიდ რობინსონის წინააღმდეგ "ნეთსის" დაცვა უძლურია. ამიტომ ბაირონ სკოტს ერთადერთ ნუგეშად რჩება ტრავმირებული დიკემბე მუტომბო, რომელმაც, თუ გამოჯანმრთელდა, შეიძლება "სფურსის" ვარსკვლავებს გვარიანად აურიოს დავთრები.

ველოსპორტი

თავხოტორათა აღლუმი რეალურია

ადვილი შესაძლებელია, "პატარა მეკობრე (სტეფანო გარძელი) და "სპილუკა" (მარკო პანტანი) კვლავ ერთად შეეცადონ, ამჯერად უკვე ტურ დე ფრანსის მოგებას. საქმე ის არის, რომ მარკო პანტანის "მერკატონე უნო" ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა შეჯიბრებაზე წლეულსაც არ მიიწვიეს. არადა, "სპილუკას" ძალიან უნდა წლევანდელ ტურში მონაწილეობა.

პანტანი აცხადებს: "ახლა მშვენიერ ფორმაში ვარ და არმსტრონგმა ეს ფაქტი ისე უნდა მიიღოს, როგორც საკუთარი საფრთხე". იყო ვარიანტი, რომ მარკო პანტანი დროებით "ბიანკაში" გადაბარგებულიყო და ტურზე ამ გუნდის სახელით ეასპარეზა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. უახლესი ინფორმაციით კი, ადვილი შესაძლებელია, იტალიელმა მაინც მიაღწიოს მიზანს და საფრანგეთის გზებზე "ვინი კალდიროლა-სიდერმეკის" სახელით გამოვიდეს.

ამ გუნდის ლიდერი პანტანის ყოფილი თანაგუნდელი, "პატარა მეკობრე" სტეფანო გარძელია. თავის დროზე პანტანი ძალიან დაეხმარა თანაგუნდელს ჯიროს მოგებაში და წლეულსაც გვარიანად უწყობდა ხელს. თუ პანტანი გუნდის შეცვლას მოისურვებს, "მერკატონე უნო" მას ბარიერს არ შეუქმნის. პანტანის გადასვლაზე ყაბულს არის "ვინი კალდიროლა-სიდერმეკის" ხელმძღვანელობაც: "ჩვენ ლიდერი გვყავს, მაგრამ ისეთი გამოცდილი მრბოლის დამატებაზე, როგორიც პანტანია, უარს ნამდვილად არ ვიტყვით", - ამბობენ ისინი.

ასე რომ, ტურში პანტანის მონაწილეობა სულ უფრო რეალურია. თუ ეს მოხდა, ტურ დე ფრანსის წლევანდელ გათამაშებაში დიდი რბოლების (ჯირო, ტური, ვუელტა) ერთბაშად 9 გამარჯვებული (ლენს არმსტრონგი, მარკო პანტანი, სტეფანო გარძელი, იან ულრიხი, პაოლო სავოლდელი, ჯილბერტო სიმონი, რობერტო ერასი, აიტორ გონსალესი, ანგელ კასერო) მიიღებს მონაწილეობას.

ყვავყვავი

ნინო I

რა მობეზრდა მილენეს?

საყოველთაოდ ცნობილია ბრაზილიელი ვარსკვლავის, რონალდოს უცნაური სექს-რეცეპტები ფეხბურთელებისთვის. "ფენომენს" რომ დაუჯერო, მაღალი კლასის ფორვარდი თამაშის წინ აუცილებლად პასიური სექსით უნდა დაკავდეს. აქტიურობის შემთხვევაში ფეხბურთელი ბევრ ენერგიას დაკარგავს და მოედანზე სწრაფად ვეღარ ირბენს. რონალდო ყველას არწმუნებდა, პასიური სექსი ჩემი პროფესიული წარმატების მთავარი საიდუმლოაო. "ინტერში" ყოფნის პერიოდში მას რამდენიმე გახმაურებული რომანი ჰქონდა, რომლის თითქმის ყველა ინტიმურ დეტალს ინტერესით გაეცნო იტალიური საზოგადოება. რონალდოს კი იმდენი ჭკუა არ აღმოაჩნდა, რომ თავისი სექს-ექსპერიმენტები ისეთ ქალებთან ჩაეტარებინა, რომლებიც პრესასთან ურთიერთობას და ყველაფრის საჯაროდ აფიშირებას მოერიდებოდნენ. პოპულარობისთვის გაგიჟებული უკრაინელი პორნოვარსკვლავი ოქსანა კლოჩკო რომ ჟურნალისტებს არაფერს დაუმალავდა, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. სწორედ მისი წყალობით გაიგო საზოგადოებამ პირველად რონალდოს უცნაური გატაცებების შესახებ. შემდეგ უკვე აღარც თავად "ფენომენს" დაუმალავს, რომ "ცოტა სხვანაირი" სექსუალური გემოვნება ჰქონდა.

სანამ რონალდო "ინტერში" თამაშობდა, როგორღაც კიდევ ახერხებდა მეუღლესთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. მადრიდში გადასვლის შემდეგ კი სიტუაცია საგრძნობლად გაუარესდა. რონალდოს მომხიბვლელი მეუღლე, ქერათმიანი მილენე დომინგესი, "ფენომენის" მსგავსად, პროფესიონალი ფეხბურთელია და სულაც არ აპირებს თავისი საქმიანობის შეწყვეტას. როცა "რონიმ" იტალია დატოვა, მილენემაც დააპირა "მონცადან" წასვლა. თავიდან თითქოს მადრიდული კლუბები "რაიო ვალეკანო" და "ატლეტიკო" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ თურმე ესპანურ ქალთა გუნდებს უცხოელის, არაევროკავშირელის აყვანის უფლება არ ჰქონიათ. მილენე "მონცაში" დარჩა და უსიამოვნებებიც აქედან დაიწყო.

რონალდო "რეალში" ყოფნით მეტად კმაყოფილია და არც კი ფიქრობს მადრიდიდან წასვლაზე, მილენე კი ყოველ კვირას მადრიდსა და მილანს შორის დაფრინავს და ისე მობეზრდა ეს აქეთ-იქით სიარული, რომ ქმართან გაყრაზეც კი დაიწყო ფიქრი. რა თქმა უნდა, მილენეს ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმის გამო არ მიუღია, რომ ხშირად უხდებოდა თვითმფრინავში ჯდომა. "მონცას" ოქროსფერთმიანი ვარსკვლავი, პირველ ყოვლისა, თავისი მეუღლის გულგრილობითაა განაწყენებული. "მისთვის ფეხბურთი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. გამუდმებით იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი გოლი გაიტანოს. დღითიდღე უფრო რთული ხდება ჩვენი ურთიერთობა. რაც ის "რეალში" გადავიდა, ერთი ვიკენდიც კი არ გაგვიტარებია ერთად", - ამბობს მილენე.

